საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№40 (178)
24 - 30 ოქტომბერი, 2012
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

4 ახალი პარლამენტი თუ ძია სემის ძველი მეგობრები?









ანზორ მაისურაძე: 2

## სად გაქრნენ ძალოვანი სტრუქტურების თავკაცები? ხომ უნდა გავიგოთ, რაშია საქმე? სახელმწიფოა თუ ბარდაგი?

ბატონო ნორლანდ, თქვენს სამშობლოში არჩევნების მეორე დღეს ქვეყნიდან რომ გაქცეულიყვნენ იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორი, გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი, როგორი რეაქცია ექნებოდა ამაზე აშშ კონგრესს თავის პირველ სხდომაზე?

„გაქცეულებს იმის გარანტია მისცეს, რომ საზღვარგარეთ ხელს არავინ ახლებდა. გარანტიას ვინ იძლევა? ის ქვეყანა, რომელშიც მიდიან. ხომ ასეა?“

# ოპოზიცია თუ ბანდა?!



5

## ტესტი, რომელიც «ოცნებაზე» მეტია 7



ირაკლი სესიაშვილი:

## საქართველოში თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა მოშლილია 10

11 შალვა შავგულიძე:

## ივანიშვილის მთავრობას ხელშეუხებლობის გარანტია არავისთვის მიუცია, ეს ჭორია!

12 ვახტანგ კომახიძე:

## 2004 წელსაც იმავეს აკეთებდნენ, რაც ახლახან ყველასთვის ნათელი გახდა, უშიშროების სამინისტროდან ამიტომაც წამოვედი

15 პირადად სააკაშვილს მივმართავ – აღიაროს, რატომ მოიკლა ძმა!

16 აკაკი ჩხაიძე:

## მე თვითონ მიკვირს, ცოცხალი რომ გადავრჩი

ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი გავიყვანეთ ფოთიდან ბაქომდე, რომელსაც 100 მილიონის შემოსავალი უნდა მოეტანა წელიწადში. 2008 წლისთვის ნახევარ მილიარდზე უნდა გავსულიყავით. გაყიდეს „ვარდების რევოლუციით“ მოსულებმა. ჩამოვიტანეთ რანალახის სისტემის „შპალების“ ქარხანა, ავამუშავეთ. გაყიდეს. ჩამოვიტანეთ იტალიური ხაზი. გაყიდეს!

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გაქცეულებს იმის გარანტია მისცეს, რომ საზღვარგარეთ ხელს არავინ ახლებდა. გარანტიას ვინ იძლევა? ის ქვეყანა, რომელშიც მიდიან. ხომ ასეა?“**



ანზორ მაისურაძე:

# სად გაქრნენ ძალოვანი სტრუქტურების თავკაცები? ხომ უნდა გავიგოთ, რაშია საქმე? სახელმწიფოა თუ ბარდაგი?

**რატომ დუმს ამერიკის ელჩი? — უშიშროების გენერალ-მაიორმა ანზორ მაისურაძემ დამირეკა და იკითხა... ამ შეკითხვაზე პასუხი, როგორც ჩანს, ქვეყნის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილსაც აინტერესებს და ამიტომ უპრიანად მივიჩნიეთ მისი გაზეთის ფურცლებზე გამოტანა.**

   

## ბატონო ნორლანდ, თქვენს სამშობლოში არჩევნების მეორე დღეს ქვეყნიდან რომ გაქცეულიყვნენ იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორი, გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი, როგორი რეაქცია ექნებოდა ამაზე აშშ კონგრესს თავის პირველ სხდომაზე?

— გულისყურით ვადევნებდი თვალს საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის პირველი სესიის პირველ სხდომას. მოვისმინე კომენტარებიც და გამიჩნდა საფუძვლიანი შეკითხვა, რომლითაც საქართველოში აშშ ელჩს რიჩარდ ნორლანდს მივმართავ: **ბატონო ნორლანდ, თქვენს ქვეყანაში არჩევნების მეორე დღეს ქვეყნიდან რომ გაქცეულიყვნენ იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორი, გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი, როგორი რეაქცია ექნებოდა ამაზე აშშ კონგრესს თავის პირველ სხდომაზე?**

ქუთაისში პარლამენტის არც პირველი სხდომის მსვლელობისას, არც დეპუტატთა კომენტარებში ამის შესახებ კაციშვილს ხმა არ ამოუღია.

მაინტერესებს ამერიკელების აზრი — რას იტყოდნენ მსგავსი შემთხვევა ამერიკაში რომ მომხდარიყო, როგორ შეაფასებდნენ? გვითხრას ამაზე თავისი მოსაზრება ბატონმა ელჩმა, რატომ დუმს?

**(მართლაც საინტერესოა: ჩვენ ხომ ჩვენს საათებს ვაშინგტონის დროზე ვასწორებთ?).**

ჩვენც ხმას არ ვიღებთ, მიგვაჩნია ჩვეულებრივ ამბად, ნორმალურ სიტუაციად, ასეც უნდა მომხდარიყო თუ რა?

**— რა უნდა ეთქვათ ჩვენი პარლამენტის დეპუტატებს?!**

— უნდა დაინტერესებულიყვნენ იმით, რა იქნენ ჩვენი, აწ უკვე ყოფილი მთავრობის წევრები, რომლებიც ამდენი წელიწადი ხელისუფლების სათავეში იდგნენ? სად გაქრნენ ძალოვანი სტრუქტურების თავკაცები? ან რატომ წავიდნენ? ვინ მისცა ამის უფლება და ვინ გაუშვა? ადგნენ და გაიქცნენ? ხომ უნდა გავიგოთ, რაშია საქმე? სახელმწიფოა თუ ბარდაგი?

**— იქნებ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ხელი შეუშალა პირველი სხდომის ჩატარების რეგლამენტმა?**

— რას ითვალისწინებს რეგლამენტი და რატომ არ შეიძლება ასეთ არაორდინალურ ვითარებაში მისი დარღვევა, არ ვიცი. სამაგიეროდ ვიცი, და თქვენი მკითხველებიც დამეთანხმებიან, რომ ქვეყანაში უნდა იყოს წესრიგი. დამყარებული უნდა იყოს სახელმწიფო დისციპლინა.

**— ეგებ შევურიგდით ამ სიტუაციას? თუ რახან „ქართული ოცნება“ ხელისუფლების სათავეში მოვიდა, საყოველთაო შეწყალება-პატიების პოლიტიკა უნდა განხორციელდეს?**

— არა მგონია, რომ მთლად ასე იყოს. ვფიქრობ, **გაქცეულებს იმის გარანტია მისცეს, რომ საზღვარგარეთ ხელს არავინ ახლებდა. გარანტიას ვინ იძლევა? ის ქვეყანა, რომელშიც მიდიან. ხომ ასეა?**

**— მით უფრო, რომ, მაგალითად, გაქცეული თავდაცვის მინისტრი (თუ მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი) დიმიტრი შაშკინი თავს ისე არხეინად გრძნობს, რომ დაბრუნებასაც გვპირდება. უფრო მეტიც, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მან კარგი სამუშაო ადგილიც იპოვა შტატებში.**

— მაშასადამე, იქ არიან მისი და მისნაირთა მფარველები. მაგრამ შეიძლება, რომ ყოფილი დიდჩინოსნები, რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი თავიანთ ქვეყანაში, პარტნიორმა ქვეყანამ შეიფაროს?! სადმე ყოფილა ასე, გარდა ჩვენი შემთხვევისა?! არ ყოფილა და არც იქნება.

ეგებ მითხრათ, როდის იყო, რომ ამერიკიდან გაქცეული დამნაშავე სხვა ქვეყანამ მიიღო? თანაც ასეთი თანამდებობის ხალხი?

**— ვერ დაგისახელებთ.**

— ვერ დამისახელებთ იმიტომ, რომ არ ყოფილა.

**— ბატონო ანზორ, დიმა შაშკინი ამერიკამ სასწრაფოდ რომ მოაცილა სიტუაციას, რომელიც საქართველოში შეიქმნა, ხომ არ ნიშნავს, რომ აშშ-ის სპეცსამსახურმა აქაურობას მოარიდა ჩანერგილი რეზიდენტი თუ გავლენის აგენტი?**

— დაბეჯითებით ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ძალიან კი ჰგავს.

**— ჩვენი გაზეთისთვის წინასაარჩევნოდ მიცემულ ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში სპეცსამსახურების ხელი ურევია და მოვლენათა განვითარების კვალზე ასეთი ჩარევა უფრო გააქტიურდება.**

— სპეცსამსახურების ხელი ყველგან ურევია, ყველგან. მაგრამ მე სხვა კუთხით ვუყურებ ამ საქმეებს და ამიტომ მებადება შეკითხვა: რას უნდა ნიშნავდეს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების არჩევნების მეორე დღესვე ქვეყნიდან გაქრობა?

**— ზოგი იმავე ღამეს გაუჩინარდა!**

— **თანაც „ფეხებსაც ვერ მომჭამთო“ განწყობილებით წავიდნენ, თუ დანაშაული მიუძღვით იმ შემთხვევაში, ცხადია, რატომღაც დატოვეს საქართველო, მაგრამ, თუ უდანაშაულონი არიან, რას გარბოდნენ?!**

**— მფარველობასთან დაკავშირებით ხალხში გაჩნდა აზრი, რომ: რესპუბლიკელები, რომლებიც დამოუკიდებლად ვერც ერთ წინა არჩევნებში გადასალახ ბარიერს ოდნავადაც ვერ მიუახლოვდნენ, ამჯერად პარლამენტში სწორედ ამერიკელების დახმარებით და კოალიციაზე მათი ზეგავლენის წყალობით მიხვდნენ.**

— არა მგონია, რომ ამერიკელები აქტიურად ჩარეულიყვნენ მათი არჩევა-არარჩევის საქმეში. სიმპათიების გამჟღავნება სხვაა. ეს არჩევნები პრაქტიკულად მოიგო ბიძინა ივანიშვილმა და არა კოალიციამ. იგი იყო ლოკომოტივი, რომელმაც კოალიცია პარლამენტში შეიყვანა.

**— ესე იგი, ამერიკელები არაფერ შუაში არიან?**

— **არა, ბატონო, არ არიან. თანაც დღეს სხვა საკითხებია აქტუალური, მთავარი მათ შორის ისაა, რომ ყველას თავი იმგვარად უჭი-** ▶

## «ერთ წელიწადში რადიკალურად შეიცვლება ხალხის აზრი დღევანდელ ხელისუფლებაზე, რაც არა მარტო სამწუხარო იქნება, არამედ კატასტროფული»

„მებადება შეკითხვა: რას უნდა ნიშნავდეს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების არჩევნების მეორე დღესვე ქვეყნიდან გაქრობა? თანაც „ფეხებსაც ვერ მომჭამთო“ განწყობილებით წავიდნენ, თუ დანაშაულში წვლილი მიუძღვით, იმ შემთხვევაში, ცხადია, რატომაც დატოვეს საქართველო, მაგრამ, თუ უდანაშაულონი არიან, რას გარბოდნენ?!“

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀რავს, თითქოს ქვეყანაში არავითარი დანაშაული არავის ჩაუდენია.

**— და ამას ამბობთ, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტის ერთ-ერთ ვიცესპიკერად აირჩიეს გიორგი ბარამიძე, რომლის დანაშაულებრივ ქმედებაზე სვანეთში ამ დღეებში ამდენს ლაპარაკობდა მასმედია?**

— თუნდაც ეს. მას მხარი დაუჭირა დეპუტატების ისეთმა რაოდენობამ, რომელშიც ერთი მესამედი მაინც უმრავლესობის ხმები იყო. რა, უკვე გამოუშვეს ამნისტია? თუ, რომ არ აერჩიათ, მსოფლიოში თავი მოგვეჭრებოდა, როგორც არადემოკრატიულ სახელმწიფოს? ძალიან გამიკვირდა: **კაცი, რომელსაც სისხლის სამართლის ბევრი დანაშაულის ჩადენაში ბრალს სდებენ, პარლამენტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფიგურა ხდება და ამაში „ოცნების“ წარმომადგენელთა ხელი ურევია.**

არაფერი მესმის ასეთი კომპრომისის.

ჯერ გაერკვიათ, შეესწავლათ, დაედგინათ, შემდეგ აერჩიათ. რა იყო ასეთი საჩქარო და გადაუდებელი?

**— იქნებ თანამშრომლობისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო?**

— გამორიცხულია, რომ კოალიციისა და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ მოწვევის პარლამენტში ძმებად გადაიქცნენ. თუმცა იქნება შემწყნარებლობა, მაგრამ ასეთი თავზე ხელის გადასმა არ გამოვა.

**— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ თქვენი პოზიცია რადიკალურია?**

— არა. ასე მგონია, რომ ამ პოზიციას საქართველოს მოქალაქეთა 90 პროცენტი იზიარებს.

პირდაპირ გეტყვით, უპირველესი საქმე, რაც დღეს საქართველოშია გასაკეთებელი, სახელმწიფო დისციპლინის დამყარებაა, საშემსრულებლო დისციპლინა მაქვს მხედველობაში; შემდეგ კვალიფიციური კადრების მოძებნა და შესაბამის ადგილებზე დანიშვნა; დაბოლოს, კონსპირაციის დაცვა ყველა საქმეში. თუ ასე არ გაკეთდა, დარწმუნებული ვარ, რომ ერთ წელიწადში რადიკალურად შეიცვლება ხალხის აზრი დღევანდელ ხელისუფლებაზე, რაც არა მარტო სამწუხარო იქნება, არამედ კატასტროფულიც.

**— კონსპირაციაში რას გულისხმობთ?**

— სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას. ჩემი პროფესიის გადასახედიდან ვუყურებ ამ პრობლემას: არანაირი საქმე არ გამოვა, თუ არ დავიცავთ კონსპირაციას.



# «კაცი, რომელსაც სისხლის სამართლის ბევრი დანაშაულის ჩადენაში ბრალს სდებენ, პარლამენტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფიგურა ხდება და ამაში «ქართული ოცნების» წარმომადგენელთა ხელი ურევია»

**ვერანაირი მთავრობა ვერ უხელმძღვანელებს ქვეყანას, თუ მას არ ექნება სარწმუნო ინფორმაცია იმაზე, რაც ქვეყნის შიგნით ხდება, როგორი პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში. ხელისუფალი ასეთი ინფორმაციით უხვად უნდა იყოს მომარაგებული, რათა მან შეუცდომელი გადაწყვეტილებები დროზე მიიღოს.**

ამისთვის კი საჭიროა ჰქონდეს ინფორმაციის მომპოვებელი პროფესიული სამსახურები, რომლებიც ანალიტიკურ მასალას თავიანთი რეკომენდაციებით სისტემატურად მიაწვდიან.

**— გულისხმობთ სპეცსამსახურებს?**

— რა თქმა უნდა, სპეცსამსახურებს — დაზვერვასა და კონტრდაზვერვას. დაზვერვა აწვდის ინფორმაციას იმაზე, თუ რა პოზიციები პრევალირებს მეზობელ და შორეულ ქვეყნებში ჩვენ შესახებ, როგორი პოლიტიკის განხორციელებას აპირებენ უახლოეს დროსა და პერსპექტივაში. კონტრდაზვერვა კი უნდა ფლობდეს სიტუაციას ქვეყნის შიგნით.

ზუსტად ვერა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართებით მუშაობა მაღალ დონეზე არ მიმდინარეობს, თან ამ სფეროში ბევრი დანაშაულებრივი მომენტიც იკვეთება.

საქართველოში დაზვერვის სამსახური მცირერიცხოვანია და უმნიშვნელო როლს ასრულებს, იცით, რატომ?

**— არ ვიცი.**

— იმიტომ, რომ ამერიკელებმა გვითხრეს, რად გინდათ დაზვერვა, ყველა ინფორმაციას ჩვენ მოგაწვდითო. მადლობელი ვართ.

მაგრამ მოგვაწვდიან ამერიკელები ინფორმაციას, თუ რა ჩაიფიქრეს ამერიკამ და თურქეთმა საქართველოს მიმართ?

არ მოგვაწვდიან.

რა ჩაიფიქრეს რუსეთთან ერთად კავკასიასთან დაკავშირებით?

არც ამას გვეტყვიან, და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს ყველაფერი უნდა იცოდეს აღნიშნულ ზესახელმწიფოებთან თავისი პოლიტიკის სწორად წარმართვისათვის. პატარა ქვეყანას ძალიან ძლიერი დაზვერვის სამსახური უნდა ჰქონდეს, ისეთი, როგორიც ისრაელს აქვს. თავის დროზე „მოსადმა“ დამპატიჟა და საკუთარი თვალით ვნახე, ქვეყნის მშენებლობის საქმეში როგორ უნდა დაიყენო გვერდით სპეცსამსახური, როგორ უნდა ამუშაო ეს სამსახური ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ.

## შეიძლება, რომ ყოფილი დიდჩინოსნები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს თავიანთ ქვეყანაში, პარტნიორმა ქვეყანამ შეიფაროს?! სადმე ყოფილა ასე, გარდა ჩვენი შემთხვევისა?! არ ყოფილა და არც იქნება. ეგებ მითხრათ, როდის იყო, რომ ამერიკიდან გაქცეული დამნაშავე სხვა ქვეყანამ მიიღო? თანაც ასეთი თანამდებობის ხალხი?

**პირდაპირ გეტყვით, ამ გზით მოპოვებულმა ინფორმაციამ შეიძლება ისეთი შედეგი გამოიღოს, რომ დაზვერვისთვის გაწეული სახსრები ათმაგად ამოიღოს. ამიტომ არ უნდა დაგენანოს დაზვერვასა და კონტრდაზვერვაში დახარჯული ფული, ეს საჭიროა ქვეყნისთვის და არა იმისთვის, რომ ხალხი დაიჭირო და ციხეში ჩასვა.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## «საქართველოში დაზვერვის სამსახური მცირერიცხოვანია და უმნიშვნელო როლს ასრულებს, იცით, რატომ? იმიტომ, რომ ამერიკელებმა გვითხრეს, რად გინდათ დაზვერვა, ყველა ინფორმაციას ჩვენ მოგაწვდითო. მადლობელი ვართ. მაგრამ მოგვაწვდიან ამერიკელები ინფორმაციას თუ რა ჩაიფიქრეს ამერიკამ და თურქეთმა საქართველოს მიმართ?»

# ავღანელ გოგონას დედამთილმა თავი მოჰკვეთა

**ავღანელ გოგონას დედამთილმა საკუთარი სხეულით ვაჭრობაზე უარის თქმის გამო თავი მოჰკვეთა. პოლიციის განცხადებით, 20 წლის მაჰ გულის სასტიკ მკვლელობაში დედამთილს ბიძაშვილიც დაეხმარა.** პროსტიტუციას მას ორივე აიძულებდა, როცა ქმარი სამსახურში იყო. გოგონა წინააღმდეგობის გაწევის გამო წამებით მოკლეს. „ავღანეთში ქალებზე ძალადობა და მათი სიკვდილით დასჯა ხშირია. ბოლო ხანებში იმატა ქვეყანაში საკუთარი შვილებით ვაჭრობის შემთხვევებმაც. მშობლები მათ პროსტიტუციით დაკავებას აიძულებენ და ჰყიდიან ე. წ. ბაჩა ბააზში, სადაც არასრულწლოვან ბიჭუნებს სოციალური და სექსუალური გართობისთვის იყენებენ“, — აცხადებს სიუზან ნოსელი — ორგანიზაცია Amnesty International-ის წარმომადგენელი. 2011 წელს მსოფლიო შეძრა 13 წლის საჰარ გულის მონათხრობმა, რომელიც ავღანელ ჯარისკაცზე გაათხოვეს. გოგონას თქმით, ქმარი მას აუპატიურებდა, სცემდა. ქმრის მშობლები კი თვეობით კეტავდნენ სარდაფში, აწამებდნენ ცეცხლის საჩხრეკით და ფრჩხილებს აძრობდნენ, რადგან საჰარი უარს ამბობდა პროსტიტუციაზე. 2010 წელს კი ბრიტანული გამოცემა Time-ს გარეკანზე გამოაქვეყნეს ბიბი აეშას სურათი, რომელსაც ქმრის სახლიდან გაქცევის მცდელობის გამო ცხვირი და ყურები მოაჭრეს.



# ლიბიაში აშშ-ის ელჩის მოკვლის გამო პასუხისმგებლობა ბარაკ ობამამ აიღო

**აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებით, ლიბიაში აშშ-ის ელჩ კრისტოფერ სტივენსონის დაღუპვაში დამნაშავე თავად არის.** წინასაარჩევნო დებატებზე მან ლიბიაში აშშ-ის საელჩოზე თავდასხმის ფაქტზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. ამით მან აუდიტორიის შეკითხვას უპასუხა, თუ ვინ იყო დამნაშავე დიპლომატთა სუსტი დაცვის გამო. 15 ოქტომბერს მომხდარის გამო პასუხისმგებლობა ქვეყნის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმაც აიღო. თუმცა, როგორც მისი შესაბამისი განცხადების კომენტირებისას ბარაკ ობამამ აღნიშნა, ჰილარი კლინტონი მასთან მუშაობს. „მე პრეზიდენტი ვარ. მე ყოველთვის ვიღებ პასუხისმგებლობას“, — განაცხადა ბარაკ ობამამ.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დემოკრატიის ამ „ზეიმში“ კიდევ ერთმა კურიოზმა აჩვენა, რომ ორივე მხარე გამარჯვებულია: კენჭისყრისას უსუფაშვილმა 88 ხმა მიიღო, გია ბარამიძემ კი — 92! რამდენიც უნდა ილაპარაკონ, რომ უმცირესობის ვიცესპიკერი უმრავლესობამ სავალდებულო წესით უნდა დაამტკიცოს, ეს განსხვავება მიღებულ ხმებში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ „ნაციონალები“ საკუთარ დაუსჯელობაში დარწმუნებულნი არიან და არც „ოცნებისთვის“ აპირებენ კომფორტული სამუშაო ვითარების შექმნას.**

# ახალი პარლამენტი თუ ძია სემის ძველი მეგობრები?

**მერვე მოწვევის პარლამენტი შეიკრიბა. რესპუბლიკელმა თავმჯდომარემ ხანგრძლივი სიტყვით დამოძღვრა კოლეგები და პირველივე სხდომაზე შენიშვნებიც მისცა.**
**უკვე მოსაწყენიც კია იმაზე წერა, რომ ყველაზე დაბალრეიტინგიანმა პარტიამ პარლამენტის საკვანძო თანამდებობები მიიღო (ოჯახის წევრების ჩათვლით), ხოლო „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ოდენ პირველი ვიცე-სპიკერის პოსტი ერგო. აკი რესპუბლიკელები თავადაც ამაყობენ იმით, რომ, დაბალი რეიტინგის მიუხედავად, ისინი ყველა ბლოკსა თუ კოალიციაში ყოველთვის წამყვან პოზიციებზე იყვნენ.**
**მართალია, ამას საკუთარი ინტელექტით ხსნიან, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ უნდა იყოს...**



**ისტორიული ცნობა:**

რესპუბლიკური პარტია საკუთარი თავის პოზიციონირებას ახდენს, როგორც ყველაზე ძველი პარტია. იგი 1978 წლის 21 მაისს დაფუძნდა. პოლიტიკურ არენაზე პირველად 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებზე გამოჩნდა. უზენაეს საბჭოში 3 მანდატი მიიღეს და მალევე ზვიად გამსახურდიას ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. 1991-92 წლების გადატრიალების შემდეგ რესპუბლიკელები სახელმწიფო საბჭოში შედიან. 1992 წლის არჩევნებში ისინი „თავისუფალ დემოკრატთა კავშირთან“ და „დასთან“ ერთად მონაწილეობენ. 1994 წელს რესპუბლიკური პარტია „სახალხო ფრონტსა“ და „ქარტია 91“-ს უერთდება და ქმნის „გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას“. 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში მარცხის შემდეგ გაერთიანება იშლება. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ რესპუბლიკელები ახალ გაერთიანებაში შედიან — „ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი — მესამე გზა“ ედპ-სა და „მრეწველებთან“ ერთად. გაერთიანებამ 4,46 პროცენტი მიიღო და საპარლამენტო ბარიერი ვერ გადალახა. „ალიანსი“ 2001 წელს დაიშალა. რესპუბლიკელებმა ეს იმით ახსნეს, რომ პარტნიორებმა „მხარი არ დაუჭირეს მათ უკომპრომისო ბრძოლას შევარდნაძისა და აბაშიძის რეჟიმების წინააღმდეგ“. 2002 წლის გაზაფხულზე რესპუბლიკელები ახალ ალიანსში შედიან „ნაციონალური მოძრაობა — სააკაშვილი-დავითაშვილთან“ და ზვიად ძიძიგურის „ეროვნულ ძალთა გაერთიანება —კონსერვატორებთან“ ერთად. ამ გაერთიანებამ 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში ხმათა 24 პროცენტი მიიღო, ხოლო მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ სიით რესპუბლიკელებმა 5 მანდატი მიიღეს. 2004 წლის ივნისიდან რესპუბლიკელები ემიჯნებიან „ნაციონალურ მოძრაობას“ და ოპოზიციაში გადადიან. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობს, ხმათა 3,84 პროცენტს იღებს და ვერ ძლევს 5%-იან ბარიერს.

**რესპუბლიკელები პრაქტიკულად ყველა არჩევნებში ბლოკებისა თუ კოალიციის სახით მონაწილეობენ. ისინი მუდმივად ოპოზიციაში არიან, გამონაკლისი იყო 2003-2004 წლები, როდესაც ლევან ბერძენიშვილი მიხეილ სააკაშვილთან ერთად „ნაციონალური მოძრაობის“ თანათავმჯდომარე გახდა და 2012 წელი, როდესაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ძალის შემადგენლობაში ყოფნის შედეგად მათ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი და პარლამენტში საკუთარი პარტია მიიღეს.**

თუმცა მერვე მოწვევის პარლამენტის სხდომას დავუბრუნდეთ. სააკაშვილის უადგილო მოგონებებს საქართველოს პარლამენტი ნაჩვევია, მაგრამ ამჯერად „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა“ — დავით უსუფაშვილმა წარსულის მისეული ვერსია არ მიიღო და პარლამენტის უხუცეს წევრსაც მიუთითა, არც თქვენ გახსოვთ ეს ამბავი სწორადო! „ამბავი“ კი ის არის, რომ სააკაშვილმა თავი მოიკატუნა, 1995 წელს, როცა მე პარლამენტში ვერ მოვხვდი, ცესკოს თავმჯდომარე ბატონი ვანო კილურაძე იყო, ხოლო რჩევებს დავით უსუფაშვილი აძლევდაო. რა არ იყო ასე, უსუფაშვილს აღარ დაუზუსტებია. ასეა თუ ისე, **„სამართლიანად“ ჩატარებული არჩევნებით ძველი და ახალი ხელისუფლება ისეთი კმაყოფილი ჩანდა, რომ სოციალურ ქსელებში ანეკდოტად დადიოდა: „ვერ გაგვიგია, არჩევნები იყო თუ სექსი, რომ ორივე მხარე კმაყოფილიაო“!**

დემოკრატიის ამ „ზეიმში“ კიდევ ერთმა კურიოზმა აჩვენა, რომ ორივე მხარე გამარჯვებულია: **კენჭისყრისას უსუფაშვილმა 88 ხმა მიიღო, გია ბარამიძემ კი — 92! რამდენიც უნდა ილაპარაკონ, რომ უმცირესობის ვიცესპიკერი უმრავლესობამ სავალდებულო წესით უნდა დაამტკიცოს, ეს განსხვავება მიღებულ ხმებში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ „ნაციონალები“ საკუთარ დაუსჯელობაში დარწმუნებულნი არიან და არც „ოცნებისთვის“ აპირებენ კომფორტული სამუშაო ვითარების შექმნას.** თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ 65 „ნაციონალიდან“ 7 დეპუტატი სხდომას არ ესწრებოდა, გამოდის, რომ **34-მა „მეოცნებემ“ გია ბარამიძეს, ანუ იმას დაუჭირა მხარი, რის დამარცხებასაც საკუთარ ამომრჩეველს ჰპირდებოდა.**

როცა პატარა ქვეყანაში, ერთ ბოლოსა და მეორე კიდეში ერთნაირი ამბავი ხდება, უნდა მიხვდე, რომ ეს შემთხვევითობა არ არის. **კახეთის ახლადდანიშნულმა გუბერნატორმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა, „ოცნების“ ახმეტის შტაბის ინფორმაციით, იქაურ მუნიციპალიტეტში გამგებლის მოადგილეებთან, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან და ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ 6 თვესაც ვერ გასტანს, თუ ისინი ერთად დადგებიან და ადგილზე პრობლემებს შექმნიან. ცხადია, ჭიაბერაშვილმა ეს ინფორმაცია უარყო.**

იმავე დღეს „გურია ნიუსის“ ინფორმაციით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა „ერთგულ დეპუტატებს“ უხმო და თათბირი გამართა. თათბირი ერთგულებას მიეძღვნა („ერთგულება რა, ძაღლი კი არა ვარ“ — „ნაციონალებისთვის“ აქტუალური აღარ არის). მათ ერთმანეთი დაარწმუნეს, რომ ერთი გუნდი არიან და არსად გადასვლას არ აპირებენ. პრეზიდენტს ხელფასების მომატებისთვის მადლობა გადაუხადეს და ახალი სლოგანიც მოიფიქრეს: „გვერდით მდგომის მოღალატეს დამმარხველი არა ჰყავდეს“!

ამასობაში კი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ირინა ენუქიძის „ხსოვნის დაფასების სათანადოდ უზრუნველყოფის“ სურვილი გამოთქვა: **„მინდა, სათანადოდ უზრუნველვყოთ ირინა ენუქიძის ხსოვნის დაფასება. ჩვენც და ძალიან ბევრი ვალში ვართ მასთან — ჩვენი დროის გამორჩეულ ქართველ დედასთან და სულ მინდოდა, გაგვეკეთებინა რამე ისეთი, რაც მის სახელს შეეფერება. თუმცა, ამ შემთხვევაში ერთ სახელსა და გვარზე არ ვსაუბრობთ. ვსაუბრობთ გაცილებით დიდ თემაზე — ერთის მხრივ, პრობლემაზე, მეორე მხრივ, მოქალაქეობის, ადამიანობისა და ძალიან ბევრ სხვა სტანდარტზე. შემეძლო ეს მეთქვა დარბაზიდან, თუ ამ სავარძელში არ აღმოვჩნდებოდი, მაგრამ, რადგან აქ აღმოვჩნდი, არ შემეძლო ეს არ მეთქვა“,** — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

**კარგია, როცა იქ აღმოჩნდები, სადაც ძალიან გინდოდა, მით უფრო, როცა ბიძინა ივანიშვილის გარეშე არამცთუ პარლამენტის თავმჯდომარის, არამედ რიგითი დეპუტატის ადგილს ვერ დაიკავებდი, მაგრამ „ხსოვნის დაფასების სათანადო უზრუნველყოფა“ ჯერჯერობით იმასაც ვერ გაწვდა, რომ დეპუტატებს ფეხზე წამოდგომითა და წუთიერი დუმილით მაინც მიეგოთ ირინა ენუქიძის ხსოვნისთვის პატივი. საინტერესოა, პარლამენტის თავმჯდომარეს ეს რომ მოეთხოვა, ადგებოდნენ თუ არა „ნაციონალები“? ამას ვეღარ გავიგებთ, სამაგიეროდ, ბარამიძის კანდიდატურა რომ უშფოთველად გავიდა, ეს ყველამ თვალნათლივ დაინახა.**

ვიდრე პარლამენტში ეს უშფოთველი ვითარება სუფევდა, „გადაარჩინე სიცოცხლის“ თავმჯდომარემ, კორტებთან მოკლული ზურა ვაზაგაშვილის მამამ — იური ვაზაგაშვილმა განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი გიორგი ცააძე, რომელიც ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობაში მონაწილეობდა, პრეზიდენტმა შეიწყალა. **„გიორგი ცააძე არის ერთ-ერთი შემსრულებელი ჩემი შვილის მკვლელობის, სწორედ მან განახორციელა საკონტროლო გასროლა. იგი არის ხულიგანი, მკვლელი. ყოველ სიმთვრალეში ცემდა ადამიანებს და შეურაცხყოფას აყენებდა. იგი არა ზურას საქმეზე, არამედ სხვა ბრალდებით იყო გასამართლებული“,** — განაცხადა იური ვაზაგაშვილმა.

რა გამოდის? „გამარჯვებულ“ ძალას არ შესწევს გამბედაობა, ირინა ენუქიძის ხსოვნის სახელით ფეხზე წამოაყენოს „დამარცხებული“ პარტიის დეპუტატები, ვერ უწევს წინააღმდეგობას უმრავლესობისთვის მიუღებელი ვიცე-სპიკერის კანდიდატურას, ხოლო „დამარცხებული“ ძალის ლიდერს ჰყოფნის თავხედობა, შეწყალებით გამოუშვას გახმაურებული მკვლელობის მონაწილე. **ვინ არის აქ დამარცხებული და ვინ — გამარჯვებული? ვინ მართავს პოლიტკორექტულობის ამ სამარცხვინო სპექტაკლს?**

ან გამარჯვება ჰქვია იმას, რომ დემეტრაძის გათავისუფლების ნაცვლად ფეხბურთელები რუსთავის მე-17 კოლონიაში შედიან და მას ფეხბურთს ეთამაშებიან? ამხანაგური მატჩის ინიციატორი დემეტრაძის მეგობარი ლადო ბურდული ამბობს: **„რამდენიმე წლის წინათაც შევედით და ვითამაშეთ ფეხბურთი პატიმრებთან. მერე, დემე რომ დაიჭირეს, მქონდა მცდელობა, მაგრამ უარი მითხრეს. ახლაც ვცადე და სასჯელაღსრულების სამინისტროდან შაბათს დაგვირეკეს, კვირას ორ საათზე გელოდებითო. შევკრიბე 8-კაციანი გუნდი, შევედით და ვითამაშეთ...** (აქ ყურადღებით! — ნ.დ.) **შეხვედრას პატიმრებიც ესწრებოდნენ, ალბათ, 1000 კაცზე მეტი კი იყო. ბევრი ნაცნობი და მეგობარი ვნახეთ. ძალიან ემოციური დღე გამოვიდა“...**

1000 კაცზე მეტი პატიმარი, რომელთა შორის ბევრ ნაცნობსა და მეგობარს აღმოაჩენ — აი, ეს არის ქართული რეალობა და არა სახელდახელოდ მორეცხილი თეთრი იატაკი ქუთაისის პარლამენტის შენობაში, რომელსაც „დიდების მემორიალის“ აფეთქებისას დაღუპული დედა-შვილის სისხლის ლაქები, რამდენიც უნდა რეცხო, მაინც დაეტყობა!

დღეს 24 ოქტომბერია. ორიოდე დღის წინ კიდევ ორი სკანდალის კონტურები გამოიკვეთა. პირველი გია ხუხაშვილს უკავშირდება, რომელმაც უკვე დატოვა კოალიცია „ქართული ოცნება“. Frontnews-მა, ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია საპარლამენტო სიის დაკომპლექტებაში ექსპერტ გია ხუხაშვილის როლის შესახებ.

მეორე სკანდალი ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატ კახა კალაძეს უკავშირდება. როგორც გაირკვა, კალაძის კუთვნილმა ჰოლდინგმა სულ ახლახან შეიძინა სააქციო საზოგადოება „ჰიდრომშენის“ აქციათა 45%.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ „დამარცხებული“ პარტია მშვენივრად ახერხებს, პრობლემები შეუქმნას კოალიციას. ეს პოლიტტექნოლოგია და პიარია.

**„ნაციონალურ მოძრაობას“ კარგი ოპოზიციური სკოლა აქვს გავლილი. თავის დროზე ისინი მთელ კამპანიას აგებდნენ იმაზე, თითქოს შევარდნაძის ხელისუფლება პურის გაძვირებას აპირებდა. ახლა პური რეალურად გაძვირდა, გამარჯვებულ კოალიციას კი ამაზე რეაქცია არა აქვს. „ნაციონალებმა“ უკვე დაიწყეს „ოცნების“ სახეების გაშავება. რეგიონებში თუ კიდევ ცოტა ხანს არაფერი შეიცვალა, სააკაშვილის ვერტიკალი ჩაბეტონებას მოახერხებს და ხალხს ისევ გაუცრუვდება იმედები.**

ქუთაისის პარლამენტში შესვლისას „ნაცმოძრაობის“ დეპუტატები ახალგაზრდებმა სტვენით შეაცილეს. ისინი კი მოტრიალდნენ და უტიფრად განაცხადეს, „ჩვენ დავბრუნდებითო“! ჯერ არწასულები კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებენ და ამერიკელი მეგობრების იმედით, თამამადაც არიან. მეგობრები კი „კონსტიტუციურ ჩარჩოებში“ პროცესის მოქცევით არიან დაკავებულნი. იმ კონსტიტუციის, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ საკუთარი ლიდერის პოლიტიკურ ამბიციებს მოარგო და რომელშიც კონსტიტუციის სახელიღა არის დარჩენილი.

**თუ ასე გაგრძელდა, პარლამენტი სულ უფრო დაემსგავსება „მიშას ყოფილი მეგობრების კლუბს“, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის იმის სრული გარანტია იქნება, რომ „ვარდების რევოლუცია“ კვლავაც წარმატებულ პროექტად მოინათლოს.** ბოლოხანს კი „ფეისბუქში“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სტატუსი ყოფილ მინისტრ გოგა ხაჩიძეს ეკუთვნის: **„ნატოში უნდა შევიდეთო, რუსეთი ოკუპანტიაო, ავლანეთში უნდა დავრჩეთო, ბევრი კარგი პროექტია დაწყებული და უნდა გავაგრძელოთო, იუსტიციის სახლები გადასარევიაო, პოლიცია კარგად მუშაობსო, კრიმინალს ნულოვანი ტოლერანტობაო, მეჩეთი უნდა აშენდესო, პენსიას ცოტათი გავზრდითო, ცოტა მოითმინეთო... აბა, თქვე კაი ხალხო, „ვიდზე“ თუ არ მოგწონდით, გეთქვათ და ეგება პლასტიკურ ოპერაციას ვიკეთებდით“!**

არ არის მართალი? იმ „ოცნებას“ რა ვუთხარი, „ნაციონალებს“ რომ სიმართლეს ათქმევინებს!

**ნანა დევდარიანი**

ოპოზიციური საზოგადოების დიდი ნაწილი 2008 წლის გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სააკაშვილს არა ლეგიტიმურ პრეზიდენტად, არამედ ბანალურ უზურპატორად თვლის და „პრეზიდენტს“ არასოდეს უწოდებს.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოპოზიცია თუ ბანდა?!

**21 ოქტომბერს, ახალი პარლამენტის პირველ სხდომაზე მიხეილ სააკაშვილს თავის პოლიტიკურ კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე წუთების გადატანა მოუხდა, თანაც იმ შენობაში, რომელშიც, მისივე ჩანაფიქრით, „ნაციონალური მოძრაობის“ ტრიუმფი საბოლოოდ უნდა გაფორმებულიყო. ის ძალიან ნერვიულობდა, ჩქარობდა, სიტყვებს ყლაპავდა და აშკარა იყო, რომ ერთი სული ჰქონდა, სხდომათა დარბაზი რაც შეიძლება მალე დაეტოვებინა. მის ქცევაში არ შეინიშნებოდა არაფერი „ღირსეული დამარცხების“ ეთიკისა და ესთეტიკისგან, თუნდაც ეს ერთ რეპლიკაში ან ჟესტში გამოვლენილიყო, თუმცა ამას, ფიგურანტის ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მისგან, პრინციპში, არც არავინ ელოდა. შატობრიანის ფრაზის „იმ დღეს მეფემ დაკარგა ყველაფერი ღირსების გარდა“ (ფრანცისკ I-ისა და მისთვის საბედისწერო პავიას ბრძოლის შესახებ) მისადაგება სააკაშვილის მიმართ აშკარად არ გამოგვივა, რადგან ის, რაც პარლამენტის დარბაზში ვიხილეთ, ყველაზე მეტად ერთ ჩვეულებრივ, ცუდად შენიღბულ ისტერიკას მოგვაგონებდა.**



**გამარჯვებულ კოალიციას ამ ეტაპზე «ნაცმოძრაობასთან» სერიოზულ საჯარო დისკუსიებში ჩაბმა არ სურს, რადგან ამით სააკაშვილის ჯგუფს შესაძლებლობას მისცემს, დაშორდეს «დამნაშავეთა ბანდის» იმიჯს, რომელიც მისი მოწინააღმდეგეების აღქმაში დაიმკვიდრა, და სავსებით ლეგიტიმური ოპოზიციის ნიღაბი მოირგოს**

უმრავლესობა სააკაშვილს ფეხზე ადგომით არ შეხვდა, ტაში არ დაუკრა და ეს გასაგებიცაა, თავი რომ დავანებოთ ყველა იმ უმსგავსობას, რომლებიც ძველმა ხელისუფლებამ წინასაარჩევნო პერიოდში ჩაიდინა, ეს რეჟიმის მსხვერპლთა შეურაცხყოფა იქნებოდა. საინტერესოა, რომ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელმა მიხეილ მაჭავარიანმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განაცხადა, რომ ფეხზე ადგომის აუცილებლობა სააკაშვილის სტატუსიდან გამომდინარეობდა: „ის 5 წლითაა არჩეული და მას ყველა უნდა შეხვდეს, როგორც საქართველოს პრეზიდენტს“, მაგრამ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ **ოპოზიციური საზოგადოების დიდი ნაწილი 2008 წლის გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სააკაშვილს არა ლეგიტიმურ პრეზიდენტად, არამედ ბანალურ უზურპატორად თვლის და „პრეზიდენტს“ არასოდეს უწოდებს.** სხვათა შორის, ამ მცირე ნიუანსის, ანუ იმის მიხედვით, მოიხსენიებს თუ არა სააკაშვილს პრეზიდენტად, შესაძლებელია იმ ადამიანის ამოცნობა, რომელიც ოპოზიციაში არცთუ დიდი ხნის წინ გადავიდა. არსებითი მნიშვნელობა ამას უკვე აღარ აქვს, ფაქტი კი ერთია: **„ქართული ოცნების“ ამომრჩევლები უკიდურესად გაღიზიანდებოდნენ, თუ მათი დეპუტატები სააკაშვილს ფეხზე ადგომით შეეგებებოდნენ ან ტაშს დაუკრავდნენ. მათ ეს არ გააკეთეს, მითუმეტეს, ამის სურვილი არც ჰქონდათ. მათმა დუმილმა სააკაშვილზე, სავარაუდოდ, მეტად დამთრგუნველად იმოქმედა, ისევე, როგორც მისი ფრაქციის დეპუტატებზე, რომელთაც, სხვა ყველაფერთან ერთად, დარბაზში შესვლამდე მომიტინგეთა მიერ მოწყობილ ერთგვარ „სირცხვილის დერეფანში! გავლა მოუხდათ.**

სააკაშვილის განწყობა, ვნებები და მენტალური მდგომარეობა ქვეყნისთვის განსაკუთრებულ პრობლემას აღარ წარმოადგენს და მათზე შეჩერებას აზრი არ აქვს, რადგან ის დრო, როდესაც ხელისუფლების ნაბიჯების პროგნოზირება სააკაშვილის შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარე ან კლინიკური ფსიქიატრიის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით გვიხდებოდა, როგორც ჩანს, სამუდამოდ დასრულდა. რაც შეეხება მისი გამოსვლის პოლიტიკურ შემადგენელს, მასში, ალბათ, ერთადერთი საყურადღებო მონაკვეთი იყო: **„პირდაპირი არჩევის წესი სხვა (და არა მხოლოდ თბილისის) მერებსა და გამგებლებზეც უნდა გავრცელდეს. ასევე გთავაზობთ, რომ პირდაპირი წესით ავირჩიოთ ყველა გუბერნატორი“.**

რაც შეეხება მერებსა და გამგებლებს, ამ საკითხს ოპოზიცია წლების განმავლობაში ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ ფორმირებამდე აყენებდა, სააკაშვილის ხელისუფლება კი გადაწყვეტილების მიღებას მაქსიმალურად აფერხებდა. ის ბეჰემოტური ელეგანტურობა, რომლითაც სააკაშვილმა სხვისი ინიციატივის მითვისება სცადა, უდავოდ აღნიშვნას იმსახურებს. ამ პრობლემის გადაწყვეტას დღეს წინ აღარაფერი უდგას, მითუმეტეს, რომ პარლამენტში უმრავლესობით მოსულ „ქართულ ოცნებას“ თავის საარჩევნო პროგრამაში შავით თეთრზე უწერია: „შეიქმნება ადგილობრივი თვითმმართველობა პირდაპირი წესით არჩეული საკრებულოებისა და მერების (გამგებლების) სახით“. სააკაშვილს კი ამ თემის ხსენება, სავარაუდოდ, იმისთვის დასჭირდა, რომ მასზე, როგორც ლოკომოტივზე, მისთვის მნიშვნელოვანი „ვაგონი“, გუბერნატორების არჩევითობა, მიება. ეს კი სულ სხვა, გაცილებით რთული და სადავო საკითხია.

სააკაშვილის მმართველობის წლებში გუბერნატორებმა, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, „ქაღალდზე“ არც ისე ბევრი უფლება ჰქონდათ, ადგილობრივ თვითმმართველობას, ფაქტობრივად, ბულდოზერით გადაუარეს. ისინი, როგორც წესი, ძველსპარსული სატრაპებივით იქცეოდნენ, არანაირად არ კონტროლდებოდნენ რეგიონების მოსახლეობის მიერ და ანგარიშვალდებულები მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის წინაშე იყვნენ. გუბერნატორების ინსტიტუტი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს სისტემაში, რომელიც ქვეყანაზე სააკაშვილის ავტორიტარულ კონტროლს უზრუნველყოფდა.

**როდესაც 2010 წლის ოქტომბერში სააკაშვილი კონსტიტუციას საკუთარ თავზე (მერამდენედ?) ირგებდა, გუბერნატორების დანიშვნის უფლება პრეზიდენტს ჩამოერთვა (რომელსაც საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ მართვის გაცილებით ნაკლები ბერკეტი ექნება, ვიდრე პრემიერ-მინისტრს) და მთავრობას გადაეცა.**

საინტერესოა, რომ ცვლილებების პირველ რედაქციაში გუბერნატორების დანიშვნა პრეზიდენტთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო, მაგრამ საბოლოოდ დამტკიცდა ვარიანტი, რომელიც **გუბერნატორების მთავრობის (ფაქტობრივად კი პრემიერ-მინისტრის) მიერ დანიშვნას გულისხმობს.** მაშინ სააკაშვილი დარწმუნებული იყო, რომ პრემიერ-მინისტრი გახდებოდა ან, დასავლეთის აქტიური წინააღმდეგობის შემთხვევაში, პრემიერის სავარძელში თავის მარიონეტს დასვამდა და კონტროლი ქვეყანაზე (და მათ შორის გუბერნატორებზე) მის ხელში დარჩებოდა. ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებს წააგებდა, ახლა კი ფაქტის წინაშე დადგა: **მის მიერვე ინიცირებული ცვლილებების ამოქმედებისთანავე, გუბერნატორების დანიშვნა ივანიშვილის მთავრობის ხელში გადავა.** ახლა სააკაშვილი, როგორც ჩანს, ცდილობს, გადაათამაშოს სიტუაცია, რომელიც მისივე გადაწყვეტილებებმა შექმნეს და ამას დემოკრატიაზე ზრუნვით ნიღბავს.

„ქართული ოცნების“ ხედვა გუბერნატორის ინსტიტუტთან და რეგიონულ თვითმმართველობასთან დაკავშირებით შემდეგნაირია: **„შეიქმნება პირობები სამხარეო თვითმმართველობის ჩამოყალიბებისათვის, გარდამავალ ეტაპზე კი მოხდება მხარეებისთვის ტერიტორიულ-სამართლებრივი სტატუსის მინიჭება, მათთვის რეალური უფლებამოსილების გადაცემა და რესურსული უზრუნველყოფა, მმართველობის დემოკრატიული ფორმებისა და მექანიზმის ჩამოყალიბება. უზრუნველყოფილი იქნება ხელისუფლების ავტორიტარული მართვის სისტემის რეგიონულ განშტოებად ჩამოყალიბებული გუბერნატორის ინსტიტუტის ჩანაცვლება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე დაფუძნებული ქმედითი სამხარეო ხელისუფლების სისტემით. რეგიონს მიენიჭება ტერიტორიული ერთეულის სტატუსი, იგი უზრუნველყოფილი იქნება სტაბილური საბიუჯეტო შემოსავლებითა და უფლებამოსილებით“.** ამგვარად, გუბერნატორის ინსტიტუტის მომავალი განიხილება არა ცალკე, არამედ მასშტაბური და, შესაძლოა, არცთუ სწრაფი რეფორმის კონტექსტში. ამ მიდგომის ფარგლებში ეტაპობრივი ტრანსფორმაცია უნდა განიცადოს სისტემამ მთლიანობაში, სააკაშვილის წინადადების მიღების შემთხვევაში კი, რეფორმის „სიმძიმის ცენტრი“ გახდება არჩევითი გუბერნატორის ფიგურა და ის უფლებები, რომლებიც მას უნდა მიენიჭოს. ეს ნიუანსი ძნელად შესამჩნევია, მაგრამ მნიშვნელოვანი, მის უკან დისბალანსისა და მანკიერი სისტემის ნაჩქარევად შექმნის საფრთხე იმალება.

**„ნაციონალური მოძრაობის“ შანსები — რომელიმე რეგიონში არჩევნები მოიგოს, დღეს ძალზე არადამაჯერებლად გამოიყურება, თუმცა მათ, როგორც ჩანს, ურჩევნიათ, ამ გზით წავიდნენ. ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში იარსებებს თუნდაც მცირე ალბათობა იმისა, რომ ერთი გუბერნატორი მაინც „ნაციონალი“ გახდება. ეს სააკაშვილის ჯგუფისთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე გუბერნატორების დანიშვნის უფლების უბრალო გადასვლა ივანიშვილის მთავრობის ხელში, შეცვლილი საკონსტიტუციო ნორმების ამოქმედების შემდეგ. ამასთანავე, თუ „ქართული ოცნება“ სააკაშვილის ინიციატივას უგულვებელყოფს, „ნაციონალებს“ შესაძლებლობა მიეცემათ, დასავლელ პარტნიორებთან იჩივლონ, რომ ახალი ხელისუფლება გუბერნატორების არჩევითობას და, აქედან გამომდინარე, დემოკრატიას ებრძვის.**

არის კიდევ ორი ფაქტორი: დღეს „ნაცმოძრაობა“ რღვევის სტადიაშია და არც ერთი მიმართულებით კონტრშეტევაზე გადასვლის რეალური შესაძლებლობა არ აქვს, ეს კი მის წევრებზე ფრიად დამთრგუნველად მოქმედებს. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია, თანაპარტიელებს მომავლის იმედი ჩაუსახო და თუნდაც შორეულ პერსპექტივებზე ესაუბრო; უხეშად რომ ვთქვათ, მისცე რაღაც „საქმე“, თუნდაც ეს გუბერნატორების არჩევის იდეის ტირაჟირება და ჰიპოთეტური რეგიონული არჩევნებისთვის მზადება იყოს. ამასთანავე, თუ ჩვენ წამით წარმოვიდგენთ, რომ ახალი ხელისუფლება ამ წინადადებას მიიღებს, **ალბათ, ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ „ნაცმოძრაობა“ თავის შემცირებულ ძალებს მთელი ქვეყნის მასშტაბით კი არ დაქსაქსავს, არამედ მოახდენს მათ კონცენტრაციას და რეალურად შეეცდება, არჩევნები 2-3 ან სულაც ერთადერთ მხარეში მოიგოს, რათა შემდგომ ის „მიშიზმის“ ბუდედ, „ნაცმოძრაობისთვის“ ესოდენ აუცილებელ საიმედო საყრდენ წერტილად გადააქციოს, რომელიც დღეს არ აქვს.** გამორიცხული არაა, რომ თავიანთ გათვლებში ისინი სამეგრელოს უმიზნებენ, რადგან სააკაშვილის ჯგუფი დღეს, ისევე, როგორც არჩევნებამდე, მიიჩნევს, რომ იქ წარმატების მიღწევის შედარებით მაღალი შანსი აქვს.

ცხადია, ასე შორს პროცესი არ წავა, რადგან „ქართული ოცნება“ ამ ინიციატივას განსაკუთრებულ ყურადღებას, სავარაუდოდ, არ მიაქცევს. მისი წარმომადგენლების აზრით, **სააკაშვილი დღეს იმ მდგომარეობაში არ იმყოფება, რომ პირობები წამოაყენოს, ვინმე დამოძღვროს ან თუნდაც მასშტაბური ინიციატივებით გამოვიდეს.** სააკაშვილის გამოსვლის შემდეგ კოალიციის წარმომადგენელმა დავით ბერძენიშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში თქვა, რომ ეს იდეები აქტუალური არ არის და დასძინა: „პოლიტიკის დღის წესრიგს უკვე „ქართული ოცნება“ განსაზღვრავს“. საერთოდ, აშკარაა, რომ **გამარჯვებულ კოალიციას ამ ეტაპზე „ნაცმოძრაობასთან“ სერიოზულ საჯარო დისკუსიებში ჩაბმა არ სურს, რადგან ამით სააკაშვილის ჯგუფს შესაძლებლობას მისცემს, დაშორდეს „დამნაშავეთა ბანდის“ იმიჯს, რომელიც მისი მოწინააღმდეგეების აღქმაში დაიმკვიდრა, და სავსებით ლეგიტიმური ოპოზიციის ნიღაბი მოირგოს** (ეს, სავარაუდოდ, სააკაშვილის ჩანაფიქრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო). ეს პოზიცია დაახლოებით ასეთ ფორმულას ეფუძნება: „ჯერ წადით და პროკურორთან იდებატეთ. შემდეგ, ვისაც სურვილი და შესაძლებლობა გექნებათ, დაბრუნდით და გნებავთ, გუბერნატორებზე, გნებავთ, კანტის კატეგორიულ იმპერატივზე ვიმსჯელოთ“.

თუმცა, ყოველივე თქმულის მიუხედავად, სააკაშვილის მიერ გაჟღერებული ინიციატივა მაინც მნიშვნელოვან სიგნალს წარმოადგენს, იმ თვალსაზრისით, რომ საარჩევნო კრახის შემდეგ „ნაცმოძრაობამ“ გონს მოსვლა და პირველი, მეტ-ნაკლებად რაციონალური ტაქტიკური კომბინაციების მოფიქრება დაიწყო. საინტერესოა, მისცემს თუ არა მას „ქართული ოცნება“ და მისი მხარდამჭერი საზოგადოება შესაძლებლობას, სული მოითქვას, თუ ძლიერი დარტყმების ახალი სერიით, გივი ვასილიჩის თქმის არ იყოს, „სულს ამოხდის“?

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დასავლეთ თანამეგობრობაში შესვლა — ეს არის ასევე გეიაღლუმები და ლიბერალური დემოკრატიის სხვა მიმზიდველი საკითხები. ვფიქრობ, რომ ქართულ საზოგადოებას არ ენდომება მოვლენათა ასეთი განვითარება. მაგრამ ეს ცვლილებები დასავლური კურსის არჩევისას, ადრე თუ გვიან აუცილებლად დადგება. ეს მხოლოდ დროის საკითხია“.

**ლეონიდ სავინი:**

# დასავლეთ თანამეგობრობაში შესვლა ნიშნავს ქართული უნიკალური კულტურის მასიური სუროგატით ჩანაცვლებას...

**საქართველოს ბოლო დროის პოლიტიკური ცხოვრება აქტიურად განიხილება ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. საქართველოს ხომ განსაკუთრებული მნიშვნელობის ადგილი უკავია არა მხოლოდ რეგიონში, არამედ სხვა პოლიტიკურ და გეოგრაფიულ სივრცეებშიც. გასული არჩევნებისა და მომავლის სავარუდო პერსპექტივების შეფასება ჩვენ ლეონიდ სავინს ვთხოვეთ. ლეონიდ ვლადიმერის ძე სავინი დაიბადა 1974 წელს ქალაქ სუმში (უკრაინა). 2007 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში. 1995 წლიდან ჩაება პროფესიულ ჟურნალისტიკაში. იყო სხვადასხვა გამოცემების რედაქტორი. ათასზე მეტი პუბლიკაციის ავტორი რუსულ თუ უკრაინულ პრესაში. 2001 წლიდან არის მთელი რიგი რეგიონული, ნაციონალური და საერთაშორისო საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო პროექტებისა და ინიციატივების ხელმძღვანელი, მათ შორის 2003-2006 წლებში იყო საერთაშორისო სოციალური ქსელის — People's Global Action-ის წარმომადგენელი უკრაინაში, ასევე განსხვავებული თემატიკის სემინარების ლექტორი და მოდერატორი (ჟურნალისტის ეთიკითა და საპროტესტო სტუდენტური მოძრაობებით დაწყებული, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების საქმიანობით დამთავრებული). ამჟამად არის Евразия ТВ–ის არხზე ავტორი და წამყვანი პროგრამისა „სტრატეგები“, ახალგაზრდობის ევრაზიული კავშირის კომისარი.**



## «ივანიშვილმა გამარჯვებისთანავე განაცხადა საქართველოს ნატოსკენ მისწრაფების შესახებ. ეს საკითხი კი ძალიან მგრძნობიარე და პრინციპულია რუსეთისთვის»

**— როგორც ცნობილია, საქართველოში, საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალა — კოალიცია „ქართული ოცნება“ — მოვიდა ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით. როგორ შეაფასებთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ასეთ შემობრუნებას და, თქვენის აზრით, როგორია მასში თავად ბიძინა ივანიშვილის, როგორც პიროვნების, როლი?**

— რა თქმა უნდა, ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლა და მის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ფორმირება დადებითი მოვლენაა როგორც ქართველი ხალხისთვის, ისე რუსეთის ფედერაციისთვის. აქ იყო გარკვეული ღელვა იმის თაობაზე, რომ არჩევნებში გამარჯვება შეიძლებოდა სააკაშვილის პარტიას მოეპოვებინა და მაშინ პროამერიკული და ანტირუსული კურსი უცვლელად გაგრძელდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ, ახალი კონსტიტუციის თანახმად, პოლიტიკური ძალების ბალანსი იქნება სხვაგვარი, მიხეილ სააკაშვილის (მისი გუნდის პოლიტიკოსების ჩათვლით) როლი და გავლენა საკმაოდ დაეცემა. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის პიროვნულ თვისებებს, ვფიქრობ, რომ მისი სამუშაოს შეფასება ძალიანნაადრევია. მან, პირველ რიგში, უნდა დაიწყოს თავისი წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება და სწორად (კორექტულად) დაალაგოს ურთიერთობები როგორც რუსეთთან, ასევე სხვა პარტნიორებთანაც – ესენი კი არიან ევროკავშირი და აშშ, და ამისთვის საჭიროა გარკვეული სიფრთხილე.

**— როგორ ფიქრობთ, ახალი ძალები გაატარებენ სხვა, უფრო მეგობრულ პოლიტიკას რუსეთთან დაკავშირებით? და თუ ასე მოხდება, რას მოუტანს ეს თავად საქართველოს?**

— მე ძალიან დიდ იმედი მაქვს ამის, რადგანაც **ადეკვატური და გრძელვადიანი სტრატეგია რუსეთთან ურთიერთობაში იქნება გარანტი საქართველოს კეთილდღეობისა.** რუსეთი წარმოადგენს უზარმაზარ ბაზარს ქართული პროდუქციის სარეალიზაციოდ. მეორეც, ეს არის რუსული ინვესტიციების საკითხი, რაც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში შეუძლებელი იყო. მესამე — ეს არის რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი და ორმხრივი გადაადგილება, რაც ბოლო წლების მანძილზე შეზღუდული იყო. ყველაზე მწვავე საკითხად რჩება ტერიტორიული დავა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ თანდათან შესაძლებელია ამ ურთიერთობების ნორმალიზებაც, ნაბიჯ-ნაბიჯ დაგროვილი პრობლემების მოგვარებით. ასევე, საქართველოს მონაწილეობის გარეშე კავკასიის უსაფრთხოების საკითხის მოგვარება შეუძლებელია. სალაფიტის ტიპის ექსტრემიზმისა და ტერორიზმის ზრდამ, შესაძლოა, მძიმე დარტყმა მიაყენოს თბილისს, ამიტომაც ამ სფეროში უნდა შეიქმნას სანდო კავშირები. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ივანიშვილმა გამარჯვების მოპოვებისთანავე განაცხადა საქართველოს ნატოში მისწრაფების თაობაზე, ეს კი ძალიან მგრძნობიარე და პრინციპული საკითხია რუსეთისთვის.

**— რა მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრივ, საქართველოს ევრაზიული სივრცისთვის და, მეორე მხრივ, ამ სივრცეს თავად საქართველოსთვის?**

— როგორც უკვე ვთქვი, ეს რეგიონული უსაფრთხოების საკითხია. გარდა ამისა, წინააღმდეგობები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, შესაძლოა, სრულად მოიხსნას, თუ ეს ფორმირებები საქართველოსთან ერთად ევრაზიულ კავშირში შევლენ. მექანიზმები, შესაძლოა, სხვადასხვა იყოს — კონფედერაციის სახით ან შეთანხმების საფუძველზე, რომელიც საჭირო გარანტიებს მოიცავს. სამხრეთ კავკასიის ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს გააჩნია ტერიტორიული პრეტენზია ერთმანეთთან და ის, ვინც პირველი შეუერთდება ევრაზიულ კავშირს, შეძლებს გახდეს მისაბაძი მაგალითი თავისი მეზობლებისთვის.

**— თქვენი აზრით, როგორი პლიუსები და მინუსები შეიძლება შეიძინოს საქართველომ თავისი პროდასავლური ან პრორუსული ორიენტაციით?**

— უნდა დავსვათ შეკითხვა, რეალურად რას მისცემს დასალეთი საქართველოს. ტექნიკურ დახმარებასა და პოლიტიკურ რეფორმებს? მაგრამ პასუხობენ კი ისინი ქართველი ხალხის მისწრაფებებსა და მოთხოვნებს? იმავე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროექტი არის კიდევ ერთი მცდელობა რამდენიმე ყოფილი სსრკ-ის რეპუბლიკის ხარჯზე ევროკავშირის გავლენის გაზრდისა, შემდგომში კი ევროპული სამართლის ნორმების იმპლემენტაციისა და ეკონომიკური მექანიზმების მეშვეობით ამ ზონის კონტროლირებად ტერიტორიებად გადაქცევა. კაპიტალიზმის ლოგიკის თვალსაზრისით, „აღმოსავლური პარტნიორობა“ არის ახალი რეალიზაციისთვის საჭირო ბაზრების, რესურსებისა და იაფო სამუშაო ძალის ათვისება. უბრალოდ, ევროკავშირი ამ პოლიტიკას ძალიან ფრთხილად ეწევა და არა ისე, როგორც იმპერიალიზმის ეპოქაში. თუ განვიხილავთ სამხედრო ასპექტს, მაშინ საქართველოს შეთრევა ნატოში ნიშნავს შეიარაღების დასავლურ სისტემაზე გადასვლას, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებს უშვებს. გარდა ამისა, საქართველოს ნატოში იძულებითი შეყვანა ნიშნავს სუვერენიტეტის ნაწილის დაკარგვას, რომელიც ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გადავა (ასეთია ალიანსის წესები). ხოლო როგორ გამოიყენებენ ქართულ ჯარს — ეს უკვე სხვა საკითხია (თანაც ბოლო წლებში ქართველი სამხედრო მოსამსახურეები ამოქმედდნენ ავღანეთში). ამასთან, იქ ქართველი გენერლები აღარ გასცემენ ბრძანებებს, ხოლო დასახული მიზნების შესრულება, შესაძლოა, მკვეთრად განსხვავდებოდეს საქართველოს ეროვნული ინტერესებისგან. **დასავლეთ თანამეგობრობაში შესვლა ნიშნავს, ასევე, ქართული უნიკალური კულტურის მასობრივი სუროგატით ჩანაცვლებას, რომელიც დაბერებული ევროპული თანამეგობრობის თარგზე იქნება მოჭრილი. ეს არის ასევე გეიაღლუმები და ლიბერალური დემოკრატიის სხვა მიმზიდველი საკითხები. ვფიქრობ, რომ ქართულ საზოგადოებას არ ენდომება მოვლენათა ასეთი განვითარება.** მაგრამ ეს ცვლილებები აუცილებლად დადგება დასავლური კურსის არჩევისას, ადრე თუ გვიან. ეს, უბრალოდ, დროის საკითხია, ხოლო **მართებული საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევის შემთხვევაში საქართველოს ექნება ყველა შესაძლებლობა თავისი პოტენციალის გამოსაყენებლად.** საგარეო პოლიტიკაში მოსკოვი მიჰყვება მრავალპოლარულობას და იქ საქართველოსთვის ყოველთვის გამოინახება საპატიო ადგილი თავისი კურსის გასატარებლად არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პერსპექტივაა და ამ საკითხზე მიზანმიმართული მუშაობაა საჭირო. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ დსთ-ს წევრობის საკითხი კვლავ თუ უნდა დადგეს, რამდენადაც არის ურთიერთქმედების მთელი რიგი სხვა ხერხები. მაგრამ ის, რომ საქართველო რუსეთთან ერთად უნდა მიჰყვეს ევრაზიულ პოლიტიკას, მიმართულს მრავალპოლარული მსოფლიომოწყობისკენ, ამაში მე დარწმუნებული ვარ. დიახ, იქნება რთული, მაგრამ გრანდიოზული პროექტები სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს, განსაკუთრებით ჩვენს დროში.

**«საქართველოს ნატოში იძულებითი შეყვანა ნიშნავს სუვერენიტეტის ნაწილის დაკარგვას, რომელიც ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გადავა (ასეთია ალიანსის წესები). ხოლო როგორ გამოიყენებენ ქართულ ჯარს — ეს უკვე სხვა საკითხია»**

ესაუბრა
ვანო ჩოკორაია

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ის, თუ რამდენად დომინანტურია და წარმმართველი „თავისუფლების ინსტიტუტის“ საცეცები „ქართულ ოცნებაში“, იქიდან გახდება ცხადი, თუ ვინ დაიკავებს სახალხო დამცველის და შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის სავარძელს...

# ტესტი, რომელიც «ოცნებაზე» მეტია

**ჯერ სახალხო დამცველის პოსტზე სავარაუდო კანდიდატების: ნანა კაკაბაძის, დიმიტრი ლორთქიფანიძის, გელა ნიკოლაიშვილისა და ორი „თამარქალის“ — ჩუგოშვილისა (ზედმეტსახელი „ჩუგო“) და გურჩიანის შესახებ მოგახსენებთ... აქედან პირველი სამი, პრინციპში, მისაღები კანდიდატურები არიან ქართული საზოგადოების უმრავლესობისთვის, ანუ, როგორც იტყვიან, ეს გემოვნების საკითხია და ამაზე ქვემოთ!..**

რაც შეეხება ორ თამარს, აქ გაცილებით მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე — ე.წ. საია-ს (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) „დირექტორი“ ჩუგოშვილი და ასევე ლიბერასტულ წრეებში დაფრთიანებული და საერთაშორისო ასპარეზზე აფრთიანებული გურჩიანი, პირველი სამეულისგან განსხვავებით, საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელია, რადგან არც ერთი არის ანგელოზი და არც მეორე ქერუბიმი!

განსაკუთრებით მას შემდეგ ფუთფუთებენ „საია“ თუ მისი მონათესავე „ენჯეოები“ საქართველოში, რაც ამ 5-6 თვის წინ იმ ქვეყნის სახელმწიფო მდივანმა, რომლიდანაც მოედინება ჩვენი ლიბერასტი „უფლებადამცველების“ საბანკო ანგარიშებზე დოლარების მდინარეები, მადამ კლინტონმა ხმამაღლა განაცხადა, რომ აშშ-ის საგარეო პრიორიტეტი პედერასტების უფლებების დაცვაა მთელ მსოფლიოში, ხოლო ბარაკ ობამამ პირდაპირ „მიაბა“ ამერიკის ფინანსური დახმარება-არდახმარება ამა თუ იმ ქვეყანაში ამ უფლებების დაცვა-არდაცვას!

ამიტომაც განსაკუთრებულად აღშფოთდა „საია“, როცა ა. წ. 17 მაისს გავბედეთ თბილისელებმა და თავისუფლად არ გავატარეთ ადგილობრივი პედერასტები, პირადად თამარ ჩუგოშვილმა, სადაც ჯერ არს, საჩივარი აფრინა აღლუმის ხელისშემშლელთა (რომელთა შორის მეც გახლდით) და ამ „უსამართლობის“ შემხედვარე უმოქმედოდ მდგარი პატრულის (იქაც ქართველი ბიჭები, კაცები მსახურობენ და არც მათ სიამოვნებთ „ქათმების კრიახი“) მკაცრად დასჯის მოთხოვნით. აღლუმის, რომლის ჩაშლა იმავე საღამოს ოპერატიულად დაგმო სპეციალური განცხადებით აშშ-ის მაშინდელმა ელჩმა ჯონ ბასმა; რომელსაც გერმანიიდან, დაუსწრებლად, მაგრამ მკაცრად, „მხარი მისცა“ ბუნდეს საგარეო მინისტრმა და შეთავსებით ცნობილმა „გომიკმა“, გვიდო ვესტერველემ!

მეორე დღესვე ისმინეს „ჩუგოს“ ღაღადისი და ჯერ სოსო მანჯავიძე „დასაჯეს“ 100-ლარიანი ჯარიმით პედერასტისთვის „ნაჭმევი“ ალიყურისთვის, ხოლო საღამოს თბილისში აკრედიტირებულმა ლამის მთელმა დიპკორპუსმა სოლიდარობა გამოუცხადა პარლამენტის წინ აქციაზე ჯერ კიდევ „ბნელი“ ქართველების მიერ „ჩაგრულ“ პედკორპუსს!

თუმცა, როგორც შემდგომში გაირკვა, კიდევ იოლად გადავრჩენილვართ — თუ კი თბილისში ადგილობრივ „ქათმებს“ სულ რაღაც ორი „გომიკი“ ჰყავდათ ამერიკიდან „საპატიო“ სტუმრად მოწვეული, რომლებმაც 51-ე სკოლასთან, ჩვენი შვილების თვალწინ (!!!) დემონსტრაციული „ზასაობით“ გახსნეს აღლუმი და რუსთაველისკენ დაიძრნენ, თბილისის ჩაშლილი აღლუმის შემდეგ 2 კვირაში ბალტიის ქვეყნების პედერასტების „სხოდკა“ გაიმართა რიგაში და სულ „ურა-ვაშათი“ იჯეჯილეს, რადგანაც ხელშეუხებლობის გარანტად აღლუმს წინ მიუძღოდნენ ბალტიის ქვეყნებში აშშ-ის ელჩები (!!!) და ევროპარლამენტის დეპუტატები!.. ანუ იმ ჯიშ-ჯილაგის ხალხი, რომლებიც წლების მანძილზე მიშნაცების სადისტურ ტირანიას დემოკრატიის შუქურას უწოდებდა, და ახლაც კი, იგივე ხალხი, ისევ მიშნაცების მიერ „აშენებული დემოკრატიის“ დამსახურებად თვლის არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას.

**და ამით უკვე მერამდენედ შეურაცხყოფენ ქართველ ხალხს, რადგან ვინ — ვინ და ჩვენ ხომ კარგად მოგვეხსენება, რა „დემოკრატიული“ არჩევნებიც იყო და, რომ არა გამწარებული ქართველი ერის უკანასკნელი თავგანწირული გაბრძოლება, ისევ გამარჯვებულად გამოაცხადებდნენ ნაცები საკუთარ თავს და ისევ „გაუპრავებდნენ“ ამ შედეგს დასავლეთში, როგორც არა ერთხელ „გაუპრავებიათ“?!**

რაც შეეხება ე. წ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობის შეცვლის საკითხს, რომელიც ახლო მომავალში აუცილებლად უნდა მოხდეს, ამ პოსტზე მთავარ კანდიდატებად ე. წ. მედიაექსპერტები (ნეტავი რას ნიშნავს და ვინ და რისთვის ანიჭებს მავანს ამ ტიტულს, ან იქნებ რომელიმე უნივერსიტეტის დიპლომში წერია მსგავსი რამ?) ზვიად ქორიძე და ია ანთაძე განიხილებიან. „ექსპერტები“, რომლებიც ისევე შორს დგანან ქართული ტრადიციული ღირებულებებისგან, როგორც ზემოთ ნახსენები „ენჯეოები“, რადგან ორივენი „თავისუფლების ინსტიტუტთან“ ფარულად თუ აშკარად ასოცირდებიან და ისინიც „ადამიანის უფლებებს“ მხოლოდ ლიბერასტული სამრეკლოდან განიხილავენ!

რაც შეეხება საზმაუს ხელმძღვანელისა და ომბუდსმენის ქართულად მოაზროვნე კანდიდატურებს, მათ მხოლოდ ზრდილობის გულისთვის განიხილავენ იქ, სადაც გადაწყდება, თუ ვინ დაიკავებს გია ჭანტურიას სავარძელსაც და სახალხო დამცველისასაც!

### საქართველო – ქართველებისთვისაც! არც ასე შეიძლება, ლიბერასტებო?

ამ თემის მიმოხილვა, დიდი ხანია, მინდოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ბოლო წვეთი მოთმინების ფიალაში „ქართული ოცნების“ მინისტრობის კანდიდატზე, დავით დარახველიძეზე ზემოთ ნახსენები ლიბერასტების აფთრების თავდასხმა იყო, მაგრამ მოდით, ცოტა შორიდან, „დიდი ხანია მინდოდადან“ დავიწყებ:





**ეს ტესტია, ტესტი რომელიც ოცნებაზე მეტია და მისი ჩაუბარებლობა «ქართულ ოცნებას» რეიტინგის ფასად დაუჯდება!**





თანამედროვეობის ერთ-ერთმა დიდმა ქართველმა ხელოვანმა ბატონმა რობერტ სტურუამ ერთი შეხედვით ფრიად უწყინარი და, რაც მთავარია, ბუნებრივი რამ თქვა — საქართველოს პრეზიდენტი არა სომეხი (მითუმეტეს ფარული, საკუთარი ეროვნების უარმყოფელი, გვარგადაკეთებული) სააკაშვილი, არამედ მინდა, რომ ვინმე ქართველი იყოსო!

გამაგებინეთ, ლიბერასტო „ენჯეოშნიკებო“, რა არის ამ ფრაზაში, გნებავთ, სურვილში, არა თუ ჩვენი ძმებისთვის, სომხებისთვის, არამედ ნებისმიერი ნორმალური პიროვნებისთვის მიუღებელი?

**კოსმოპოლიტი ამერიკელის გარდა (რომელიც ერი, ნაცია, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, ვერასოდეს გახდება, რადგანაც ერები, ისევე, როგორც ყველაფერი ამქვეყნად, მამაზეციერმა შექმნა), არსებობს ვინმე ფრანგი, ინგლისელი, ესპანელი, იტალიელი, რუსი, არაბი, ებრაელი და ა.შ., რომელსაც ფეხებზე ჰკიდია, მისი ქვეყნის „მეფე“ ვინ იქნება?**

მიუხედავად ამ უდავო, ელემენტალური ჭეშმარიტებისა, რობიკოს ბრალი დასდეს ქსენოფობიაში, ჰომოფობიაში, ფაშისტობაში, რასიზმში და, თუმცა მიზეზი ნაცების მიმართ რობიკოს „დიდი სიყვარული“ იყო, საბაბად ქსენოფობიის აბსურდული ბრალდება გამოიყენეს რუსთაველის თეატრიდან მის გასაშვებად!..

ან რა დააშავა „საწყალმა“ დავით დარახველიძემ, რომ დღემდე არ უსვენებენ და ყველა ბრუნვაში ატრიალებენ — **„ყოველი მეორე ან ჩინელია, ან ზანგი და ყველა საქართველოს მოქალაქეა, საქართველო ქართველებისთვის მინდა“. ამ ნათქვამში ხომ ის იგულისხმება, რომ ამ ფონზე ბიძინა ივანიშვილს არ ჰქონდა მოქალაქეობა და კიდევ ის, რომ ყველა ნორმალური სახელმწიფო, პირველ რიგში, საკუთარი ძირძველი მოქალაქეების დასაქმებაზე ზრუნავს და მხოლოდ შემდეგ — გადამთიელებზე.** რა, ასე არ არის იმავე ამერიკაში თუ ევროპაში? იქ წასულ ქართველებს ამ მხრივ, ლამის ქოთნების გატანის გარდა, სხვა პრივილეგიები აქვთ?

### ან რა შუაშია ქსენოფობია და სიძულვილის ენა!

კაცმა თქვა: რძლად აუცილებლად ქართველი მინდა და, თუ რაჭველი იქნება, ხომ მთლად უკეთესიო. მართლა გარეკეთ, თქვე შობელძაღლებო? მეც მასე ვარ და ყველა ნორმალური ქართველიც და არაქართველიც — ყველას საკუთარი ჯიშ-ჯილაგისა გვინდა რძლებად თუ სიძეებად! ასე რომ არ იყოს, ხომ აღარც ერი იქნებოდა და აღარც ბერი, მაგრამ ეს გინდათ სწორედ თქვენც და თქვენს დამფინანსებლებსაც, აქაურო „ენჯეოშნიკებო“, მაგრამ ვერ ეღირსებით, ან, როგორც ჩვენი მიშკუკი იტყოდა, ნურას უკაცრავად!

**ან რა უბედურობაა, რომ სიტყვა ზანგის ხსენების გულისთვის ლამის გაგაციმბირონ?** სააკაშვილმა რომ ზანგებზე აგდებით ილაპარაკა (ჩვენ რა, ზანგები ვართო?) ეგ რა კომპლიმენტი იყო, მაშინ რატომ ჩაიგუბეს პირში წყალი ლიბერასტებმა და რატომ არ გააპროტესტეს მათი საყვარელი პრეზიდენტის მიერ აფროამერიკელების ღიად რასისტულ კონტექსტში მოხსენიება?!

მაშინ თუ ეგრეა, გამოდის რომ ჰარიეტა ბიჩერსტოუს „ბიძია თომას ქოხი“ ან მარკ ტვენის „ტომ სოიერი“ კოცონზე უნდა დავწვათ — იქ ხომ ლამის ყოველ მეორე წინადადებაში ზანგი და შავი მონა ფიგურირებს?!

და საერთოდაც, ე. წ. ეთნიკურ, სექსუალურ თუ რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვა, ლამის შეუვალ ინდულგენციად იქცა და მახინჯი ფორმები მიიღო — არავინ არაფერს ამბობს იმაზე, რომ სამხრეთ აფრიკაში, სადაც ათწლეულები შავი აპარტეიდი მძვინვარებდა, ნელსონ მანდელას შემდეგ თეთრი აპარტეიდით შეიცვალა და დღეს ისევე, ზოგჯერ უარესადაც განიცდიან თეთრკანიანები დისკრიმინაციას, როგორც ადრე შავები და ამიტომაც გამორბიან ბურები საქართველოში!

იგივე შეიძლება ვთქვათ აზიზის მეჩეთზეც, რომლის აშენება-არაშენების თემა (ლგბტ-სთან ერთად) საეჭვოდ გააქტიურეს დასავლეთიდან დაფინანსებულმა „ენჯეოებმა“ თუ ოპოზიციადქცეულმა ნაცებმა. ემანდ იქნებ ჭორვილაში ქართულ ტრადიციებზე გაზრდილმა ბიჭმა ან იქეთ, ან აქეთ ეგებ კისერი მოიტეხოს, ანუ „ენჯეოშნიკების“ ზეწოლით თუ აზიზის მეჩეთი აშენა და პედერასტებიც გააჯეჯილა, ქვეყნის გარეთ მხარდაჭერის საპირწონედ, ქვეყნის შიგნით ქართველთა უმეტესი ნაწილის რისხვას დაიმსახურებს.

ბიძინა ივანიშვილი მართლაც რთული დილემის წინაშე დგას, მაგრამ არჩევანის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს, თუ, რა თქმა უნდა, სჯერა, რომ 1 ოქტომბრის გამარჯვების მთავარი შემოქმედი მასთან ერთად და, უპირველესად, მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხია და არა ისე, როგორც კობა დავითაშვილმა განაცხადა პარლამენტის პირველსავე სხდომაზე, **„1 ოქტომბრის გამარჯვება, პირველ რიგში, საერთაშორისო თანამეგობრობის დამსახურებაა და სხვა არავისი, რომელთა წარმომადგენლები აქაც გვესწრებიან და დიდი მადლობა მათ“.**

ასე რომ, ბატონო ბიძინა, არავისთან, ქართველი ხალხის გარდა, საკონსულტაციო არაფერი გაქვთ. მითუმეტეს ე.წ. სულგაყიდულ „ენჯეოებთან“, რომელთაც ეს მერამდენედ შეჰპირდით დავით დარახველიძის გამო კონსულტაციებს. **მერწმუნეთ, ბატონო ბიძინა, რომ საქართველოს უმეტესი და, რაც მთავარია, უკეთესი ნაწილი დავით დარახველიძის, სოსო ჯაჭვლიანის, ლუკა კურტანიძის, გოგი თოფაძის, დიმა ლორთქიფანიძის, რობიკო სტურუას და სხვა მრავალთა მსგავსად ფიქრობს ზემოთ წამოჭრილ თემებზე, ანუ თქვენს „ქართულ ოცნებაში“ თუ მის გარეთ საქართველოს უკეთეს მომავალზე მეოცნებე „გრუზინები“ უფრო ბევრნი და ძლიერნი ვართ, ვიდრე კაცობაზე, მართლმადიდებლობაზე, ქართველობაზე აცრილი მანქურთები!**

ის, თუ რამდენად დომინანტურია და წარმმართველი „თავისუფლების ინსტიტუტის“ საცეცები „ქართულ ოცნებაში“, იქიდან გახდება ცხადი, თუ ვინ დაიკავებს სახალხო დამცველის და შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის სავარძელს... ეს ტესტია, ტესტი რომელიც ოცნებაზე მეტია და მისი ვერჩაბარება „ქართულ ოცნებას“ რეიტინგის ფასად დაუჯდება!

**დავით მხეიძე**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პათოლოგოანატომიაში წავარჯიშების ნაცვლად, ალბათ, იმის დადგენა აჯობებს, ვინ დაიკავებს „მთავარი ოპოზიციური ძალის“ ნიშას, მაშინ, როდესაც „ნაცები“ ავანსცენას დატოვებენ; ნატოს მოწინააღმდეგე ძალებს, ობიექტურად თუ შევხედავთ, ამ მხრივ არცთუ ურიგო შანსები აქვთ. ამ მიზნის მისაღწევად, მარტივად რომ ვთქვათ, საჭიროა იდეები, ხალხი და ფული და ყველაფერი ეს, ასე თუ ისე, არის.**



## ფრანგი სამხედროები ავღანეთს დაგეგმილზე ადრე დატოვებენ

**საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ლორან ფაბიუსის, განცხადებით, ფრანგულმა სამხედრო კონტინგენტმა, რომელიც ავღანეთშია დისლოცირებული, ეს ქვეყანა შესაძლოა 2012 წლის დეკემბრამდე, დაგეგმილზე ადრე, დატოვოს.** ფაბიუსი ვიზიტით იმყოფებოდა ქაბულში, სადაც ავღანეთის ხელისუფლებასთან ქვეყანაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია განიხილა. „ვფიქრობ, რომ ყველაფერი უფრო სწრაფად მოხდება, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო. ჩვენ საუბარი გვქონდა დეკემბრის ბოლოზე, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს შეიძლება უფრო ადრეც მოხდეს“, — აღნიშნა მინისტრმა. მისი თქმით, ჯარის გამოყვანის შემდეგ ავღანეთში სამხედროები კიდევ დარჩებიან, საბრძოლო დანაყოფები კი — არა. მისი თქმით, დარჩენილი ფრანგი სამხედროები ავღანელ სამხედროებს მოამზადებენ. ამ დროისათვის ავღანეთის პროვინციებში — კაპისსა და ქაბულში 2,5 ათასი ფრანგი სამხედროა დისლოცირებული. ერთი წლის წინ მათი რაოდენობა 4 ათასს აღწევდა. ავღანეთში ყოფნის პერიოდში 88 ფრანგი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

## გაერო ღალატისთვის სასჯელის გაუქმებას ითხოვს

**გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო იმ ქვეყნების ხელისუფლებებს, რომლებშიც ცოლქმრული ღალატი ისჯება, სასჯელის გაუქმებისკენ მოუწოდებს.** „ცოლქმრული ღალატი არ უნდა ითვლებოდეს კრიმინალურ დანაშაულად. ორ ზრდასრულ ადამიანს შორის სექსუალურ ურთიერთობათა კრიმინალიზაცია კერძო ცხოვრების უფლების მიმართ ძალადობაა“, — განაცხადა კამალა ჩანდრაკირანამ, გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა. გაეროს ადამიანის უფლებათადამცველი ჯგუფი ქალთა მიმართ ჯარიმების, მათი ჩაქოლვისა და ჩამოხრჩობის აღკვეთას მოითხოვს.

# საქართველოსა და ნატოს საშემოდგომო გამოცდები




**„ჩვენ ჩავაბარეთ ძალიან საინტერესო გამოცდა, რასაც ჰქვია არჩევნები, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში, ჯეიმს აპატურაისთან, შეხვედრის შემდეგ. — ახლა ნატომ უფრო პრინციპული, უფრო პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგას იმისათვის, რომ საქართველოს რეალური გაწევრიანება ნატოში უახლოეს მომავალში მოხერხდეს“.**

**18 ოქტომბერს გაკეთებული ეს განცხადება ნამდვილად ქმნის ნიადაგს მსჯელობისთვის — აქვს თუ არა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შესაძლებლობა, ხელშესახებ პერსპექტივაში საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესი მკვდარი წერტილიდან დაძრას და დგას თუ არა რაიმე ანგარიშგასაწევი შინაარსი ნატოს ჩინოვნიკების პოლიტიკური შელოცვების უკან, რომელთაც საქართველოზე საუბრისას ბოლო წლების განმავლობაში იყენებენ. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ წინსვლას ამ მიმართულებით ადგილი არ ექნება?**

### სურვილები და შესაძლებლობები

**„მეტი დემოკრატია, მეტი მიახლოება ნატოს სტანდარტებთან ნებისმიერ სფეროში, მეტი თავსებადობა ალიანსის ძალებთან“,** — დაახლოებით ასე შეიძლება გადმოიცეს იმ გზავნილების მოკლე შინაარსი, რომელთაც თბილისი ბოლო 10 წლის განმავლობაში ბრიუსელიდან იღებს. წამით წარმოვიდგინოთ, რომ რაღაც მომენტში საქართველომ ისეთივე დემოკრატიაააშენა, როგორიც ჰოლანდიაშია, ხოლო ჩვენი შეიარაღებული ძალები ყველა პარამეტრით ბელგიურს ან დანიურს დაემსგავსა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ნატოში მიგვიღებენ.



**პრობლემები, რომლებიც საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან აქვს, მის გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში დღესდღეობით შეუძლებელს ხდის, მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგმება, რუსეთის მკვეთრ რეაქციას გამოიწვევს; ნატოს „ძველევროპელი“ წევრები, სავარაუდოდ, შუალედური გადაწყვეტილებების მიღებასაც მოერიდებიან („მაპ“-ის მიცემა და სხვ.) და აშშ-ის ინიციატივებს ამ მიმართულებით თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ დაბლოკავენ; უპირველესად, თქმული გერმანიას შეეხება.** მაქსიმუმი, რის გაკეთებასაც ამ ეტაპზე ნატო შეძლებს, სავარაუდოდ, იქნება მოწოდება მუდმივი სრულყოფისკენ (ბუდისტი ბერების სტილში) და ისეთი დახმარების გაწევა, რომელიც ჩრდილოურ დათვს არ გააცოფებს.

**ჩვენ, ალბათ, არ უნდა ველოდოთ, რომ უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში ნატოს პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვლება და ის შეიმუშავებს ახალ სტრატეგიას, რომელიც რუსეთის წინააღმდეგობის სწრაფ დაძლევას უზრუნველყოფს, რადგან კონფრონტაციის რისკი ამ შემთხვევაში სავარაუდო ამონაგებზე გაცილებით მეტს „იწონის“, მაგრამ გამორიცხული ნამდვილად არაა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვლება საქართველო, ისევე, როგორც ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართ** და ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს.

უპირველეს ყოვლისა, **გასათვალისწინებელია ის ცვლილებები, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ სცენაზე მოხდება.** დღეს, ფორმალური თვალსაზრისით, ყველაზე დიდი ოპოზიციური ძალა „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელიც ცდილობს, თავი წარმოაჩინოს, როგორც უფრო პროამერიკული, უფრო „პრონატოური“, ვიდრე „ქართული ოცნება“, თუმცა მალე ეს სიტუაცია, სავარაუდოდ, შეიცვლება. **საზოგადოებისთვის თითქმის ყოველდღე ცნობილი ხდება ახალი ფაქტები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივ პრაქტიკაზე მიუთითებს, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს კი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულისთვის გასამართლება ემუქრებათ.** შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ ყოფილი მმართველი პარტიის რღვევისა და მარგინალიზაციის პროცესი გაგრძელდება და მისგან, მაქსიმუმ, 1-2 წელიწადში დარჩება მხოლოდ „ნეომიშისტების“ მცირე ჯგუფი, რომლის რეიტინგი სადღაც 4-5%-ის სიახლოვეს იტივტივებს. ამ მხრივ საინტერესოა პარალელების გავლება „ნარინჯისფერების“ კრახთან უკრაინაში, თუმცა პათოლოგოანატომიაში წავარჯიშების ნაცვლად, ალბათ, **იმის დადგენა აჯობებს, ვინ დაიკავებს „მთავარი ოპოზიციური ძალის“ ნიშას, მაშინ, როდესაც „ნაცები“ ავანსცენას დატოვებენ; ნატოს მოწინააღმდეგე ძალებს, ობიექტურად თუ შევხედავთ, ამ მხრივ არცთუ ურიგო შანსები აქვთ. ამ მიზნის მისაღწევად, მარტივად რომ ვთქვათ, საჭიროა იდეები, ხალხი და ფული და ყველაფერი ეს, ასე თუ ისე, არის.**

### ახლა როგორღა გააჩერებენ?

სააკაშვილის რეჟიმი ნებისმიერ განსხვავებულ აზრს ებრძოდა, გამორჩეულად აგრესიული კი იმ ადამიანების მიმართ იყო, ვინც ნატოზე უარის თქმას, საქართველოს ნეიტრალურ სახელმწიფოდ, ერთგვარ „ახალ ფინეთად“ გადაქცევას ან სულაც რუსეთთან მჭიდრო კავშირს ემხრობოდა. მათ მაქსიმალურად უზღუდავდნენ შესაძლებლობას, საკუთარი აზრი საზოგადოებამდე მიეტანათ. ახლა ეს ვითარება შეიცვლება.

**სააკაშვილის მმართველობის წლებში რუსეთში მცხოვრებ ქართველებს, მათ შორის საკმაოდ მდიდარ და გავლენიან ადამიანებს, რომელთა უდიდესი ნაწილი** (უხეშად, დეტალებში ჩაღმავების გარეშე რომ ვთქვათ) **„ფინური“ ან „ევრაზიული“ მოდელის მომხრე იყო, ათასი წინაღობა ექმნებოდა, რათა საქართველოში საქმე არ აეწყოთ, პოლიტიკურ და საინფორმაციო სივრცეში პლაცდარმები არ დაეკავებინათ.** ახალი ხელისუფლების დეკლარირებული კურსი კი მათთვის (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა იდეების მატარებელი ადამიანისთვის) ხელოვნური ბარიერების აღმართვას გამორიცხავს. „მატერიალურ ბაზისს“ ნატოს საწინააღმდეგო იდეების ფართოდ გავრცელების- ▶

**საზოგადოებისთვის თითქმის ყოველდღე ცნობილი ხდება ახალი ფაქტები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივ პრაქტიკაზე მიუთითებს, «ნაცმოძრაობის» ლიდერებს კი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულისთვის გასამართლება ემუქრებათ**

მსოფლიო

## ირანი ორმუზის სრუტეში ნავთობის ჩაღვრით იმუქრება

**ირანი ევროკავშირის მიერ დაკისრებულ ახალ სანქციებს თავისებურად პასუხობს. „შპიგელის“ გავრცელებული ინფორმაციით, ირანის რევოლუციური გვარდია აპირებს ორმუზის სრუტეში ნავთობის მასიურად ჩაღვრით კატასტროფა გამოიწვიოს, რაც შეაფერხებს რეგიონში ნავთობის საზღვაო ექსპორტს.** გაზეთის მიხედვით, მოჰამად ალი ჯაფარის მიერ შემუშავებული გეგმის კოდური სახელია „ტალახიანი წყალი“. გეგმის მიხედვით, ირანი ორმუზის ყურეში, ნავთობის ექსპორტის ამ „საზღვაო გზაჯვარედინზე“, ნავთობით სავსე ტანკერს ჩაძირავს. „შპიგელი“ წერს, რომ ირანის მიზანია, დასავლეთს სანქციების მოხსნა აიძულოს. კატასტროფით გამოწვეული დაბინძურების აღსაკვეთად დასავლეთს მოუწევს ირანის მთავრობასთან დათმობებზე წასვლა, რათა რეგიონში წმენდითი ოპერაციები აწარმოოს. სტატიაში ნათქვამია, რომ დასავლეთის წამყვანი სადაზვერვო სამსახურები უკვე იკვლევენ ამ ფაქტს, ხოლო ირანს გეგმის განსახორციელებლად აიათოლა ჰამენეის ოფიციალური თანხმობა სჭირდება.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საარჩევნო გამოცდის“ ჩაბარებისა და შეიარაღებული ძალების რეფორმირების მიუხედავად, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს არ შეუძლია მისცეს საქართველოს იმაზე მეტი, რაც უკვე მისცა, და გაწევრიანების საკითხი ხელშესახებ პერსპექტივაში არ დადგება. ამ ფაქტორების თანხვედრა ნატოს მოწინააღმდეგეების შეტევისთვის, როგორც პოლიტიკურ, ისე საინფორმაციო სივრცეში საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს შექმნის.**



**ალასანიას გუნდს და «რესპუბლიკელებს», ალბათ, დღეს უკვე უღირთ დაფიქრება იმაზე, რომ წინ ელოდებათ ძალიან მწვავე დისკუსია საგარეო კურსის თაობაზე. ის, სავარაუდოდ, იფეთქებს იმ მომენტში, როდესაც წინასაარჩევნო მოლოდინები ნატოსთან და ტერიტორიულ გამთლიანებასთან დაკავშირებით რეალობასთან ტრაგიკულ შეუსაბამობაში მოვა და მისთვის გაცილებით სერიოზული არგუმენტები გახდება საჭირო, ვიდრე ტრადიციული შელოცვა: «ამ კურსს ალტერნატივა არ აქვს».**

◀ თვის, სავარაუდოდ, სწორედ ეს ხალხი შექმნის.

**საქართველოში ყოველთვის, პროამერიკული სიმპათიების პიკზეც კი, არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ნატოში შესვლას ეწინააღმდეგებოდნენ. 2008 წლის იანვარში (ანუ აგვისტოს ომამდე, რომელმაც არცთუ დადებითად იმოქმედა ქართველების დამოკიდებულებაზე აშშ-სა და ნატოს მიმართ) ჩატარებულ პლებისციტზე, ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ ამომრჩეველთა 23%-მა მისცა ხმა. მომდევნო, ომის შემდგომ გამოკითხვებში ნატოს მოწინააღმდეგეთა რაოდენობა 25-40%-ის დიაპაზონში მერყეობდა.** საკმაოდ ნიშანდობლივი იყო იმ გამოკითხვების შედეგები, რომლებშიც ნატოს საკითხი „მიბმული“ იყო ტერიტორიული მთლიანობის ზეპრიორიტეტულ საკითხზე. ასე გასული წლის ბოლოს სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრ „იპლ“-ისა და გაზეთ „ბანკები და ფინანსების“ სოციოლოგიური ჯგუფის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ **რესპონდენტების 55% ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს შესვლას ნატოში, მაშინ, როცა 23,3% ამის წინააღმდეგია, თუმცა, როდესაც რესპონდენტებს ჰკითხეს, რას გააკეთებენ ისინი, თუ დადგებიან დილემის წინაშე: „ნატოში შესვლა ან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“, 93,4%-მა განაცხადა, რომ უყოყმანოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მიემხრობა.** საკითხის ასე დაყენებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები (განსაკუთრებით ამ მხრივ დავით დარჩიაშვილი აქტიურობდა) და ახალი, ნატოს საწინააღმდეგო პროპაგანდის მთავარი ამოცანა, სავარაუდოდ, სწორედ „საკითხის ასე დაყენება“ იქნება.

იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ, რა სიტუაცია შეიქმნება 2-3 წლის შემდეგ, ალბათ, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ **საქართველოს საინფორმაციო სივრცეში იმ იდეების გაჟღერების სიხშირე, რომელსაც დღეს კახა კუკავა და ნაწილობრივ ნინო ბურჯანაძე ავითარებენ, პირობითად, 10-ჯერ გაიზარდა და მათ ბევრი ახალი გამხმოვანებელი გამოუჩნდა.** მიუხედავად იმისა, რომ დღეს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ამ იდეებს იზიარებს, მისი მოცულობის (თუნდაც ყველაზე მოკრძალებული 23% ავიღოთ) ადეკვატური წარმომადგენლობა პარლამენტში არ ჰყავს, აშკარაა, რომ მისი იგნორირება შეუძლებელი შეიქმნება და ხელისუფლება იძულებული გახდება, მის წარმომადგენლებთან დისკუსიაში ჩაებას, რადგან სწორედ ეს გამომდინარეობს დემოკრატიული პლურალიზმის იმ პრინციპებიდან, რომელთაც ახალი ხელისუფლება ემხრობა და რომლის ერთგულებას იგივე ნატო მოითხოვს.

**ნატოს მოწინააღმდეგეების მთავარი კითხვა ამ დისკუსიების დროს, სავარაუდოდ, ძალიან მარტივი და გასაგები იქნება: „სადაა პროგრესი ან ნატოში გაწევრიანების ან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით? მსოფლიო და რეგიონი სულ უფრო არასტაბილური ხდება, ქვეყანას კი უსაფრთხოების გარანტიები არ აქვს“.**

თუ დღეს ანიჰილაციის პროცესში მყოფი „ნაცმოძრაობა“ ცდილობს, გააკრიტიკოს ახალი ხელისუფლება იმისთვის, რომ ის არასაკმარისად პროდასავლურია, მომავალი ოპოზიცია გადამეტებული პროდასავლურობისთვის გააკრიტიკებს; ამ სხვაობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამავე დროს, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ფონი, რომელიც ამ მომენტისთვის, ძალიან დიდი ალბათობით, შეიქმნება. რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესს, სავარაუდოდ, საკმაოდ შთამბეჭდავი სტარტი ექნება, დაძაბულობა შემცირდება, მთელი რიგი პრობლემებისა (სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა და ა. შ.) მოიხსნება, თუმცა საბოლოოდ მხარეები ჩიხში შევლენ და **კრემლი ოფიციალურ თბილისს დაახლოებით ასე** (ცხადია, არაპირდაპირი ტექსტით) **მიმართავს: „ყოველივე დანარჩენზე ვილაპარაკოთ მას შემდეგ, რაც საქართველო ნატოში გაწევრიანებაზე უარს იტყვის“.** ამ მომენტისთვის საზოგადოებისთვის, სავარაუდოდ, ცხადი შეიქნება, რომ „საარჩევნო გამოცდის“ ჩაბარებისა და შეიარაღებული ძალების რეფორმირების მიუხედავად, **ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს არ შეუძლია მისცეს საქართველოს იმაზე მეტი, რაც უკვე მისცა, და გაწევრიანების საკითხი ხელშესახებ პერსპექტივაში არ დადგება.** ამ ფაქტორების თანხვედრა ნატოს მოწინააღმდეგეების შეტევისთვის, როგორც პოლიტიკურ, ისე საინფორმაციო სივრცეში საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

## შეხვედრა და განშორება ელბაზე

**ბიძინა ივანიშვილი უდავოდ პროდასავლური, ნატოში ინტეგრაციაზე ორიენტირებული პოლიტიკოსია. ასე თავის დროზე სააკაშვილსაც ახასიათებდნენ, თუმცა მათ შორის ძალიან დიდი სხვაობაა.** ივანიშვილი მოვიდა, როგორც გამაერთიანებელი და, სააკაშვილისგან განსხვავებით, საზოგადოების ერთ ნაწილს მეორეს არ დაუპირისპირებს. ის არ მიუქსევს სხვა პლატფორმაზე მდგომ ადამიანებს (ანტიდასავლური იქნება თუ სხვა) კუდს თუ სოდს, ხელს არ შეუშლის, საკუთარი მოსაზრებები გამოთქვან ან დააფუძნონ მედიასაშუალებები, შექმნან პოლიტიკური გაერთიანებები და მომავალ პარლამენტში მოხვდნენ, თუ ის 23% (თუ რამდენიც იქნება წნეხის მოხსნის შემდეგ) მხარს დაუჭერს.

იმაში, რომ ძალები, რომლებიც 2-3 წელიწადში, სავარაუდოდ, „მთავარი ოპოზიციის“ ნიშას დაიკავებენ, „ახალი ფინეთის“ ჩამოყალიბებაზე ან სულაც რუსეთთან ალიანსზე იქნებიან ორიენტირებულნი, ალბათ, უნდა ვეცადოთ დავინახოთ არა ცუდი ან კარგი, არამედ ობიექტური რეალობა. ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ ეს ადამიანები არსებობენ, საკმაოდ ბევრნი არიან და ქართულ პოლიტიკაში საკუთარი თავის რეალიზება სურთ.

**ცხადია, არსებობს არაერთი ხერხი, რომლებიც ხელისუფლებას (და ამერიკელ პარტნიორებს) შესაძლებლობას მისცემს, გაახანგრძლივოს პროამერიკული და ნატოზე ორიენტირებული ძალების დომინირება პოლიტიკურ სივრცეში, თუმცა, ღია სატელევიზიო ეთერის და პარტიებზე უხეში ზეწოლის არარსებობის პირობებში, ახალი პოლუსის ფორმირება პრაქტიკულად გარდაუვალი ჩანს** (ისე, საინტერესო კია, რომელი ლიდერების გარშემო მოხდება კრისტალიზაცია, თუმცა მკითხაობა ამ თემაზე ჯერჯერობით ნაადრევია), **ამიტომ ალასანიას გუნდს და „რესპუბლიკელებს“, ალბათ, დღეს უკვე უღირთ დაფიქრება იმაზე, რომ წინ ელოდებათ ძალიან მწვავე დისკუსია საგარეო კურსის თაობაზე.**

ის, სავარაუდოდ, იფეთქებს იმ მომენტში, როდესაც წინასაარჩევნო მოლოდინები ნატოსთან და ტერიტორიულ გამთლიანებასთან დაკავშირებით რეალობასთან ტრაგიკულ შეუსაბამობაში მოვა და მისთვის გაცილებით სერიოზული არგუმენტები გახდება საჭირო, ვიდრე ტრადიციული შელოცვა: „ამ კურსს ალტერნატივა არ აქვს“.

საიდუმლო არაა, რომ **ამომრჩევლებმა, რომლებსაც, როგორც წესი, პრორუსულად განწყობილს უწოდებენ** (ეს, ალბათ, არაკორექტულია, რადგან მათი უმრავლესობისთვის რუსეთთან ინტეგრაცია თვითმიზანი არაა, ზოგიერთი მათგანი კი, უბრალოდ, ნეიტრალიტეტის მომხრეა) **ლამის სრული შემადგენლობით ხმა ივანიშვილს მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი კოალიცია ნატოში გაწევრიანებას ემხრობოდა. სააკაშვილის ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ, როგორც ნაცისტურმა გერმანიამ, საკუთარი თავის წინააღმდეგ აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებისა და ორიენტაციის მქონე ძალები გააერთიანა;**

სსრკ, აშშ და ბრიტანეთი რაიხის წინააღმდეგ ერთმანეთის გვერდი-გვერდ იბრძოდნენ, თუმცა, თუ მეტაფორას განვავრცობთ, დღეს გერმანია დამარცხებულია, იაპონია (ანუ, ჩვენ შემთხვევაში ის, რაც დარჩა ყოფილი მმართველი პარტიისგან) სულს ღაფავს და გამარჯვებულები მალე ერთმანეთს დაშორდებიან; ჰორიზონტზე „ცივი ომის“ კონტურები იკვეთება. **კამათი, რომელიც სააკაშვილის დამარცხებამდე ჭადრაკის პარტიასავით გადადებული იყო, მალე განახლდება, თუმცა იმედია, დავიწყებას არასოდეს მიეცემა 1 ოქტომბერს მიღწეული საერთო გამარჯვების განუმეორებელი განცდა, რომელიც, როგორც შეხვედრა ელბაზე 1945 წლის 25 აპრილს, მის მონაწილეებს მუდამ თან გაჰყვება**, რადგან ორივე შემთხვევაში საუბარი შეეხებოდა არა იმდენად ერთი ბანაკის პოლიტიკური (ან სამხედრო) ძალების გამარჯვებას მოწინააღმდეგეზე, რამდენადაც ადამიანობის გამარჯვებას არაადამიანობაზე, რომლის ნამდვილი ფასი გაცნობიერებული, შესაძლოა, ჯერ კიდევ არ გვაქვს.

**დიმიტრი მონიავა**



**ივანიშვილი უდავოდ პროდასავლური, ნატოში ინტეგრაციაზე ორიენტირებული პოლიტიკოსია. ასე თავის დროზე სააკაშვილსაც ახასიათებდნენ, თუმცა მათ შორის ძალიან დიდი სხვაობაა. ივანიშვილი მოვიდა, როგორც გამაერთიანებელი და, სააკაშვილისგან განსხვავებით, საზოგადოების ერთ ნაწილს მეორეს არ დაუპირისპირებს.**

## ექსპრეზიდენტები ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარებას აპირებენ

**აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი, რომელიც ქვეყანას 1977-1981 წლებში მართავდა, უახლოეს დღეებში ეგვიპტესა და ისრაელში ჩასვლას გეგმავს.** კარტერის ვიზიტის მიზანი ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაა. 88 წლის კარტერთან ერთად ახლო აღმოსავლეთში ნორვეგიის ყოფილი ხელმძღვანელი გრუ ჰარლემ ბრუნტლანიც და ირლანდიის ყოფილი პრეზიდენტი მერი რობინსონიც ჩავლენ.



## Human Rights Watch-ი კადაფის აღსასრულის ახალ დეტალებს აქვეყნებს

**ლიბიის ახალი მთავრობის განცხადების მიხედვით, კადაფი და მისი შვილი მოთასიმი ორმხრივი ცეცხლის შედეგად დაიღუპნენ. „ჰუმან რაით ვოჩის“ მიერ მოპოვებული სამხილები კი სრულიად საპირისპიროზე მეტყველებენ.** ადამიანის უფლებადამცველმა ორგანიზაციამ წარმოადგინა 50-გვერდიანი ანგარიში „დიქტატორის სიკვდილი, სისხლიანი ანგარიშსწორება სირტეში“. ანგარიშში ნათქვამია, რომ კადაფისა და მისი მომხრეების დამხობის მეორე დღეს, 2011 წლის 22 ოქტომბერს, „ჰიუმან რაით ვოჩის“ წარმომადგენლებმა 53 მოკლულის გვამი სასტუმრო „მაჰარიში“ იპოვეს. ანგარიშში წარმოდგენილ სამხილთა შორის არის მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეო, რომელშიც ასახულია ტყვეების წამება და შეურაცხყოფა. სავარაუდოდ, სირტეში ნაპოვნი გვამები სწორედ ვიდეოში ასახულ ტყვეებს ეკუთვნით. უფლებადამცველი ორგანიზაციის წარმომადგენლის, პიტერ ბაკერტის, განცხადებით, როგორც ჩანს, ეს ადამიანები მეამბოხეებმა წამებით მოკლეს. მისივე თქმით, ომის კანონებით, შეპყრობილი მეომრების დახოცვა უმძიმესი სამხედრო დანაშაულია.

მოკლედ

## შოტლანდიაში დამოუკიდებლობის რეფერენდუმი ჩატარდება

**ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ხელი მოაწერა შეთანხმებას შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებაზე. პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი შოტლანდიის ნაციონალისტთა ლიდერ ალექს სალმონდს შოტლანდიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით შეხვდა.** შეხვედრის ბოლოს მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვით შოტლანდიაში 2014 წელს ჩატარდება რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობა დააფიქსირებს, სურს თუ არა ქვეყანა დამოუკიდებელი გახდეს. მიუხედავად დამოუკიდებლობის იდეის მზარდი პოპულარობისა, წინა წელს ბრიტანეთის სამეფოდან გამოყოფას გამოკითხულთა მხოლოდ 30-40 პროცენტმა დაუჭირა მხარი. მაგრამ ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ 2014- ში ხალხი სწორედ დამოუკიდებლობის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს. შოტლანდიასა და ინგლისს 1603 წლიდან ერთი მონარქი მართავს, ხოლო 1707 წლიდან მათ ერთიანი პარლამენტი აქვთ. მიუხედავად ამისა, კარგადაა ცნობილი შოტლანდიელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ, რომლის მანძილზეც ისინი სწორედ ინგლისსა და გაერთიანებული სამეფოს იდეას უპირისპირდებოდნენ.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«თავდაცვის სისტემიდან უსამართლოდ დათხოვნილებს მივცემთ საშუალებას, დაუბრუნდნენ სამსახურს»**

# საქართველოში თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა მოშლილია

**ახალი მთავრობის მიერ განსახორციელებელ ცვლილებებსა და სამომავლო გეგმებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.**





## ირაკლი სესიაშვილი:
## ნატო, შეერთებული შტატები და მთლიანად დასავლეთი გვირჩევენ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას

**— ბატონო ირაკლი, რამდენიმე დღის წინ განაცხადეთ, რომ აპირებთ ბევრი რეფორმის გატარებას. უწინარესად, რომელ მიმართულებებს შეეხება ცვლილებები?**

— პირველ რიგში უნდა გაიზარდოს და გაძლიერდეს საპარლამენტო კონტროლი უსაფრთხოების სექტორზე. ამავე დროს კოალიციის მიზანია, თავდაცვაც ისე გავაძლიეროთ, რომ ჩვენ უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება. აღსანიშნავია ისიც, რომ **გვხვდება ძალიან მძიმე მემკვიდრეობა.** ერთი: **მთლიანად სისტემაა პოლიტიზირებული**; მეორე: **არასწორი საკადრო პოლიტიკის შედეგად, რომელიც წლების მანძილზე ხორციელდებოდა, დაგროვილია უამრავი პრობლემა;** და მესამე: **თითქმის ყველა სტრუქტურა, ყველა მიმართულება ისეა მოშლილი, რომ, ფაქტობრივად, თავიდან მოგვიწევს ყველაფრის დალაგება.** აქედან გამომდინარე, პირველ რიგში საჭიროა შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრა და შემდგომ უკვე კონტროლი. პოლიტიკის განსაზღვრის ფარგლებში კი ჩვენ, რა თქმა უნდა, აქტიურად ვითანამშრომლებთ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რათა ხელი შევუწყოთ იმ აუცილებელი რეფორმების განხორციელებას, რომლებიც დღეს უსაფრთხოების სექტორს სჭირდება. ასევე ადამიანის უფლებების განმტკიცებისა და სამოქალაქო-დემოკრატიული კონტროლის უზრუნველსაყოფად მივიღებთ კანონს სამხედრო-საპარლამენტო რწმუნებულის შესახებ, რომელიც არის, ფაქტობრივად, საპარლამენტო ომბუდსმენი. ეს კანონპროექტი უკვე მზადაა; მეტი გამჭირვალეობისთვის სავალდებულოს გავხდით სხვადასხვა ანგარიშს, მათ შორის, ცხადია, ფინანსურსაც. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შევქმნით სამოქალაქო საბჭოს კომიტეტში, რომელიც, ერთის მხრივ, მონიტორინგს გაუწევს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებს, მეორე მხრივ კი, ჩაერთვება ამ რეფორმების დაგეგმვსა და შემუშავებაში...

**— ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნეთ, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა მთლიანად მოშლილია. ბოლო 8-9 წლის განმავლობაში რამდენიმე მილიარდი დოლარი დაიხარჯა ამ სისტემის გასაძლიერებლად. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს თანხა არამიზნობრივად იქნა გამოყენებული?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია, ერთმნიშვნელოვნად ვისაუბროთ, რომ ყველაფერი არამიზნობრივად გაკეთდა, გარკვეული თანხები მოხმარდა კონკრეტულ საკითხებს, მაგრამ საერთო ჯამში, ზოგად სურათს თუ შევხედავთ, საქართველოში თავდაცვისა და უსაფრთხოების სიტემა მოშლილია. ამის მიზეზია ის, რომ ამ ბოლო რვა წლის განმავლობაში ძალიან ბევრი მინისტრი შეიცვალა (დაახლოებით რვაჯერ მოხდა შეცვლა) და კიდევ უფრო მეტი სიხშირით იცვლებოდნენ გენერალური შტაბის უფროსები. ამასთან, ყველა თავისი ლოგიკითა და გემოვნებით მიუდგა სისტემის დალაგებას, ბევრმა საერთოდ გააუქმა ის სამსახურები, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო და, რაც მთავარია, ადგილი ჰქონდა რა პოლიტიკურ ინტერესებს, ყველაფერი მოეწყო იმის მიხედვით, როგორც სურდა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს ან რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას. მაგალითად, ბაჩო ახალაიამ სამხედრო პოლიცია მთლიანად დაიქვემდებარა და მან ეს უწყება ფაქტობრივად აქცია თავის რაღაც პირად სამსახურად... **ჩვენი მთავარი ამოცანაა, არასდროს არავის მიეცეს მსგავსი შესაძლებლობა.** ამის მისაღწევად კი საჭიროა ფუნქციების გამიჯვნა. ყველაფერი თავის ფორმას და მკაცრად განსაზღვრულ მიმართულებას საჭიროებს. ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა არის სამხედრო და რა სამოქალაქო ფუნქციები, რომ არ მოხდეს სამხედროების სამოქალაქო საქმიანობაში ჩარევა ან პირიქით. დანარჩენს რაც შეეხება, პროფესიონალებმა თავიანთი საქმე აკეთონ, ბარიერები და რამე ხელისშემშლელი ფაქტორები მაქსიმალურად გამოირიცხება.

**— მინისტრობის თითქმის ყველა კანდიდატი საუბრობს გამოძიების აუცილებლობაზე თავის უწყებაში. თქვენ, თქვენი პრეროგატივის ფარგლებში, აპირებთ თუ არა რაიმე საგამოძიებო პროცესის წარმართვას და უკვე გესახებათ თუ არა ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი იმ სფეროში, რომელშიც მუშაობას აპირებთ?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ნებისმიერი გამოძიების საკითხი დადგება იმ შემთხვევაში, თუ იქნება აღმოჩენილი რამე კონკრეტული დანაშაულის ნიშნები. მე არაერთხელ განვაცხადე, რომ **ყველა მიმართულებით, კომპეტენციის მიხედვით, შესაბამისმა უწყებებმა უნდა გამოიძიონ კანონდარღვევები.** მას შემდეგ, რაც თავდაცვის ახალი მინისტრი სიტუაციაში გაერკვევა, თუ აღმოაჩინა გარკვეული გადაცდომები, რისი ალბათობაც ძალიან მაღალია, თავის შიდა სამსახურებს დაავალებს საკითხების შესწავლას და რეაგირება ყველა ამ ფაქტზე მოხდება ადეკვატურად. რაც შეეხება პარლამენტს, შესაბამისი კომიტეტის ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს ამ პროცესს, რომ პასუხისმგებლობის გარეშე არ დარჩეს არც ერთი დამნაშავე და დანაშაული.

**— დასაწყისში თქვით, რომ ბაჩო ახალაიამ სამხედრო პოლიცია პოლიტიზირებულ სტრუქტურად აქცია. ეს ყველაფერი არ მიგანიშნებთ იმაზე, რომ მის მიმართ, სხვა მრავალთან ერთად, ამ კუთხითაც შეიძლება პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამ ყველაფრისთვის საჭიროა კონკრეტული ფაქტები და მტკიცებულებები, რაც ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. მე, ამ შემთხვევაში, პოლიტიკურად ვაფასებ მის საქმიანობას და ჩემთვის ამ სისტემის პოლიტიზება გამოიხატებოდა სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის სამსახურიდან ხალხის დათხოვნაში სწორედ პოლიტიკური ნიშნით და ასევე სისტემის ისე მოწყობაში, რომ მასში იკვეთებოდა მკაცრი კონტროლი ადამიანებზე. **დარწმუნებული ვარ, როცა დამტკიცდება ახალი მთავრობა და იარსებებს ყველა ბერკეტი იმისთვის, რომ პროცესები წარიმართოს ჩვეულებრივ რეჟიმში, დაიწყება გამოძიება. ასე რომ, არც ერთი გადაცდომა, არც ერთი დარღვევა არ დარჩება სამართლებრივი რეაგირების გარეშე; ვერავინ გაექცევა თავის წილ პოლიტიკურ თუ სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინაიდან ეს ყველაფერი იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე.** კონტროლს კი ამაზე განახორციელებს საკანონმდებლო ორგანო, რომელიც თავის მხრივ ასევე მკაცრად იქნება გაკონტროლებული საზოგადოების მიერ.

**— რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, კოალიცია ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სწორედ ამას ისახავს. რა გზით მიგაჩნიათ ეს ყველაფერი შესაძლებლად, მაშინ, როცა ნატო და ევროკავშირი ისევ პრიორიტეტებად რჩება?**

— **სამწუხაროდ, სააკაშვილმა ჯერ კიდევ პირველივე წლებში დაუშვა შეცდომები რუსეთთან ურთიერთობაში. მისი პოლიტიკა არ იყო ღია, არ იყო ორიენტირებული იმაზე, რომ საკითხები მოგვეგვარებინა მშვიდობიანი, ცივილიზებული გზებით, რამაც მხარეებს შორის წარმოშვა კონფლიქტი.**

**ჩვენი ამოცანა, უწინარესად, არის ჩვენი სახელმწიფო ინტერესების დაცვა. ეს კი უნდა მოხდეს არა პიარკამპანიებითა და განცხადებებით, არამედ სწორი და თანმიმდევრული პოლიტიკის გამოყენებით.**

გლობალური პოლიტიკა თავის გზას პოულობს. დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა სულ უფრო ღრმავდება, ამის ნიშნები უკვე არის. ჩვენი ამოცანაა, ამ პროცესში ვიპოვოთ სწორი ადგილი და ვიმოქმედოთ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე... ცხადია, აქ გარკვეულ წინააღმდეგობას ექნება ადგილი, რაიმე რეცეპტი და მზა ფორმულა არ არსებობს, მაგრამ, თუკი ღიად და გამჭვირვალედ ვიმუშავებთ, იმედი მაქვს, რომ სულ მალე შევძლებთ არსებულ უთანხმოებაზე დიალოგსა და გარკვეულ საკითხებზე შეთანხმებას; რა თქმა უნდა, აქვე ხაზს გავუსვამ იმას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ ვერასდროს დადგება. ეს ცხადია, მაგრამ, მეორეს მხრივ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთთან დიალოგის გარეშე ჩვენ ამ პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ. **მიდგომა, რაც ჯერ კიდევ მოქმედ ხელისუფლებას აქვს (თითქოს დასავლეთმა უნდა აიძულოს რუსეთი, მოახდინოს დეოკუპაცი), არის საკუთარი პასუხისმგებლობისგან გაქცევა, რაც ქვეყანას ვერანაირ სიკეთეს და დადებით შედეგს ვერ მოუტანს.**

**— როგორ ფიქრობთ, რუსეთთან დაახლოების პოლიტიკა ხომ არ იქნება გარკვეულწილად გამაღიზიანებელი დასავლეთისთვის?**

— პირიქით, თქვენ თუ დააკვირდებით, **ბოლო წლებში ნატო, შეერთებული შტატები და მთლიანად დასავლეთი გვირჩევენ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, ვინაიდან ისინი კარგად ხედავენ, რომ სწორედ ეს არის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ჩვენი ინტეგრაციისთვის ევროატლატიკურ სტრუქტურებში.**

**— თქვენ თქვით, რომ სააკაშვილის ხელისუფლება თავიდანვე სამხედრო რიტორიკით გამოირჩეოდა რუსეთის მიმართ. მაშინ არ გვირჩევდა იგივე დასავლეთი, რომ ჩრდილოელ მეზობელთან კონსტრუქციულები ვყოფილიყავით?**

— ყოველთვის გვეუბნებოდნენ ხაზგასმით: დაალაგეთ ურთიერთობა რუსეთთან... ისაა დიდი სახელმწიფო, არის გლობალურ პოლიტიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთამაშე და აქვს უზარმაზარი რესურსები, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური. **ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის ასეთ სახელმწიფოსთან ხისტი პოლიტიკით პრობლემების მოგვარება შეუძლებელია,** ამიტომ, ბუნებრივია, დასავლელი პარტნიორები მუდმივად მიგვითითებდნენ დიალოგისკენ, მშვიდობიანი გზით ურთიერთობების დარეგულირებისკენ. ომის შემდეგაც იგივე რასმუსენი, სარკოზი და სხვებიც პირდაპირ აცხადებდნენ: უნდა დაიწყოთ დიალოგი, უნდა შეეცადოთ, გამონახოთ საერთო ენა. ეს სჭირდება როგორც საქართველოს, საკუთარი ინტერესების დასაცავად, ასევე სჭირდება დასავლეთს, რომ ჩვენი ქვეყანა გათავისუფლდეს იმ პრობლემებისგან, რომლებიც ხელს უშლის საქართველოს გაწევრიანებას ალიანსში.

**— ბოლო წლების განმავლობაში უამრავი ადამიანი დაითხოვეს პოლიტიკური ნიშნით თავდაცვისა და საერთოდ, ძალოვანი უწყებებიდან. აპირებთ თუ არა მათი დაბრუნების საკითხის დასმას?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ სისტემის დეპოლიტიზაციის პროცესში, ყოველგვარი პოლიტიკური ინტერესების გარეშე, მოვიზიდოთ ის პროფესიონალი კადრები, რომლებსაც აქვთ, როგორც ცოდნა, ასევე გამოცდილებაც ძირეული რეფორმების განსახორციელებლად. ეს ადამიანები, თავის დროზე, დაითხოვეს უსამართლოდ და ჩვენ თავდაცვის სისტემიდან უსამართლოდ დათხოვნილ თითოეულ ადამიანს მივცემთ საშუალებას, დაუბრუნდეს სამსახურს, ემსახუროს თავის ქვეყანას.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ყველა დამნაშავე გასამართლდება, ეს ასე მოხდება აუცილებლად, უნდა თუ არა ბატონ კუბლაშვილს, გაქცეულ ბაჩო ახალაიას და ზურაბ ადეიშვილს, დღეს ქართული საზოგადოება ითხოვს სამართალს და ის ამ სამართალს მიიღებს“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



შალვა შავგულიძე:

# ივანიშვილის მთავრობას ხელშეუხებლობის გარანტია არავისთვის მიუცია, ეს ჭორია!

# «ქართული ოცნება» დამნაშავეებს არ გაურიგდება

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი, ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი შალვა შავგულიძე.**

**— ბატონო შალვა, როგორც ადვოკატი და უფლებადამცველი, წლების მანძილზე რეჟიმს ებრძოდით, თუმცა შედეგის ბოლომდე მიღწევა, ცხადია, რთული იყო. დღეს, როცა ამ რეჟიმს ძალაუფლება გამოეცალა, მიგაჩნიათ თუ არა, რომ არჩეული მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება უნდა იყოს?**

— რა თქმა უნდა, რეალობაა ის, რომ **„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში საქართველოში სამართალწარმოების სფერო მოიცვა უსამართლობამ და უკანონობამ.** მეტიც, არა მხოლოდ ფაქტობრივად, პრაქტიკაში მოხდა სასამართლო ხელისუფლების დაქვემდებარება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, არამედ გატარდა საკანონმდებლო ცვლილებებიც, რომლებმაც ჯერ დააშორა, შემდეგ კი დააპირისპირა ქართული სამართალწარმოება საერთაშორისო, კონკრეტულად კი ევროპულ სამართალწარმოებას. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო ბაზა ჩვენს ქვეყანაში თავისთავად უკვე ნიშნავდა უსამართლობას, ვინაიდან იმ კანონებით, იმ საპროცესო ნორმებით ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება. რაც შეეხება კითხვას, უნდა დაისაჯონ თუ არა ისინი, ვინც ამას სჩადიოდნენ, გიპასუხებთ, რომ აუცილებლად უნდა დაისაჯონ. ეს არ არის ვინმეს ახირება, ეს არის სამართლიანობის პრინციპი და, როცა საუბარია პასუხისმგებლობაზე, ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ წინა ხელისუფლებას; ყველაფერი უნდა მოხდეს, ბუნებრივია, კანონის სრული დაცვით, სამართლიანობის შესაბამისად...

**— თქვენ თქვით, რომ ქართული სამართალწარმოება საერთაშორისო სტანდარტებს დაშორდა და შემდეგ უკვე დაუპირისპირდა, ცხადია, არ გთხოვთ, გამოძიებას გაუსწროთ და ვინმეს განაჩენი გამოუტანოთ, მაგრამ ფაქტია, მთელი ამ პროცესების უკან ადამიანთა გარკვეული ჯგუფი იდგა. თქვენი აზრით, ვის ეკისრება მეტი წილი პასუხისმგებლობა მართლმსაჯულების პოლიტიკურ ინსტრუმენტად გადაქცევაში?**

— რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია კოლეგებისაგან, ასე ვთქვათ, იქითა ბანაკების წარმომადგენლებისგან, ერთ-ერთი მთავარი ავტორი და შემოქმედი იმ საკანონმდებლო ცვლილებებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საერთაშორისო ევროპულ სტანდარტებს, იყო ზურაბ ადეიშვილი. სწორედ მისი ინიციატივით განხორციელდა მთელი მანკიერი ე. წ. რეფორმები და ამის შედეგი იყო ის, რომ ჩვენი კანონმდებლობა გაიხრწნა; თუმცა, ბუნებრივია, მარტო ადეიშვილის ხელით არ კეთდებოდა ყველაფერი, მისი ინიციატივები შემდეგ უკვე ბეჭდით დასტურდებოდა იურიდიული კომიტეტის მიერ, რომელსაც პალიკო კუბლაშვილი ხელმძღვანელობდა. ასევე, ამაში მონაწილეობდა ის მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობაც და საბოლოოდ ამას კანონის სახეს აძლევდა პარლამენტი. არც კი იაზრებდნენ დეპუტატები, რას სჩადიოდნენ, რას აძლევდნენ ხმას, პირდაპირ ისე უჭერდნენ მხარს ნებისმიერ ინიციატივას. აი, ასეთი პარლამენტი გვყავდა, რაც უნდა დასრულდეს...

**— ადეიშვილთან ერთად, ალბათ, კუბლაშვილმაც და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც მხარს უჭერდნენ მსგავს ინიციატივებს, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს, ნაწილს — პოლიტიკური, ნაწილს კი — სამართლებრივი. არ მეთანხმებით?**

— რა თქმა უნდა. პოლიტიკური პასუხისმგებლობა „ნაციონალურ მოძრაობას“, ვფიქრობ, გარკვეულწილად უკვე დაეკისრა და ეს მათ დააკისრა ქართველმა ხალხმა არჩევნების შედეგით, რაც შეეხება კონკრეტულ სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ცხადია, ეს საკითხი უნდა დადგეს აუცილებლად, ვინაიდან სამართალი სხვანაირად ვერ მოვა ქვეყანაში, ასევე, **მე არ მინდა გავჩერდეთ მარტო ზურაბ ადეიშვილზე, კუბლაშვილზე და მორჩილ საპარლამენტო უმრავლესობაზე, ყველამ ვიცით, რომ ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, ამ უსამართლობისა და უკანონობის იყო ქვეყნის რეალური მმართველი მიხეილ სააკაშვილი. მისი ნება რომ არ ყოფილიყო, ვერც ადეიშვილი და მით უფრო კუბლაშვილი კანონის მორგებას ვერ გაბედავდნენ.**

**— ქვეყნის პირველი პირის მიმართ რა ფორმით შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი?**

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ბრალეულობა გამოიკვეთება მის მიმართ და იქნება თუ არა კონკრეტული, საფუძვლიანი და უტყუარი მტკიცებულებები. მე არ მინდა გავუსწრო მოვლენებს, მაგრამ **ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: ახალი მთავრობა ჩაატარებს ობიექტურ, მიუკერძოებელ გამოძიებას და ყველა დამნაშავე, რანგისა და თანამდებობის მიუხედავად, ჩაჯდება ციხეში.**

**— გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგეგმება გურამ დონაძის დაკავება, რომელიც სანდრო გირგვლიანის საქმეში ფიგურირებს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი და უნდა დადგეს თუ არა ამ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი?**

— კიდევ ერთხელ ვამბობ: ყველა პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, მიუხედავად მისი რანგისა და სტატუსის, თუ დაუდასტურდება დანაშაული. რა თქმა უნდა, რამე გამონაკლისს გურამ დონაძე არ წარმოადგენს და შესაბამისად მის მიმართ რამე განსხვავებული მიდგომა არ იქნება; მით უფრო, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მას გარკვეული მონაწილეობა აქვს მიღებული სანდრო გირგვლიანის საქმეში, ვინაიდან ის იყო იმ სუფრის წევრი და სულ მცირე დანაშაულის შეუტყობინებლობაში ან დაფარვაში მაინც, ალბათ, გამოიკვეთება მისი როლი. ვნახოთ, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, მაგრამ ვიმეორებ, მე მაქვს დასაბუთებული ვარაუდი და არა მხოლოდ მე, ევროპის სამართალმაც თქვა, რომ სახელმწიფომ, არასრულად ჩატარებული გამოძიებითა და სასამართლო განხილვებით არ უარყო საფუძვლიანი ეჭვი სუფრის წევრების კავშირისა ამ დანაშაულთან.

**— მოკლედ, როგორც მინიმუმ, ეს საქმე უნდა გადაიხედოს?**

— აუცილებლად და ასეც მოხდებოდა, რომც არ ყოფილიყო არჩევნები და არ გაემარჯვა ქართულ ოცნებას, იმიტომ, რომ ეს უკვე ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებით იყო განპირობებული.

**— წინა ხელისუფლების დროინდელმა არაერთმა მაღალი თანამდებობის პირმა ჯერ კიდევ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დატოვა საქართველო. სამართლებრივად რამდენად მოხერხდება მათი უკან დაბრუნება, თუ გამოძიებამ ეს მოითხოვა?**

— არა თუ მოხერხდება, ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, თუ მათ დაუდასტურდებათ დანაშაულები. აქ უკვე პროკურატურამ უნდა იყოჩაღოს...

**— იყო საუბარი იმაზეც, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავრობისგან სააკაშვილის ხელისუფლების ზოგიერთ მაღალჩინოსანს შეიძლება ხელშეუხებლობის გარანტიები ჰქონდეს მიღებული.**

— ივანიშვილის მთავრობას არავითარი ხელშეუხებლობის გარანტია არავისთვის მიუცია, ეს ჭორია, რომელიც მოიგონეს თვითონ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა. **არანაირ გარიგებაში დამნაშავეებთან „ქართული ოცნება“ არ შევა, ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ.** აქ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ზუსტად უნდა იმოქმედოს პროკურატურამ; მისი ვალდებულებაა, ისეთი საფუძვლიანი გამოძიება ჩატარდეს და იმდენად დასაბუთებული იყოს ბრალდება თითოეული სახელმწიფო მოხელის მიმართ, რომლებმაც თითქოს თავს უშველეს, გაიქცნენ საზღვარგარეთ და როგორც ცნობილია, ძალიან სოლიდური თანხებიც თან წაიყოლეს, რომ ამ გამოძიების შედეგებმა უზრუნველყოს მათი ექსტრადიცია. ეს თუ მოხერხდება, მათ ჩამოყვანასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეიქმნება, ყველა წარსდგება სასამართლოს წინაშე და მოუწევთ პასუხისგებაში ყოფნა ჩვეულებრივ, როგორც ეს სამართლებრივადაა დადგენილი და გათვალისწინებული.

**— უამრავი კითხვა ჩნდება მოსამართლეების მიმართაც... კოტე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ ის დამოკიდებულება, რაც მათ მიმართ პოლიტიკურ წრეებში არსებობს, უკვე ერთგვარი ზეწოლის ხასიათს ატარებს. რას იტყვით ამაზე?**

— ეს არის აბსოლუტურად უსაფუძვლო და არასერიოზული განცხადება, ეს არის რაღაც პრევენცია იმისთვის, რომ იქნებ ამ ადამიანმა თავი გადაირჩინოს. **ბატონ კუბლაშვილს ძალიან ბევრი ცოდვა აქვს ჩადენილი როგორც მართლმსაჯულების, ისე საზოგადოების წინაშე და მალე ეს ყველაფერი შეფასდება სათანადოდ.** არანაირი ზეწოლა მოსამართლეებზე არ ხდება, არც ერთი ამგვარი ფაქტი არ არსებობს; ან როგორ შეიძლება, ზეწოლას ახორციელებდეს პოლიტიკური ძალა, რომელსაც ჯერ ხელისუფლება არ გადაუბარებია?! ვიმეორებ: ასეთი განცხადებები რეალურად ემსახურება გარკვეულ პრევენციას, მაგრამ მათ ეს არ უშველით. ყველაფერი იქნება გამოკვლეული, გამოძიებული და, სადაც დადასტურდება დანაშაული, მიუხედავად რანგისა, ეს იქნება მოსამართლე, უზენაესის თავმჯდომარე თუ ქვეყნის პრეზიდენტი, ყველას პასუხისმგებლობის საკითხი დადგება კანონის შესაბამისად. **ყველა დამნაშავე გასამართლდება, ეს ასე მოხდება აუცილებლად, უნდა თუ არა ბატონ კუბლაშვილს, გაქცეულ ბაჩო ახალაიას და ზურაბ ადეიშვილს, დღეს ქართული საზოგადოება ითხოვს სამართალს და ის ამ სამართალს მიიღებს.**

**— მინისტრობის ყველა კანდიდატი ერთმნიშვნელოვნად საუბრობს უწყებების დეპოლიტიზაციაზე. სასამართლო სისტემაში რამდენად მოხერხდება ამის მიღწევა?**

— ძალიან ადვილად, უბრალოდ, ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უნდა უთხრას სასამართლოს და სამართალდამცავ ორგანოებს, — ჩვენსკენ ნუ იხედებით, ჩვენ არაფერს გიკარნახებთ, შეხედეთ კანონს და იმოქმედეთ კანონის შესაბამისადო. მარტივად რომ ვთქვათ, აქ ლაპარაკია მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზე და, როცა შედგება ეს ყველაფერი, სასამართლოც, ბუნებრივია, დაუბრუნდება თავის სამართლებრივ ნორმებს, სტანდარტებს, იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.



## «ბატონ კუბლაშვილს ძალიან ბევრი ცოდვა აქვს ჩადენილი როგორც მართლმსაჯულების, ისე საზოგადოების წინაშე და მალე ეს ყველაფერი შეფასდება სათანადოდ»

## «ახალი მთავრობა ჩაატარებს მიუკერძოებელ გამოძიებას, ყველა დამნაშავე, მიუხედავად რანგისა და თანამდებობისა, ჩაჯდება ციხეში!»

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გამიჭირდებოდა ამ ყველაფრის დამტკიცება, საზოგადოების დარწმუნება და ამ გზით ამიტომაც არ წავედი, დავანებე მუშაობას თავი და წამოვედი. იქ იყო აშკარა ფაქტები იმისა, რომ ეს ადამიანები აუცილებლად მივიდოდნენ მკვლელობებამდე. ეს ძალიან კარგად ჩანდა იმ ჯგუფში, რომელსაც დათა ახალაია ხელმძღვანელობდა, ისინი ჩემ თვალწინ ჩადიოდნენ ძალადობრივ ქმედებებს და ამის შესახებ მე ვუთხარი არა მხოლოდ უშიშროების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებს, არამედ პოლიტიკური თანამდებობის პირებსაც.“**



# ვახტანგ კომახიძე: 2004 წელსაც იმავეს აკეთებდნენ, რაც ახლახან ყველასთვის ნათელი გახდა, უშიშროების სამინისტროდან ამიტომაც წამოვედი

**სტუდია „რეპორტიორის“ ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ შვეიცარიაში ერთ-ერთ ფრანგულ კანტონში ითხოვა თავშესაფარი და დღეს იგი დევნილობაშია. მანამდე კი იგი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სამშობლოს მტრად და რუსეთის აგენტად გამოაცხადა მხოლოდ იმიტომ, რომ აგვისტოს ომზე მიუკერძოებელი და ობიექტური ფილმი გადაიღო. თავის დროზე კომახიძეს უშიშროების სამინისტროში საკმაოდ მაღალი თანამდებობაც ეკავა და, როგორც თავად აცხადებს, თანამდებობა სწორედ იმიტომ დატოვა, რომ სისტემაში ძალადობა და უსამართლობა იყო გაბატონებული. „საქართველო და მსოფლიო“ ვახტანგ კომახიძეს შვეიცარიაში დაუკავშირდა.**



**«როდესაც ადამიანების წამების, ცემა-ტყეპისა და იმ სისასტიკის შესახებ ვუთხარი, რომელიც სისტემაში ხდებოდა, გივი თარგამაძემ საერთოდ აარიდა თავი ამ ყველაფერს და მითხრა, იქნებ მერაბიშვილს დაელაპარაკოო, მაგრამ მერაბიშვილთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, რადგან ის იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ამ ტიპის მიდგომის»**

**— დღეს ძალიან მარტივი და, შეიძლება ითქვას, მოდურიც კია, გაემიჯნო „ნაციონალურ მოძრაობას“, მაგრამ თქვენ თანამდებობა პროტესტის ნიშნად მაშინ დატოვეთ, როდესაც საზოგადოება ჯერ კიდევ ლამის აღმერთებდა მიხეილ სააკაშვილსა და მის მთავრობას...**

— მაშინ რაღაც დოზით ეს ჩემთვის სახიფათოც კი იყო. ინფორმაცია, რომელიც მე მაშინ მქონდა, ალბათ, ვერ გადაწყვეტდა ქართული საზოგადოების მაშინდელი განვითარების პროცესის ბედს. მე გამიჭირდებოდა ამ ყველაფრის მტკიცება, საზოგადოების დარწმუნება და ამ გზით ამიტომაც არ წავედი, დავანებე მუშაობას თავი და წამოვედი. **იქ იყო აშკარა ფაქტები იმისა, რომ ეს ადამიანები აუცილებლად მივიდოდნენ მკვლელობებამდე. ეს ძალიან კარგად ჩანდა იმ ჯგუფში, რომელსაც დათა ახალაია ხელმძღვანელობდა. ისინი ჩემ თვალწინ ჩადიოდნენ ძალადობრივ ქმედებებს და ამის შესახებ მე ვუთხარი არა მხოლოდ უშიშროების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებს, არამედ პოლიტიკური თანამდებობის პირებსაც. ჩემი პირობა იყო, — მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაგრძელებდი მუშაობას, თუ ამ ადამიანებს მოაშორებდნენ სისტემას, მაგრამ...**

— მაგრამ?

— **2004 წელსაც იმავეს აკეთებდნენ, რაც ახლახან ყველასთვის ნათელი გახდა, და უშიშროების სამინისტროდან ამიტომაც წამოვედი. ყოველდღიურად ხდებოდა ადამიანების წამება და ცემა-ტყეპა, მაშინაც ასე სადისტურად აწამებდნენ ადამიანებს და რაღა აზრი აქვს, დღეს კონკრეტულ ფაქტებზე საუბარს? ყველასთვის ნათელია, რომ მათი მხრიდან ამ ქმედებებს ჰქონდა სისტემატიური ხასიათი. სწორედ ეს გავაპროტესტე მაშინ და მიმაჩნდა, რომ ამის შეცვლა შეიძლებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არ შეიძლებოდა, რადგან ეს იყო დაშვებული. ჯერ კიდევ 2004 წლიდან სააკაშვილმა და მასთან დაახლოებულმა პირებმა ამის შესახებ ყველაფერი იცოდნენ.**

**— შეგიძლიათ გვითხრათ, ვინ ჩააყენე მაშინ საქმის კურსში, რომ სისტემაში ასეთი ტიპის დანაშაულს ჰქონდა ადგილი?**

— იმ უმსგავსობისა და სისასტიკის შესახებ, რომელიც სისტემაში ხდებოდა, ჯერ კიდევ 2004 წელს ბევრ ადამიანს ველაპარაკე. შემიძლია დაგისახელოთ გივი თარგამაძე, გიგი უგულავა.

**— ხომ არ გიპასუხეს, ასეთი რამ გამორიცხულიაო?**

— არ შეიძლებოდა ამის უარყოფა...

**— საერთოდ არაფერი გითხრეს? ან გამოვასწორებთ, ან ასეთი რამ აღარ განმეორდებაო?..**

— საერთოდ არაფერი უთქვამთ, ვნახოთ, ვნახოთ, რა მოხდებაო... **როდესაც ადამიანების წამების, ცემა-ტყეპისა და იმ სისასტიკის შესახებ ვუთხარი, რომელიც სისტემაში ხდებოდა, გივი თარგამაძემ საერთოდ აარიდა თავი ამ ყველაფერს და მითხრა, იქნებ მერაბიშვილს უთხრაო, მაგრამ მერაბიშვილთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, რადგან ის იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ამ ტიპის მიდგომის.**

**— არსებობს მოსაზრება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რევანშისთვის ემზადება. შეძლებენ ისინი კვლავ ძალაუფლების სადავეების ხელში ჩაგდებას?**

— ყველაფერს უნდა შნო და შესაძლებლობა. ჯერჯერობით მათი განვლილი ცხრაწლიანი მმართველობა გვაჩვენებს იმას, რომ, როდესაც ჰქონდათ მცირედი შესაძლებლობა მაინც, ამას იყენებდნენ და უკან არასდროს იხევდნენ. როდესაც უკან დაიხიეს, აშკარა იყო, რომ მათ ძალიან მწირი რესურსები ჰქონდათ, ძალიან შეზღუდულები იყვნენ და ამიტომ ველარ წავიდნენ ვითარების ესკალაციაზე. ასე რომ, ასეთი რამ ნაკლებად სავარაუდოა. ჩემის აზრით, **ერთი რამაა ფუნდამენტური მნიშვნელობის: ახალმა ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, რასაც ყველა წინა ხელისუფლება აკეთებდა. კერძოდ, გამოვაცხადოთ კონსოლიდაცია, თორემ შეიძლება დაბრუნდეს „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი სისასტიკითა და უსამართლობით და ვიფიქროთ თავის გადარჩენაზე ამ საფრთხის გამო. საფრთხობელის ინსტიტუტი აუცილებლად უნდა მოიშალოს და ეს მოიშლება, თუ სამართლიანი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.** თუ საფრთხობელა აღარ იქნება, არ წარმოიშვება ხელოვნური ოპოზიცია საქართველოში. ჩვენ გვახსოვს სააკაშვილის მმართველობის მეორე პერიოდში როგორ არაფრისგან, ცარიელ ადგილზე წარმოიშვა ოპოზიცია, რადგან პოლიტიკური სივრცე სიცარიელეს ვერ იტანს. თუ ასეთი სიცარიელე გაჩნდება მომავალში, აუცილებლად გაჩნდება ოპოზიცია.

**— ამბობთ, რომ ბევრ საქმეში სამართლიანობამ უნდა იზეიმოს. ჩამოგვითვალეთ რამდენიმე კონკრეტული საქმე, რომელთაც, თქვენი აზრით, აუცილებლად სჭირდება ხელახალი გამოძიება.**

— ძალიან ბევრი ეკონომიკური ხასიათის დანაშაული იქნა ჩადენილი და ბევრ შემთხვევაში სისხლის სამართლის ნორმების ამოქმედების გარეშე სამოქალაქო დავები იყო უსამართლოდ წარმართული. ძალიან ბევრი სისხლის სამართლებრივი დანაშაული იქნა შეთხზული და ბევრი ადამიანი ემსხვერპლა დანაშაულთან ბრძოლის ამ მითოლოგიზაციას, რაც ძირითადად გამოიყენებოდა ტელეშოუებისთვის. თუნდაც შევარდნაძის მთავრობის ყოფილი ჩინოვნიკებიდან თუ ვინმე არის ისეთი, ვისაც გასაჩივრების შესაძლებლობა აქვს, მათ უნდა მიეცეთ გასაჩივრებისა და რეაბილიტაციის შესაძლებლობა. მაგალითად, **ძალიან კარგად ვიცი გია გვიჩიანის საქმე, მასში არანაირი მტკიცებულება არ არის და ამ ადამიანს უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი.** არის ძალიან ბევრი ტრაგიკული შემთხვევა და გარდაცვლილ ადამიანებს ვერავინ გააცოცხლებს, მაგრამ აქ სამართლიანობის დადგენაზეა საუბარი. **არიან ადამიანები, რომელთაც ძალიან დიდი სასჯელი აქვთ მისჯილი, მაგალითად, ასეთია შმაგი აფრასიძე, რომელიც სრულიად უდანაშაულოა და 20 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს. ასეთი საქმეების გადახედვა მთელი საზოგადოების მორალური პასუხისმგებლობის საკითხია. ბევრ ადამიანს მიაკერეს სამშობლოს მოღალატის იარლიყი, აუცილებლად უნდა მოხდეს ამ ადამიანების რეაბილიტაცია.** ხელისუფლებამ ან ხელისუფლების მონაცვლე პირებმა ბოდიში უნდა მოიხადონ ამ ადამიანების წინაშე! მაგალითად, გამოსაძიებელია როინ შავაძის, ვაზაგაშვილის საქმეები... შემიძლია კიდევ 20 საქმე ჩამოგითვალოთ, მაგრამ კიდევ 50 ან 60 რომ ვერ ჩამოვთვალო, რა ვუყოთ დანარჩენებს?!

**— უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი არათუ წინააღმდეგი, მომხრეა იმისა, რომ აღდგეს რაღაც დოზით ურთიერთობები რუსეთთან...**

— რაღაც დოზით რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა კეკლუცობაა. მაქსიმალურად უნდა გაკეთდეს ყველაფერი, მაქსიმალურად უნდა აღდგეს ურთიერთობა და ვცადოთ, დავიკმაყოფილოთ ჩვენი ინტერესები, მაგრამ, თუ ამ რეჟიმში ვიქნებით, არავითარ ინტერესებზე საუბარი არ იქნება. **ბუტიობანას თამაში პოლიტიკაში არც ერთ დროში არ ყოფილა რაციონალური და მითუმეტეს 21-ე საუკუნეში.**

**ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა ვიყოთ რუსეთთან გაბუტულ მდგომარეობაში. შეფასება უნდა მოხდეს ყველაფრის, ჩვენც მიგვიძღვოდა სერიოზული წვლილი იმ პროცესში, რომელმაც დააზიანა მთელი კავკასიის ეროვნებათაშორის ურთიერთობები; ჩვენც მიგვიძღოდა ჩვენი წვლილი უსაფრთხოების სისტემების რყევაში. ამიტომ უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი წვლილი და ვალდებულება, რათა დროულად შევუდგეთ ამ ურთიერთობების გამოსწორებას.**

სასურველია, მეორე მხარეც წამოვიდეს თანამშრომლობაზე. პრობლემა ის კი არაა, რომ ჩვენ არ გვაქვს ურთიერთობების დალაგების სურვილი, პრობლემას ისიც ქმნის, რომ, შესაძლოა, მეორე მხრიდანაც არ იყოს შემხვედრი სურვილი თანამშრომლობის. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში განხორციელდეს ის პოლიტიკური შეთანხმებები, რომლებიც გააუმჯობესებს ურთიერთობებს.

**— ჟვანიას საქმეზე რას იტყვით? ითქვა, რომ პრემიერ-მინისტრის მკვლელობაშიც ახალაიების კლანია გარეული...**

— აქედან ჩავწერე ინტერვიუ ნინო ქადაგიძესთან და საუბარი იყო მელნიკოვზე. მოკლედ, არსებობს ადამიანი, რომელიც ყვება, რომ პიროვნებებმა, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ გირგვლიანის მკვლელობის გამო, თავად თქვეს (რაღაც კონტექსტში თავადვე აღიარებდნენ), რომ მათ მიიღეს მონაწილეობა ზურაბ ჟვანიას მკვლელობაში. ეს გამოძიების საქმეა, რატომ ამბობდნენ ამას, რამდენადაა ეს რეალობა, ამას გამოძიება დაადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი ამ საქმის ბევრი დეტალი, ახლა ვარაუდებზე საუბარი ძალიან რთულია. აქამდე შეგვეძლო გვესაუბრა იმ კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც არასრულფასოვნად იყო გამოძიებული, რაც ტოვებდა საეჭვო საკითხებს ამ საქმეში, მაგრამ ახლა უნდა დაიწყოს გამოძიება და დარწმუნებული ვარ, გაირკვევა, რა მოხდა რეალურად. უბედური შემთხვევა პრაქტიკულად გამორიცხულია.

იქ არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნაში ცალსახად წერია, რომ ღუმელი გამართულად მუშაობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამორიცხულია, იქიდან გამოყოფილიყო ნახშირბადის მონოქსიდი, რაც სიკვდილის მიზეზადაა გამოცხადებული. დავუშვათ, რომ ღუმელი ტესტირების დროს მუშაობდა გამართულად და არა იმ კონკრეტულ საღამოს, ამის კონტრარგუმენტად ისევ დასკვნიდან გეტყვით ძალიან საინტერესო დეტალს: **არანაირი ჭვარტლის კვალი ღუმელის კედლებზე არ იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ არასრული წვა არ მომხდარა. აუცილებლად იქნებოდა ჭვარტლი, თუ გამოიყოფოდა ნახშირბადის მონოქსიდი, რადგან ეს არის არასრული წვის პროდუქტი და, როდესაც ის გამოიყოფა, გამოიყოფა ჭვარტლთან ერთად. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი. დასკვნის ავტორები, მერწმუნეთ, ნამდვილად კარგად ხვდებოდნენ, როდესაც დასკვნაში ამ ფრაზას წერდნენ. არ შეიძლება ეს საქმეები გამოუძიებელი დარჩეს.**

ესაუბრა **გიორგი მექმარიაშვილი**

„სარკინიგზო ტრანსპორტის „ჩიხურად შემოსვლა“ დიდი ხანია ქალაქის გენერალურ გეგმაში დევს. ამის გაკეთება მიზანშეწონილია, სამაგიეროდ ყოვლად დაუშვებელია გვირაბის მშენებლობა, რადგან ნავთობის სატრანზიტო შემადგენლობების, რომელთა გატარება საქართველოს, როგორც აზია-ევროპის დამაკავშირებელ ქვეყანას უწერია, გვირაბით უდიდესი საფრთხის შემცველია. გვირაბში ელექტრო წევის შემთხვევაში გაჩენილმა ნაპერწკალმაც კი შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს მთელი ქალაქის მასშტაბით.“

პერსპექტივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გიგა ბათიაშვილი:

# სააკაშვილის «შორსმხედველობას» ანალოგი არ მოეძებნება



საჯეირნოს ტერიტორიაზე
აი რისი დაკარგვის საშიშროების
წინაშე დგას თბილისი

**საჯეირნო, იცით, სად არის? არა? გეტყვით: ეს არის თბილისის გარეუბანში, კერძოდ, თბილისის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდებარე ვრცელი, აუთვისებელი ტერიტორია. თბილისელობას ხომ იჩემებთ? კი, რა თქმა უნდა. მაშინ მოუსმინეთ ბატონ გიგა ბათიაშვილს, ჩვენს სახელგანთქმულ არქიტექტორსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც შეშფოთებული ლაპარაკობს იმ საშიშროებაზე, რომელიც საქართველოს დედაქალაქის განვითარებას სწორედ საჯეირნოს რკინიგზით გახლეჩის გამო ელის.**

## «რკინიგზის შემოვლით მაგისტრალზე ნავთობის ერთი ცისტერნაც რომ ასცდეს ლიანდაგს, ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალია»

— ეს მხოლოდ პრობლემა კი არ არის, თბილისის განვითარება-სრულყოფის კონკრეტულად საქმიანი უბნის (city) აქ განთავსების საკითხია, — **ამბობს ბატონი გიგა და განაგრძობს,** — ამასთან დაკავშირებით წერილიც კი მივწერე სააკაშვილს და დედაქალაქის მერს, შემდეგ — ორივეს ერთად, მაგრამ არც ერთისგან პასუხი არ მიმიღია. ბოლოს, როგორც იქნა, შესაბამისმა უწყებებმა პატივი დამდეს და გამომიგზავნეს კურიოზული პასუხები, რომელთა მავნებლურ არსში, შევეცდები, თანდათან გაგარკვიოთ.

**— ჩათვალოთ, რომ ინტრიგის მარცვალი ნოყიერ ნიადაგში ჩავარდა, და ყურადღებით გისმენთ.**

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფუნქცია, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ აღიდგინა გაზრდილ მასშტაბში გარკვეული გეოპოლიტიკური არეალისთვის, არის სატრანზიტო ფუნქცია, რაც ტვირთების გადაზიდვასთან ერთად ინტელექტუალური პროდუქტის გადატან-გადმოტანასაც ნიშნავს, რომელიც უმეტესად მატერიალურ-ფინანსურ მოძრაობაშია გამოხატული.

აქედან გამომდინარე, საქმიანი უბნის ე. წ. სიტის (city) შექმნა თბილისსა და ქვეყნის ზოგიერთ სხვა ქალაქში გარდაუვალია.

**— სანამ ამის გარდაუვალობას დაგვიმტკიცებთ, იქნებ აუხსნათ ჩვენს მკითხველებს, — რა არის სიტი?**

— სიტი არის სრულიად განსხვავებული ორგანიზმი, ქალაქგეგმარებით აღმოცენებული უბანი საქალაქო ტრანსპორტის ერთიან ქსელში ჩაწერილი.

**— სად?**

— ქალაქში, რა თქმა უნდა. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს თბილისი და ახლა გავარკვიოთ — სად და რისთვის.

დავიწყოთ იმით, რომ თბილისის ღირებული ნაწილი არის ისტორიული განაშენიანების ზონა. **ახალი ფუნქციის მინიჭება ნიშნავს, რომ მან, ამ სიახლემ, მთლიანად უნდა შეცვალოს ის ისტორიული, გენეტიკური ფესვი, რომელზეც ეს ისტორიული ნაწილია აღმოცენებული და რომელიც შეიძლება იყოს სამომავლო აღმშენებლობითი საქმიანობის საფუძველი.**

აქედან გამომდინარე, **რომ არ დავღუპოთ და დავანგრიოთ ის, რაც გვაქვს, უნდა ვიფიქროთ, სად განვსაზღვროთ, სად დავუდოთ შესაძლო ბინა ამ ახალ სტრუქტურას.**

**— სიტის.**

— დიახ, სიტის ფორმირებას, შექმნას. საამისოდ საუკეთესო ადგილი თბილისის ტერიტორიულ საზღვრებში აღმოჩნდა თბილისის ზღვის მიდამოები, კერძოდ, თბილისის ზღვის ჩრდილოეთი ფერდი — კავკასიონის სამხრეთი კალთა, რომელიც ჩამოდის ხელოვნურ წყალსაცავამდე და იდეალური ექსპოზიცია აქვს, მამადავითის სიმაღლეზე მეტია და ამ ადგილს გვირგვინივით ადგას. თანაც ეს ტერიტორია თბილისს უკავშირდება თბილისის ზღვის შემოვლითი გზით, მეტროს სამი სადგურით, რომლებიც იქვე ახლოსაა და ტურისტულ-გამაჯანსაღებელი შესანიშნავი პოტენციალი გააჩნია.

**თუ მეორე ნაპირზე სიტი აღმოცენდება და, ალბათ, ხიდიც გაიდება, თბილისის ზღვა ჟენევის ახალ ტბად წარმოგვიდგება, ანუ გახდება ქალაქის ორგანული ნაწილი და თბილისის გრძივი კავშირების პარალელურად ბიძგი მიეცემა ქალაქის განივი კავშირების განვითარებას.**

პოტენცია, ღირებულება და მნიშვნელობა ამ ყველაფრის იმდენად დიდია, რომ მას ვერავითარი მატერიალური ღირებულებით ვერ განვსაზღვრავთ.

მაგრამ სააკაშვილის „შორსმხედველობას“ ანალოგი არ მოეძებნება. ეს კაცი ისეთ ჰორიზონტებს იყო მიჩერებული, რომლებზეც მხოლოდ ლაზიკა და ამ ქალაქის მშვენება, იუსტიციის სახლი, ბრწყინავლებდა.

დაახლოებით რვა წლის წინათ თბილისის საკრებულოს სხდომაზე განიხილეს თბილისის რკინიგზის აყრისა და ჩიხურად შემოსვლის საკითხი — ერთი ნავთლუღის, მეორე დიდუბის მხრიდან.

არავისთან რომ არ შეუთანხმებიათ, ისე გაჩნდა იდეა მათ შორის გვირაბის მშენებლობის, რომელიც, პირველი, ნაკარნახევი იყო შეზღუდული გონებით, მეორე, მერკანტილური მოტივით, რადგან ამ შემთხვევაში ქალაქის ცენტრში თავისუფლდებოდა დიდი ტერიტორიები, რომლებიც კომერციის შესანიშნავ შესაძლებლობას ქმნიდა. ეს იდეაპროექტი ყოველგვარი ექსპერტიზის გაუვლელად სხდომაზე დასამტკიცებლად გამოიტანეს.

ის პერიოდია, როცა ხელისუფლება ჯერ კიდევ უსმენდა ოპოზიციას. ვინაიდან იქ იმ დროს საკრებულოში მხოლოდ მე ვიყავი არქიტექტორი, ყველამ მე შემომხედა — აინტერესებდათ, რას ვიტყოდი. ვთქვი, რომ **სარკინიგზო ტრანსპორტის „ჩიხურად შემოსვლა“ დიდი ხანია ქალაქის გენერალურ გეგმაში დევს. ამის გაკეთება მიზანშეწონილია, სამაგიეროდ ყოვლად დაუშვებელია გვირაბის მშენებლობა, რადგან ნავთობის სატრანზიტო შემადგენლობების, რომელთა გატარება საქართველოს, როგორც აზია-ევროპის დამაკავშირებელ ქვეყანას უწერია, გვირაბით უდიდესი საფრთხის შემცველია.**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ გვირაბში ელექტრო წევის შემთხვევაში გაჩენილმა ნაპერწკალმაც კი შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს მთელი ქალაქის მასშტაბით.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში, როცა გარშემოვლითი სატრანზიტო-საავტომობილო გზის მშენებლობის საკითხი დაისვა, ეს გზა — რუსთავი-კახეთის გზატკეცილი-ავჭალა — გაატარეს საჯეირნოს გადაღმა ბუნებრივ დერეფანში. მაშინვე იყო აღნიშნული, რომ ეს დერეფანი გამოდგებოდა რკინიგზის გასატარებლადაც. ეს იქნებოდა იდეალური შემთხვევა: **დერეფანი ყველა კომუნიკაციით არსებობს და ისღა დაგვრჩენია, რკინიგზის გარშემოვლითი ხაზის გაყვანა აქვე ვივარაუდოთ.**

თანაც **ეს დაუსახლებელი და აუთვისებელი მიწები შესანიშნავი ადგილია ტერმინალების მშენებლობისთვის, რომლებიც ასე აუცილებელია განახლებული ისტორიული „აბრეშუმის გზის“ ფუნქციონირებისთვის.**

**ეს ტერმინალები ხელს შეუწყობს გზის მშენებლობას და, ამდენად, ეკონომიკურადაც მიზანშეწონილი და სარფიანია.**

**— რა თქვა საკრებულომ თქვენი არგუმენტების მოსმენის შემდეგ?**

— მოხდა საოცრება და, რაც არ მახსოვს ბოლო ოცი წლის განმავლობაში, წარმოდგენილი პროექტი არ დაამტკიცეს.

მაგრამ გავიდა გარკვეული დრო და გავიგეთ, რომ მოხდა უარესი — სარკინიგზო შემოვლითი გზით პირდაპირ გაჩეხეს საჯეირნო, ანუ თბილისის განვითარების პერსპექტივა დაჩეხეს. ეს იგივეა, ახალშობილს ფეხები რომ მოჰკვეთო. ეს ნიშნავს რკინიგზის გაყვანის შედეგად სამრეწველო ობიექტების გაჩენას, ანუ საწარმოო ზონის წარმოქმნას იქ, სადაც ქალაქის პერსპექტიული განვითარების ყველაზე კარგი ტერიტორია არის.

ეს ერთი.

მეორე. **თბილისის ზღვას მიუახლოვეს რკინიგზა იქ, სადაც ამ წყალსაცავის ერთი ნაწილი დღეს გამოყენებულია, როგორც ქალაქის სასმელი წყლის რეზერვუარი. ამით რა საშიშროება დაემუქრება თბილისელების სასმელ წყალს, ცხადზე უცხადესია.**

რკინიგზის ამ მაგისტრალის გასწვრივ ყველა რელიეფური ნაოჭი ჩადის თბილისის ზღვისკენ, სხვა გზა არ აქვს. ნავთობის ერთი ცისტერნაც რომ ასცდეს ლიანდაგს, ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალია.

ამ რკინიგზის პროექტი უკრაინულ ორგანიზაციას შეუკვეთეს. კოლეგებმა პროფესიულად იმუშავეს და ოთხი ალტერნატივით წარმოადგინეს. ჩვენმა ქალაქის მამებმა კი ყველაზე უარესი აირჩიეს. რა მერკანტილური მოსაზრებები უდევს საფუძვლად მათ გადაწყვეტილებას, ღმერთმა იცის.

**— მოსაწამლად გვიმეტებენ და ეგაა.**

— ოფიციალურ განმარტებაში, თუ რატომ აირჩიეს მაინც და მაინც ეს ვარიანტი, ნათქვამია, რომ ზედა ალტერნატივები მეწყერსაშიშ ზონაში გადის. ეს განცხადება საქმეში ჩაუხედავ ხალხზეა გათვლილი. უნდა გითხრათ, რომ ყველა ალტერნატივა ეროზიულ მონაკვეთს ერთნაირად გადის. მაშასადამე, ნებისმიერი ალტერნატივისთვის ამ მონაკვეთში უნდა ჩატარდეს ისეთი სამუშაოები, რომლებიც ეფექტიანი ანტიეროზიული იქნება.

მე მგონი, გონივრულ გადაწყვეტილებაზე უარი თქვეს იმიტომ, რომ თავის დროზე სხვების მიერ ასე იყო გადაწყვეტილი, ამათ კი, ხომ იცით, გართულება სჭირდათ წინა თაობების მიმართ.

**— ამათი დაავადება ავადმყოფობის ისტორიაში მათი სახელით ჩაიწერება.**

— ოქროს ასოებით...

ახლა სიტი. სწორედ ეს რკინიგზის ხაზი კვეთს სიტის განთავსებულ შესაძლო ტერიტორიას.

რა არის სიტი? მართვის ქალაქია: ბანკები, კომპანიების ოფისები, სამინისტროები, საელჩოები, რომლებსაც ფუნქციონირების თავისი წესი აქვს, საერთაშორისო ორგანიზაციების მისიები და ა. შ.

**დღეს მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ხელისუფლება იცვლება, მაგრამ ყოფილების უგნური გადაწყვეტილების რეალიზაცია ძალაში რჩება. ეს ახალი უბედურებაა.**

ახალი ურბანული სტრუქტურის შექმნა გარდაუვალია, მაგრამ ამ ამოცანის განხორციელება შეუძლებელი იქნება, თუ არ აღმოვფხვრით წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობად მიღებული უგუნური გადაწყვეტილებებით დამდგარ და მოსალოდნელ შედეგებს.

შევიკრიბოთ პროფესიონალები, ვიმსჯელოთ, გადავწყვიტოთ!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ფაქტია, რომ კობა ოთანაძეს აქვს ინფორმაცია, რომლის გამოც ხელისუფლებას ჯერ მისი ლიკვიდაცია, მერე კი მისგან აღიარებითი ჩვენების მიღების გზით მისი ხანგრძლივი იზოლაცია უნდოდა, მაგრამ ეს ყველაფერი თავად ოთანაძემ უნდა უთხრას საგამოძიებო კომისიას და, როგორც მისი ადვოკატი, მე ამაზე მეტს ვერაფერს დავამატებ“.



**ვახტანგ თალაკვაძე:**

# ვადასტურებ, რომ პიკასოს ცნობილ ნახატზეა საუბარი, რომელიც სადამ ჰუსეინის კოლექციიდანაა. აღნიშნული ნახატის საქართველოს გავლით ამერიკაში კონტრაბანდის გზით გატანის მცდელობას ვერ დავადასტურებ

**ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე მუხროვანის ე.წ. ამბოხის ფიგურანტის, კობა ოთანაძის, ადვოკატია. იგი „საქართველო და მსოფლიოს“ ამ საქმეში არსებული ფალსიფიცირებული მტკიცებულებებისა და სხვა იურიდიული ნონსესების შესახებ ესაუბრა.**

**— ბატონო ვახტანგ, მუხროვანის ე.წ. ამბოხის მონაწილეების სასამართლო პროცესებს ესწრებოდით, თქვენ იყავით პოლკოვნიკ კობა ოთანაძის ადვოკატი, თქვენი აზრით, ჰქონდა თუ არა ადგილი სახელმწიფო ამბოხს?**

— 2009 წლის 26 მაისს დედაქალაქში დაგეგმილი იყო სამხედრო აღლუმი. 2008 წლის აგვისტოს ომის სავალალო შედეგებს და მხედართმთავრის, მსუბუქად რომ ვთქვათ, შეუფერებელ საქციელს სამხედროები ძალიან განიცდიდნენ. მუხროვანში დისლოცირებულმა სატანკო და გაერთიანებული შტაბის რეინჯერთა ბატალიონმა უარი განაცხადა 26 მაისის სამხედრო აღლუმში მონაწილეობაზე. მათ პროტესტი გამოუცხადეს ხელისუფლებას. სასამართლო პროცესზე თითქმის ყველა ბრალდებულმა აჩვენა, რომ მათი მიზანი იყო არა ამბოხება, ხელისუფლების დამხობის მიზნით, არამედ ამ აღლუმში მონაწილეობაზე უარის თქმა, ანუ უმაღლესი მთავარსარდლისადმი პროტესტის გამოცხადება. მე ვახორციელებდი თადარიგში მყოფი პირის, პოლკოვნიკ კობა ოთანაძის ინტერესების დაცვას, რომელიც 2009 წლის 20 მაისს, სპეცოპერაციის ჩატარების დროს, სოფელ გლდანის ტერიტორიაზე მიკროავტობუსში ჩაცხრილეს გია კრიალაშვილთან ერთად, თითქოსდა შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. ჩემი ინფორმაციით, ოთანაძესა და კრიალაშვილს სპეცრაზმელებმა ავტომანქანიდან გადმოყვანის შემდეგ ესროლეს. ეს ინფორმაცია თავად ბრალდებულმა მომაწოდა.

**— რა იყო კრიალაშვილისა და ოთანაძისთვის სროლის ნამდვილი მიზეზი?**

— კობა ოთანაძე შეიარაღებულ ძალებში სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტით და იყო ერთ-ერთი მიღებული სახე. როგორც ჩანს, კრიალაშვილისა და ოთანაძის ჩაცხრილვა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დაიგეგმა. გია კრიალაშვილი, ფაქტობრივად, დახვრიტეს. კობა ოთანაძეც სასიკვდილოდ იყო გაწირული, მას სხეულზე მიყენებული ჰქონდა სიცოცხლისთვის საშიში 9 ჭრილობა გულმკერდის, მუცლისა და სხეულის სხვა ნაწილებში, მაგრამ მისმა ორგანიზმმა ამ ყველაფერს გაუძლო და ოთანაძე სასწაულებრივად გადარჩა. როგორ ვითარებაში მიიღო კობა ოთანაძემ ჭრილობები და როგორ დაიღუპა გია კრიალაშვილი სპეცოპერაციის დროს, ამის შესახებ კობა ოთანაძე ჩვენებას მისცემს სპეციალურ საგამოძიებო კომისიას, რომელიც, იმედია, შეიქმნება და მსჯავრდებულს უსაფრთხოების გარანტიას მისცემს. საზოგადოება უახლოეს პერიოდში შეიტყობს ოთანაძისაგან იმ მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ამ სასტიკი სპეცოპერაციის ჩატარების სრულყოფილ სურათს, რაც რეალურად განხორციელდა.

**— რას იტყვით იმ ჩანაწერებზე, რომლებიც ხელისუფლებამ ამ პირების ბრალეულობის მტკიცებულებად წარმოადგინა?**

— ჩანაწერი, რომელიც პროკურატურამ წარმოადგინა მტკიცებულებად, მოსახლეობის დასარწმუნებლად პიარაქცია იყო. **სასამართლო პროცესზე ოთანაძე და სხვა ბრალდებულები კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ ჩანაწერში მათი ხმა არ არის.** ადვოკატებმა მოვითხოვეთ, რომ აღნიშნულ ფირზე დანიშნულიყო ფონოსკოპიური ექსპერტიზა, რომელიც დაადგენდა, ეკუთვნოდა თუ არა ხმები ბრალდებულებს, მაგრამ შუამდგომლობა სასამართლომ, ჩვენი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე უარყო.

სასამართლო პროცესზე დაცვამ დააყენა მრავალი სხვა შუამდგომლობა. მე პირადად გავამახვილე ყურადღება კობა ოთანაძისთვის ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობის მიმართულებაზე, ანუ რა მდგომარეობაში იყო იგი ცეცხლსასროლი ჭრილობების მიღებისას — იდგა, იწვა თუ დაჩოქილი იყო, მაგრამ ესეც არ დაკმაყოფილდა, რადგან ექსპერტიზა, სავარაუდოდ, დაადგენდა, რომ ცეცხლსასროლი ჭრილობები მას უკვე მანქანიდან გადმოყვანის შემდეგ მიაყენეს, რაც ყირაზე დააყენებდა ბრალდების ვერსიას შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შესახებ.

**— გინდათ თქვათ, რომ სპეცოპერაციის დროს დაკავებულების ლიკვიდაცია იყო ნაბრძანები?**

— ეს არის ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია და ამას ადასტურებს საქმეში არსებული უამრავი არგუმენტიც, ამიტომ დამატებითი გამოძიებით საჭიროა სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება, რომელიც დაადგენს — ოთანაძეს ჭრილობები მიაყენეს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას თუ უკვე მას შემდეგ, რაც ის დააკავეს და, სავარაუდოდ, დაჩოქილ ან დაწოლილ მდგომარეობაში იყო. სასამართლომ ამ ექსპერტიზაზე უარი იმ მოტივით გვითხრა, რომ თურმე მცხეთის რაიონულ პროკურატურაში უკვე მიმდინარეობდა გამოძიება — გადაამეტა თუ არა სპეცნაზმა თავის უფლებამოსილებას ამ ოპერაციის ჩატარებისას, მაგრამ მცხეთის პროკურატურიდან ამ საქმის გამოძიების შედეგებზე დღემდე პასუხი არ მიგვიღია. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ საქმის უსასრულო გაგრძელებით სურთ, არა სპეცოპერაციის, არამედ სისხლიანი ანგარიშსწორების ფაქტი დაფარონ. ამ საქმეს ჰყავს მოწმეებიც, რომლებიც შსს-ს მიერ ოპერაციის ჩატარებისას ფიქსირდებიან კადრში და ისმის ქალების კივილი. დღემდე ოთანაძე საჯარო განცხადებებისგან თავს იკავებდა მარტივი მიზეზის გამო — არ შექმნოდა საფრთხე მის ოჯახს. საზოგადოებას ამისთვის დამატებითი ახსნა-განმარტებები, ალბათ, არ სჭირდება.

**— თქვენი აზრით, რა მოტივი უნდა ჰქონოდა ხელისუფლებას, რომ ოთანაძისა და კრიალაშვილის ლიკვიდაციის ბრძანება გაეცა?**

— როგორც ჩანს, ეს პიროვნებები ხელისუფლებისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენდნენ, ვინაიდან ისინი ბევრ საიდუმლო ინფორმაციას ფლობდნენ, რადგან თავდაცვის სამინისტროში მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობდნენ. ოთანაძე გამოძიებისას და სასამართლო პროცესში წარდგენილ ბრალდებებზე თავს დამნაშავედ არ ცნობდა, იგი დუმილის უფლებას იყენებდა. როდესაც მძიმედ დაჭრილი კობა ოთანაძე ჯერ კიდევ ციხის საავადმყოფოში იწვა, მისი ინფორმაციით, გვიან ღამით შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანაყოფის შეიარაღებული პირები შევიდნენ სატელევიზიო კამერებით და აიძულებდნენ, მიეცა აღიარებითი ჩვენებები. **ფაქტია, რომ კობა ოთანაძეს აქვს ინფორმაცია, რომლის გამოც ხელისუფლებას ჯერ მისი ლიკვიდაცია, მერე კი მისგან აღიარებითი ჩვენების მიღების გზით მისი ხანგრძლივი იზოლაცია უნდოდა, მაგრამ ეს ყველაფერი თავად ოთანაძემ უნდა უთხრას საგამოძიებო კომისიას და, როგორც მისი ადვოკატი, მე ამაზე მეტს ვერაფერს დავამატებ.**

**— არსებობს ვერსია, რომ ოთანაძისთვის ცნობილი გახდა ქართველი მაღალჩინოსნების მონაწილეობაზე ერაყიდან ხელოვნების ნიმუშების საქართველოს გავლით ამერიკაში კონტრაბანდის თაობაზე...**

— ვადასტურებ, რომ პიკასოს ერთ-ერთ ცნობილ ნახატზეა საუბარი, რომელიც ერაყის პრეზიდენტის, ჰუსეინის, კოლექციის ნაწილია. საქართველოს გავლით ამერიკაში აღნიშნული ნახატის კონტრაბანდის გზით ამერიკაში გატანის მცდელობას ვერ დავადასტურებ. იყო ვერსია, თითქოს რაღაც მოლაპარაკებები კობა ოთანაძესა და იქაურ სამხედრო პირებს შორის მიმდინარეობდა, მაგრამ ამას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ოთანაძე ერაყში ქართულ სამშვიდობო ძალებს ხელმძღვანელობდა. ამ ფაქტს საზოგადოებაში სხვადასხვა ინტერპრეტაცია მოჰყვა, რაც, ჩემი აზრით, საფუძველს მოკლებულია... მე ვიცი, რომ პირთა ჯგუფს ამ ნახატის გადმოტანა უნდოდა საქართველოში. ამ მოლაპარაკებებში ჩართული ქართველი მაღალჩინოსნების ვინაობისა და მათი ინტერესების შესახებ ვერაფერს გეტყვით.

**— როგორ ფიქრობთ, მოხდება თუ არა მუხროვანის ე.წ. ამბოხის საქმის გადახედვა, თქვენი აზრით, ხელახალ ძიებაში უნდა დაბრუნდეს საქმე?**

— ადგილი ჰქონდა არა ამბოხს, არამედ საქართველოს შეიარაღებული ნაწილის პროტესტს, რაც გამოწვეული იყო სამხედროების შინაგანი პროტესტით დამარცხებული ჯარის მხედართმთავრის მიერ (რომლის საქციელიც სამხედრო მოქმედებებისას, მსუბუქად რომ ვთქვათ, შეუფერებელი იყო) აღლუმის ჩატარების გამო. ისინი თვლიდნენ, რომ **დამარცხებული ჯარის სამხედრო აღლუმი იყო თითოეული მათგანის შეურაცხყოფა და იწვევდა მათ შინაგან პროტესტს.**

**მიმაჩნია, რომ ძალიან მძიმე მემკვიდრეობა ერგო ახალ ხელისუფლებას, რომელსაც მოუწევს მთელი რიგი საქმეებისა და აბსურდული ბრალდებებით დაპატიმრებული პირების საქმეების გადახედვა, რომლებიც შეეხება დანაშაულის პროვოცირებას, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ჩადებას და სხვ. ამ კუთხით ათასობით სისხლის სამართლის საქმე იქნება გადასახედი და შესასწავლი და ვფიქრობ, რომ ეს დროში საკმაოდ გაიწელება, რასაც პატიმართა ოჯახები მოთმინებით უნდა შეხვდნენ. იმედს ვიტოვებ, რომ სამართლიანობა აღდგება, მიუხედავად იმისა, ამას წლები დასჭირდება თუ არა.**

დღევანდელ კანონმდებლობაში გვაქვს საოცარი საპროცესო ნორმები სასჯელთა შეკრების თაობაზე, რაც თავის თავზე იწვნიეს მუხროვანის პროტესტის მონაწილეებმა. თავად კობა ოთანაძეს ამ შეკრებითობის საფუძველზე 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ასეთი საკანონმდებლო ნორმების არსებობა ხელს უშლის ქვეყანაში სამართლიანობისა და კანონიერების განხორციელებას, რაც, ჩემი აზრით, დაუყოვნებლივ გასაუქმებელია.

სისხლის სამართლის კოდექსში, კერძო ნაწილში პროკურატურამ და საგამოძიებო სამსახურებმა თავისებური იტერპრეტაცია მისცეს ზოგიერთ სამართლებრივ ნორმას და მუხლს. ავიღოთ თუნდაც მათ მიერ შემოტანილი ბრალდება „თაღლითობის მცდელობა“: როგორ შეიძლება პირს ბრალად დასდო თაღლითობა, თუ იგი არ არის დასრულებული და არ დამდგარა რაიმე შედეგი, არ მისდგომია ვინმეს რაიმე ზიანი და მხოლოდ ჩანაფიქრისთვის, რომელიც არ განხორციელებულა, შეიძლება ადამიანებს რამდენიმე ეპიზოდისთვის 25-30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯონ?!

ძალისმიერი სტრუქტურები — გამოძიება და პროკურატურა, ხელისუფლების უშუალო დაკვეთით არღვევდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, აცხადებდნენ პიროვნებებს დამნაშავეებად და ე. წ. გონივრული ეჭვის საფუძველზე ხდებოდა ხალხის დაპატიმრება და ქონების ჩამორთმევა.

ჩვენი საზოგადოების თვალწინ ასეთი ქმედებები არაერთხელ განხორციელებულა, რასაც ადვოკატთა მხრიდან არაერთი პროტესტი მოჰყვა. სწორედ ასეთი „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე პროკურატურამ დააყადაღა „მაესტროს“ სატელიტური ანტენები, რასაც რაიმე იურიდიული საფუძველი არ ჰქონდა. ახალ ხელისუფლებას რომ გაუჩნდეს ეს „გონივრული ეჭვი“ ახალი ძალისმიერი სტრუქტურების ჩამოყალიბების შემდეგ, დარწმუნებული ვარ დღევანდელი საპარლამენტო უმცირესობის დიდი ნაწილი ციხეში მოხვდება. ამდენად, **მიმაჩნია, რომ „გონივრული ეჭვი“ ამოღებული უნდა იქნას სამართლის სისტემიდან და საქმეში უნდა არსებობდეს უტყუარი მტკიცებულება დანაშაულის ჩადენის გამო, რაც შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი.**

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**



## «ოთანაძესა და კრიალაშვილს სპეცრაზმელებმა, სავარაუდოდ, ავტომანქანიდან გადმოყვანის შემდეგ ესროლეს»



„კაცს, რომელმაც თავი სამშობლოს შესწირა, დღეს მტრის სახელი უნდა ჰქონდეს? ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას! ჩემი ძმის რეაბილიტაციას მოვითხოვ! მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამ საქმეს გამოიძიებენ და დამნაშავეებს საათანადოდ დასჯიან! ამ ხელისუფლების ღირსების საქმეა ჩემი ძმის მკვლელობისა და სხვა მსგავსი საქმეების გახსნა.“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლია კრიალაშვილი:

# პირადად სააკაშვილს მივმართავ — აღიაროს, რატომ მომიკლა ძმა!

**2009 წლის 5 მაისის ე.წ. მუხროვანის ამბოხის ირგვლივ არსებული უამრავი კითხვა კვლავ პასუხგაუცემელია. მაშინ ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო გადატრიალებისგან იხსნეს ქვეყანა, ხოლო ოპოზიცია მომხდარს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოწყობილ შოუს უწოდებდა.**



**ფაქტი ერთია, ე.წ. მუხროვანის ამბოხისთვის არაერთი ადამიანი დღემდე იხდის სასჯელს. 5 მაისს გია ღვალაძის ფარული ჩანაწერი გავრცელდა, იგი ჩანაწერში ხელისუფლების იარაღით დამხობასა და რუსეთთან კავშირზე საუბრობდა. ღვალაძე კონკრეტულ გვარებს ასახელებდა. ამ მასალას მუხროვანში ჯარისკაცთა ამბოხის კადრები მოჰყვა, რომელიც ძალოვანებმა ჩაახშვეს. იმავე დღეს კობა ოთანაძეზე, გია კრიალაშვილსა და ლევან ამირიძეზე ძებნა გამოცხადდა. მართალია, მანამდე ტელევიზიები გვამცნობდნენ, რომ ზემოთ ნახსენები პირები მუხროვანში იმყოფებოდნენ და ტერიტორიაც ვერტმფრენებით კონტროლდებოდა, მაგრამ „როგორღაც“ ამბოხის ორგანიზატორებმა ტერიტორიიდან მიმალვა შეძლეს. მეორე დღესვე საქართველოს ქალაქები და ქუჩები აჭრელებული იყო ძებნილთა ფოტოებით, დაწესდა პრემიებიც... 16-დღიანი ძებნა სისხლისღვრით დასრულდა. გია კრიალაშვილი მოკლეს, ხოლო ოთანაძე და ამირიძე უმძიმეს მდგომარეობაში ღუდუშაურის საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამბოხების ორგანიზატორები თბილისის სხვადასხვა უბანს აფარებდნენ თავს. ბოლო რამდენიმე დღე სოფელ ცხვარიჭამიაში არსებული აგარაკების მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. სოდის და კუდის თანამშრომლების ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ ჯგუფი რუსეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე აპირებდა გადასვლას და სწორედ თბილისის ტერიტორიის დატოვების მცდელობის დროს შსს-მ სპეცოპერაცია ჩაატარა ძებნილთა დასაკავებლად. სროლა 10 საათზე გაისმა და კარგა ხანს გრძელდებოდა... ითქვა, რომ კრიალაშვილი, ოთანაძე და ამირიძე დაპატიმრებული ჰყავდათ და არავითარი ორმხრივი სროლა არ ყოფილა. ოფიციალურ ვერსიას უნდობლობას უცხადებენ როგორც კრიალაშვილის, ისე ოთანაძის ოჯახის წევრები, მეტიც, კრიალაშვილის და — ქალბატონი ლია კრიალაშვილი „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში აცხადებს, რომ ის აუცილებლად მოითხოვს ხელახალი გამოძიების ჩატარებას.**

**— ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა და გაჩნდა მოლოდინი, რომ ხელისუფლების მიერ ჩადენილ ბევრ დანაშაულს აეხდება ფარდა, თქვენ რას აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, ვაპირებ სიმართლის დასადგენად ბრძოლას! იმედი მაქვს, სამართალდამცავები დაინტერესდებიან და გამოიძიებენ ამ საქმეს. მივმართავ ახალ ხელისუფლებას და ვთხოვ, გამოიძიონ ჩემი ძმის მკვლელობის საქმე, უმორჩილესად ვთხოვ, ნათელი მოჰფინონ, რა გახდა ჩემი ძმის მკვლელობის მიზეზი. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვიცოდე, რატომ მომიკლეს ძმა? პირადად პრეზიდენტს მივმართავ, — აღიაროს, რატომ მომიკლა ძმა! მეოთხე წელიწადი დაიწყო გიას მკვლელობიდან და დღედაღამ იმას ვფიქრობ, რა გახდა ჩემი ძმის მკვლელობის მიზეზი. ერთადერთი ახსნა ამ ყველაფერს ის აქვს, რომ ჩემი ძმა შეუპოვარი იყო... არ დათანხმდა ამათ არც თანამდებობაზე და არც სხვა შემოთავაზებაზე...

**— რას სთავაზობდნენ?**

— თავიდან სთავაზობდნენ უკრაინაში პრეზიდენტის წარმომადგენლის თანამდებობას, მერე თავდაცვაში საკმაოდ მაღალ თანამდებობას, არც ერთხელ არ დასთანხმდა, ნაძირლებთან არ ვიმუშავებო. ალბათ, ეს იყო მიზეზი, არ ვიცი... საერთოდ, მიზეზი იყო ის, რომ **ჩემი ძმა იყო ნამდვილი ვაჟკაცი და უზომო პატრიოტი, ეს ჯალათები კი ვაჟკაცებსა და პატრიოტებს ვერ იტანენ. მე ვმუშაობდი ჯარში და ვხედავდი, როგორ ვერ იტანდნენ ესენი მებრძოლებს. ყოველთვის ცდილობდნენ, ჯარისკაცები დაეთრგუნათ, მორალური ზეწოლის ქვეშ ჰყოლოდათ.**

**— თქვენი ძმა სააკაშვილთან მეგობრობდა?**

— როგორც ვიცი, მათ არანაირი ურთიერთობა არ ჰქონიათ. კარგად იცნობდა გიორგი ბარამიძეს, გივი თარგამაძეს, მაგრამ სააკაშვილთან რამე ურთიერთობა თუ ჰქონდა, არ ვიცი. გიას ძალიან ბევრი იცნობდა და შეიძლება სააკაშვილიც იცნობდა.

**— გიას უკრაინაში ბიზნესი ჰქონდა?**

— დიახ, სამშენებლო ბიზნესი ჰქონდა.

**— რა მდგომარეობაშია უკრაინაში თქვენი ძმის ბიზნესი, ვინ პატრონობს?**

— არ ვიცი.

**— იქნებ ამ ბიზნესის ხელში ჩაგდება უნდოდა ვინმეს?**

— არა მგონია, ისედაც დიდი ცოდვა ადევთ და ტყუილს ვერ ვიტყვი!

**— ის დღეები გაიხსენეთ, როდესაც ჯარის ამბოხი დაიწყო...**

— არავითარი ამბოხი არ მომხდარა. 4 მაისს გია სახლში რომ მოვიდა, თითქოს გრძნობდა რაღაცას. მოწყენილი იყო, ვკითხე, რამე ხომ არ გტკივა-მეთქი, მიპასუხა, — არაო. ნარდს თამაშობდნენ ის და ჩემი მეუღლე, ცუდი წინათგრძნობა მქონდა, გიას სახეზე სიკვდილი დავინახე და გავიქეცი. ღამის ხუთი საათი იყო დაწყებული, ჩემი მეუღლე რომ დაწვა, გია და ჩემი გოგონა დარჩნენ, დილის ცხრის ნახევარზე ავდექი და გია სახლში აღარ იყო. პატარა ჩემოდნით იყო ჩამოსული, მალე უნდა წავიდეო, ის ჩემოდანი გახსნილი იყო. უამრავი სანთელი იყო და ლოცვების წიგნი, იმდენი სანთელი იყო, რომ ორმოცამდე სულ გიას სანთელს ვანთებდი, საბუთები აღარ იყო და ვიფიქრე, ალბათ, მცხეთაში, მის მოძღვართან წავიდა-მეთქი. 12 საათზე უკვე ღვალაძის ჩანაწერები გამოჩნდა, როგორ აწყობდა თითქოს გენერალთა კავშირი შეთქმულებას სახელმწიფოს წინააღმდეგ. თითქოს შეცდომით დაასახელა გიას გვარი, წკრიალაშვილი, მაშინვე ვიფიქრე, რომ გიას მოკლავდნენ.

**— რატომ?**

— არ ვიცი, ძალიან ცუდი წინათგრძნობა მქონდა, წინა დღეებში მესიზმრა, როგორ ექაჩებოდა ჩემი გარდაცვლილი დეიდაშვილი ვიღაც თეთრპერანგიანს თავისკენ და ვიფიქრე, რომ ეს გია იყო, მერე მის სახეზე სიკვდილი დავინახე. საკუთარ თავს ვერ ვპატიობ, რომ მას შემდეგ, რაც ეგრეთ წოდებული ამბოხი გამოცხდდა, გიასთვის აღარ დამირეკია, არ ვიცი, რატომ ვერ მოვიფიქრე, იმის შემდეგ ჩემი ძმის ხმა აღარ გამიგონია... **სულ უკან დაგვდევდა პოლიცია, სახლთან იდგა შეიარაღებული ხალხით სავსე „მერსედესის“ მარკის მანქანა, ჩვენს ყველა ნაბიჯს აკონტროლებდნენ, ჩემს შვილიშვილსაც კი დაჰყვებოდნენ სკოლაში.**

**— იქნებ მართლა რაღაც ხდებოდა?**

— არაფერი არ ხდებოდა, მე თვითონ ვმუშაობდი ჯარში და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არაფერი იქ არ ხდებოდა.

**— როდესაც ჯარის ამბოხი გამოცხადდა, იმ დღეს სამსახურში იყავით?**

— არანაირი ამბოხი არ მზადდებოდა, აგვისტოს ომის შემდეგ ჩემი ბრიგადა და მუხროვანის ბრიგადა გააერთიანეს თელავში და იქ ვმსახურობდით. მერწმუნეთ, მუხროვანში არც ტანკი დაქოქილა და არც გია უნახავს იქ ვინმეს. **ერთადერთი, რაც მუხროვანში მოხდა, იყო ის, რომ წაგებული ომის შემდეგ ბიჭებმა პროტესტი გამოთქვეს და არ სურდათ აღლუმში მონაწილეობის მიღება.** აი, ეს იყო ამბოხის მთელი ისტორია. როგორც უკვე გითხარით, ძალიან ცუდი წინათგრძნობა მქონდა, უზომოდ მიყვარდა ჩემი ძმა და საკუთარ სიცოცხლესაც დავთმობდი მისთვის. 4 მაისს სამსახურში გონება დავკარგე და მეორე დღეს გამათავისუფლეს.

მომხდარის შემდეგ გამომძიებელი სახლში ამოვიდა და მითხრა, ვიცნობ გიას, ვიცი, პატიოსანი და მებრძოლი ადამიანია და იქნებ გამოცხადდესო. რატომ, რისთვის-მეთქი, **მადლობის მაგიერია, რომ ჩემი ძმის, ოთანაძისა და ათასობით სხვა პატრიოტის ზურგზე გადაიარა ყველა ომმა, ვის სისხლზე მოვიდა სააკაშვილის ხელისუფლება?! გიას თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდებოდა ხოლმე, რომ გაიხსენებდა, როგორ იბრძოდნენ 16-17 წლის ბიჭები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ვის სისხლზე მოვიდნენ ეს მკვლელები და უსინდისოები და მერე ჩემი ძმა გამოაცხადეს ქვეყნის მტრად.**

20 მაისს გავიგეთ, რომ ბიჭები ჩაცხრილეს...

**— სანამ მასზე ძებნა იყო გამოცხადებული, ვერ მოახერხეთ თქვენს ძმასთან დაკავშირება?**

— არც მიცდია მისი ძებნა, არც მიფიქრია, რატომღაც მეგონა, რომ ჩემი ძმა ამ ნაძირლებს ხელში არ ჩაუვარდებოდა, იმდენად ფრთხილი და ჭკვიანი იყო. მეგონა, ესენი ჩემს ძმას ვერ დაიჭერდნენ. რატომ ვფიქრობდი ასე, არ ვიცი, მივდიოდი მის მეგობრებთან და ისინიც მამშვიდებდნენ.

**— ცხვარიჭამიაში, ორმხრივი სროლის დროს?..**

— *(მაწყვეტინებს)* სწორედ ამის გამოძიება მინდა, იქ არავითარი სროლა არ მომხდარა და ეს ყველამ კარგად იცის. მაქვს ეჭვი, რომ ჩემი ძმა მოკლეს და მერე მიიყვანეს იქ. ჩემი ძმა იყო ძალიან შეცვლილი, როდესაც მოვასვენეთ. მგონია, რომ 17 მაისს ჩემი ძმა დააპატიმრეს და მერე მოკლეს. ჩემს შვილიშვილსაც კი დასდევდნენ სკოლაში, მე კი სამსახურში მიმაცილებდნენ და მერე — სახლში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვაკონტროლებდნენ. **მთელ უბანს ალყა ჰქონდა შემორტყმული და 17-ში ეს ყველაფერი მოიხსნა, აღარავინ აღარავის დასდევდა. ვიფიქრე, ალბათ, ძებნა შეწყდა-მეთქი და ამიტომ მგონია, რომ ჩემი ძმა დააკავეს. როგორც თქვეს, თითქოს ცხვარიჭამიაში იყო ორმხრივი სროლები. დაახლოებით ორი თვის წინ გავიგე, რომ მთელი მამკოდა გადაუტრიალებიათ, ისიც გავიგე, რომ თურმე მის მოძღვარსაც უთვალთვალებდნენ და ტაძარი, რომელშიც ჩემი ძმა დადიოდა, თურმე ალყაში ჰქონდათ მოქცეული.**

**— რატომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი თქვენი ძმის დაკავება?**

— არ ვიცი, ჰკითხეთ მიხეილ სააკაშვილს, გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძეს და სხვებს, პასუხი მხოლოდ მათ იციან.

**— როგორც ამბობენ, თქვენი ძმის მკვლელობა პიკასოს ნახატს უკავშირდება, რომელიც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოიპოვეს სადამ ჰუსეინის კოლექციიდან და შემდეგ გაყიდეს...**

— ჩემი ძმა თუ მოწმე იყო, მოწმე იყო ოთანაძეც, რადგან, როგორც ჟურნალისტმა ნათია მიქიაშვილმა მითხრა, ოთანაძე ვიღაც ზაზა ჯაფარიძემ დააკავშირა ვიღაც ნანასთან, რომელსაც ანტიკვარები შემოჰქონდა თუ გაჰქონდა, ჯანდაბამდე გზა ჰქონია... ერთადერთი ის ვიცი, რომ ჩემი ძმა ბინძურ საქმეში არ იქნებოდა გარეული. თუ ზაზა ჯაფარიძემ დააკავშირა ოთანაძე ვიღაც ნანასთან და კობამ თქვა, რომ ჩვენ გია კრიალაშვილი „დაგვკრიშავსო“ გზაზე, რატომ დატოვეს ცოცხალი მთავარი მოქმედი ფიგურები?!

**— ოთანაძეს 9 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ისიც სასიკვდილოდ გაიმეტეს და, შესაძლოა, არც ეგონათ, რომ გადარჩებოდა...**

— კარგი რა, **100 წელი აცოცხლოს კობა ღმერთმა, მაგრამ, მისი თავიდან მოცილება თუ უნდოდათ, ამას საავადმყოფოში ვერ მოახერხებდნენ?! ან ციხეში ვერ მოკლავდნენ?! თუ ხელი აუკანკალდებოდათ ამ ჯალათებს?!** იმ ავადსახსენებელ საღამოს ვითომ შემთხვევის ადგილზე რომ მივედი, ლენტი იყო გაკრული და იდგა ერთი პატრულის მანქანა, მეტი იქ არავინ ჩანდა, ღამის ოთხი საათი იქნებოდა დაახლოებით, იქიდან ღუდუშაურში წამოვედი საკმაოდ აღელვებული, ხუთმწკრივად იყო იქაურობა ალყაშემორტყმული.

**— იცოდით, რომ თქვენი ძმა გარდაცვლილი იყო?**

— არა. ვიცოდი, რომ ბიჭები იყვნენ დაჭრილები და მივედი ამბის გასაგებად. ეს პოლიციელები ხომ მონები იყვნენ და მთელი ბრძოლა გადავიტანე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რათა როგორმე შესვლა მომეხერხებინა საავადმყოფოში, მოვიტყუე, რომ რიგითი მოქალაქე ვიყავი და ექიმთან ვიყავი მისასვლელი. მოკლედ, დიდი ბრძოლის შემდეგ შევაღწიე საავადმყოფოში და ექიმთანაც კი შემომყვნენ პოლიციელები. იქ უკვე ისტერიკა დამემართა, ვკიოდი და ექიმებმა დაატოვებინეს იქაურობა პოლიციელებს, ხომ ხედავთ, ქალი შოკშიაო... მერე დავუჩოქე ექიმებს და ვთხოვე, ბიჭების შესახებ ეთქვათ. მითხრეს, ოთანაძე და ამირიძე დაჭრილები არიანო, ვიფიქრე, ალბათ, ჩემი ძმა ვერ ნახეს-მეთქი, რომ წამოვედი იქიდან მე უბედური ცოტა დამშვიდებული, ჩემი ძმის მეგობრებთან მივედი, იმათაც მითხრეს, ალბათ, წავიდაო. სახლში დავბრუნდი და გამოცხადდა, რომ ჩემი ძმა მოკლეს. გავვარდი პროზექტურაში, ჩემი რძალი და ბავშვი დამხვდნენ იქ, მაგრამ მე უბედურს მოკლული ძმაც არ მანახეს. ვერ ვპატიობ ჩემს თავს, რომ მიცვალებულიც არ მანახეს. იმდენად იყო შეცვლილი, ვერ იცნობდი, **ექსპერტიზის დასკვნაც კი არ მოგვცეს, გრიფით საიდუმლოაო. დამიბრუნეს პირადობა, საზღვარგარეთის პასპორტი და სამხედრო ბილეთი, არც ერთი დაზიანებულიც კი არ არის.** როგორც ამბობენ, 7 სპეცნაზელი ესროდა ბიჭებს, თითო ავტომატი 30 ტყვიას ისვრის, ეს ხომ არის 210 ტყვია, ისხდნენ ბიჭები, მძღოლი და ვიღაც ქალი, როგორ, ერთი ტყვია არ მოხვდა არც ერთს?! სახალხოდ დავწყევლი იმ ქალს: წყეულიმც იყოს მისი ოჯახი, მისი შვილები... მარტო ამათ როგორ ხვდებოდა ტყვია და იმათ არა?

**— თქვენ არ ჩაატარეთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა?**

— სამი ექსპერტი მოვიყვანეთ და სამივემ უარი თქვა გაკვეთაზე. მინდა ყველაფერზე პასუხი მივიღო. **კაცს, რომელმაც თავი სამშობლოს შესწირა, დღეს მტრის სახელი უნდა ჰქონდეს? ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას! ჩემი ძმის რეაბილიტაციას მოვითხოვ! მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამ საქმეს გამოიძიებენ და დამნაშავეებს საათანადოდ დასჯიან! ამ ხელისუფლების ღირსების საქმეა ჩემი ძმის მკვლელობისა და სხვა მსგავსი საქმეების გახსნა.**

ესაუბრა
**გიორგი მექმარიაშვილი**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტი აბსურდის აბსურდია, ყოვლად გაუმართლებელია ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, საზარალო და წამგებიანია. დეტალური განხილვით თქვენს მკითხველებს არ დავღლი, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ამოქმედებით ფოთისა და ბათუმის პორტები ტვირთების 30 პროცენტს მაინც დაკარგავს. არადა, თავიდან ეს პროექტი 200 მილიონად იყო შეფასებული, ახლა კიდევ 500 მილიონი დაამატეს, რომელიც ხუთპროცენტიანი სესხითაა აღებული“.**



# აკაკი ჩხაიძე: მე თვითონ მიკვირს, ცოცხალი რომ გადავრჩი

დიდი კომბინატორი ოსტაპ ბენდერი თავის კომპანიონთან ერთად კავკასიონს რომ გადმოვიდა, ფულის შოვნას შარაგზაზე ლეკურის ცეკვით შეეცადა „შამილი შევიდა მეჩეთში, დაიჩოქა და ილოცა“ მოტივის თანხლებით.
— დენგი დავაი! დავაი დენგი!
ჩაუვარდა ეს ტრანზაქცია, ვერ გადმოქაჩა რუბლები ექსკურსანტების ჯიბიდან თავისაში.
გავა წლები, თითქმის საუკუნე, საყაჩაღოდ გამოვლენ სააკაშვილის ხელის ბიჭები — კეზერაშვილი და მისთანანი, და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანენ ფულის გამოძალვის პრიმიტიულ მეთოდს, რომელიც ძალას დაეფუძნება — ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების სქელშუბლობას, და — არავითარი მხატვრული თვითშემოქმედება:
— დენგი ნა ბოჩკუ!
და მონათლავენ ამ რეკეტს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლად, ხალხში გაწეწვის სახელით გავრცელდება და ადამიანების ტრაგედიებად შემოგვიბრუნდება, ტრაგიზმის სტაბილურობით.
ისტორია, რომელსაც დღეს წაიკითხავთ, ერთ-ერთია მრავალთაგან და ტიპიურია.
აკაკი ჩხაიძე, საქართველოს რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალური დირექტორი, რომლის თავზეც უსამართლობის დოლაბი დატრიალდა და ვერ დაფშვნა, ვერ გატეხა, ალაპარაკდა; „საქართველო და მსოფლიო“ წარმოგიდგენთ ინტერვიუს მასთან.
ბატონი აკაკი იხსენებს გზას, რომელიც მან გაპარტახებული რკინიგზის აღსადგენად, მის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად რკინიგზელთა დიდ კოლექტივთან ერთად 24-საათიანი შრომითა და თავდაუზოგაობით განვლო.

## „საქმემან შენმა გამოგაჩინოს“

**ბატონი აკაკის მოღვაწეობა საქართველოს რკინიგზაში ახალი იდეების, პროექტების დანერგვა-განხორციელებით იყო გამორჩეული.**

— დარგი კატასტროფის პირას იყო მისული, ყველაფერი იმდენად გაჩანაგებული იყო, რომ გერმანელმა სპეციალისტებმა, რომლებმაც დეტალურად შეისწავლეს პრობლემა, შემოგვთავაზეს საერთოდ ხელი აგვეღო აზია-ევროპის დერეფნის იდეაზე და შევგუებოდით იმ აზრს, რომ მხოლოდ 2016 წლისთვის შევძლებდით დაახლოებით 4 მილიონი ტონის გადაზიდვას წელიწადში.

**— ეს ცოტაა?**

— ძალიან ცოტაა. მაგალითად, ციმბირის რკინიგზაზე 2 მილიონს ერთ დღეში ვატარებდით. რკინიგზისთვის მთავარია ტვირთების გადაზიდვა, ოქროს ლიანდაგებიც რომ დააგოთ, შემოსავალს ვერ მიიღებთ. ამიტომ საზღვარგარეთ, უწინარეს ყოვლისა, ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანაში გავხსენით ჩვენი წარმომადგენლობები, რათა გაგვემარჯვა ტენდერებში და მოგვეზიდა ტვირთები ამ ქვეყნებიდან ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების გავლით ევროპაში გადასაზიდად.

ავამუშავეთ „ტრასეკას“ პროექტი. ამ საკითხთან დაკავშირებით უზბეკეთის პრეზიდენტს, კარიმოვს, სამი საათის განმავლობაში ველაპარაკე. ერთი სიტყვით ავაწყეთ ეს საქმე. სულ მალე 17 მილიონი ტონა ტვირთი გადავიტანეთ ერთ წელიწადში და ბიუჯეტში პირველი გადამხდელები გავხდით — 100 მილიონამდე ლარი შევიტანეთ. ყოველწლიურად 40-50 მილიონი ლარის მოგება რჩებოდა რკინიგზას, რითაც განვახორციელებდით ჩვენს პროექტებს.

**— მაგალითად, რომელს?**

— ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი გავიყვანეთ ფოთიდან ბაქომდე, რომელსაც 100 მილიონის შემოსავალი უნდა მოეტანა წელიწადში. 2008 წლისთვის ნახევარ მილიარდზე უნდა გავსულიყავით.

**— ახლა მუშაობს?**

— გაყიდა „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ. ჩამოვიტანეთ რანალახის სისტემის განძელების („შპალების“) ქარხანა, ავამუშავეთ. უდიდესი მოთხოვნილება იყო ამ პროდუქციაზე.

**— ახლა მუშაობს?**

— გაყიდეს. ჩამოვიტანეთ იტალიური ხაზი.

**— ისიც გაყიდეს?**

— გაყიდეს. ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოვიდა ელმავალმშენებელი ქარხანა და დავიწყეთ პირველი, გამარტივებული ელმავლების გამოშვება ცვლად დენზე... დავიწყეთ ესპანელებთან ერთად გოგორწყვილების, ლიანდაგების ქარხნის მშენებლობა.

**(ყვება ბატონი აკაკი ამას, კიდევ ბევრ სხვა პროექტზეც ლაპარაკობს, მაგრამ მხოლოდ წარსულ დროში — იყო და აღარ არის: ასეთი იყო ახალი ხელისუფლების რეფორმების გენერალური მიმართულება).**

## გაყიდეს, გაყიდეს, გაყიდეს!

**როგორც ხრუშჩოვის დროს ბულდოზერის გადავლით მიწასთან გასწორებულ სამოციანელთა თანამედროვე ხელოვნების გამოფენის ფაქტს მოჰყვა გამყინვარების პერიოდი, ასევე მოსპეს და გაანადგურეს ქართული ეკონომიკა.**

**უმწიფარიძეები კი პირში შეცქეროდნენ.**

**თუმცა რკინიგზის წინააღმდეგ შეტევა გაცილებით ადრე დაიწყო „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულმა ფრთამ, რომელიც შემდეგ ტრიუმვირატის სახით მოგვევლინა და საბოლოოდ „ნაცმოძრაობად“ ჩამოყალიბდა.**

— რუსეთის გზათა მიმოსვლის მინისტრსა და მთავრობის მოადგილეს, ნიკოლაი აქსიონენკოს, ციმბირის რკინიგზაზე მუშაობის დროს დავუმეგობრდი, ახლობლური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, — ჰყვება აკაკი ჩხაიძე. — არ ვიცი, როგორ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ კაცთან მოსკოვში ჩავიდნენ „მოქალაქეთა კავშირის“ ხელმძღვანელები, რომლებიც აქსიონენკომ ერთი მილიონი დოლარით დააფინანსა. ამ შეხვედრას რუსეთში ჩვენი მაშინდელი ელჩი მალხაზ კაკაბაძე ესწრებოდა, რომელმაც მითხრა, რომ მინისტრს 20 წუთის განმავლობაში ჩვენს მეგობრობაზე ულაპარაკია, მილიონ დოლარზე არაფერი უთქვამს.

**— კარგია, რომ გაქო.**

— გეთანხმებით, მაგრამ ამ ქებას ძალიან უარყოფითი შედეგი მოჰყვა. რამდენიმე თვის შემდეგ თბილისში გაჟონა ამ ერთი მილიონის ამბავმა. მოქკავშირის ხელმძღვანელები დაეჭვდნენ, რომ ჩემგან გავრცელდებოდა ეს ხმა (აქსიონენკო მეტყოდა და მეც არ დავტოვებდი საიდუმლოდ).

საქართველოსთვის სატრანსპორტო ბლოკადის მოსახსნელად მოსკოვში რომ ჩავედი (აქსიონენკოს დახმარებით, 20 დღეში ეს საკითხი მოვაგვარეთ) ვკითხე ჩემს მეგობარს — მართალი იყო თუ არა ის, რასაც ჰყვებოდნენ. მან დამიდასტურა, რომ მართალია.

სწორედ ამ ფაქტის გამო გამოწვეული ეჭვი გახდა ჩემი დევნის მიზეზი მოქკავშირელების მხრიდან. ამ საქმეში მათი მთავარი იარაღი იყო „რუსთავი 2“-ის პროგრამა „60 წუთი“, რომელსაც აკაკი გოგიჩაიშვილი უძღვებოდა. თუ ვინმე ფულს არ მისცემდა, იმავე წუთში გოგიჩაიშვილს მიუქსევდნენ.

**ამერიკაში ჰყავდათ დაქირავებული პიარჯგუფი, რომელიც ნებისმიერ უმწიკვლო კაცს საშინელ მონსტრად წარმოაჩენდა. ის ჯგუფი კარნახობდა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.**

ჩემს შემთხვევაშიც ეს მექანიზმი ამუშავდა.

ავდექი და ჩვენი საელჩოს მეშვეობით მივმართე აშშ-ის შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს თხოვნით, გაერკვიათ, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს შემდგომში „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად“ წოდებული „რუსთავი 2“-ის მიერ ჩემ წინააღმდეგ გავრცელებული ცილისწამება.

ამერიკიდან დიპლომატიური არხით მივიღეთ ოფიციალური წერილი იუსტიციის სამინისტროდან, რომელიც დღესაც შენახული მაქვს. აშშ-ს შესაბამისმა ორგანოებმა შეისწავლეს აღნიშნული საკითხი და შეთითხნილი ცილისწამებიდან არაფერი დადასტურდა.

საქართველოს ძველმა პროკურატურამაც გამოიძია ეს საქმე და კვლავ არაფერი დადასტურდა. მაგრამ მოვიდნენ ესენი და ახალმა პროკურატურამ დაშალა ძველი საქმე, თავიდან დაიწყეს გამოძიება. სად არ მათრიეს, რა ბრალდებები არ წამომიყენეს... დღეს ცოცხალი როგორ ვარ, ის მიკვირს. იცით, რა ძნელია, როცა მორალურად თანმიმდევრულად გაფუჭებენ?

**— რას გაბრალებდნენ კიდევ?**

— მაგალითად, ისეთ აბსურდს, თითქოს მე ვაგონებს ვჭრიდი და ჯართად ვყიდდი. არადა, წელიწადში 300-დან 500 ახალ ვაგონს ვყიდულობდით. ლაპარაკია იმ ვაგონებზე, რომლებმაც ომი გამოიარა და მათი ექსპლუატაცია წარმოუდგენელი იყო. ეს ვაგონები მივეცით ვაგონშემკეთებელ ქარხანას იმ პირობით, რომ მოეხსნათ მარაგნაწილები, რომელთა გამოყენება კიდევ შეიძლებოდა, ხოლო დანარჩენი ჩაებარებინათ წესისა და კანონის შესაბამისად.

ეგ იყო და ეგ, ამათ კი ისეთი ამბავი ატეხეს, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდა.

მეორე „ბრალდება“ ჭითახევჰესის გამო წამომიყენეს, რომლისგანაც, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით და სემეკის გადაწყვეტილებით, რკინიგზა — სახელმწიფო ორგანიზაცია კერძო ჰესიდან ყიდულობდა ელექტროენერგიას. მაშინ ერთი კილოვატსაათი 6 თეთრი ღირდა, ჩვენ 3 თეთრად ვყიდულობდით. ამით რკინიგზა 150 000 ლარის ეკონომიას სწევდა ყოველ თვეში.

გამომძიებელმა სირაძემ (!) შარი მოგვდო, რომ გადახდილი არ გვქონდა ჭითახევჰესის ქონების გადასახადი 38 ათასი ლარის ოდენობით. ამაზე დიდ სისულელეს — სხვისი ქონების გადასახადის ჩვენთვის დაწერას — კაცი ვერ მოიგონებდა!

ამ დროს **რკინიგზას წინმსწრებად ბიუჯეტში ჩარიცხული ჰქონდა 15 მილიონი ლარი. ჩემს მისაღებში გაწვებოდნენ საგადასახადოს წარმომადგენლები — გვიშველე, ვიღუპებით, და გაიძულებდნენ, წინასწარ გადაგეხადა გადასახადები, რომელთა დრო ჯერ დამდგარი არ იყო. ვთქვათ, დავუშვათ, რომ ის სირაძე მართალი იყო. გამოეკლოთ 38 ათასი 15 მილიონისთვის და კიდევ 14 მილიონ 900 ათასზე მეტი დარჩებოდა ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი!**

**— ახლა რის გაკეთებას აპირებთ?**

— არავინ იფიქროს, რომ უკან დაბრუნებისთვის ვიბრძოლებ. არა! ბრძოლა ისეთი უნდა, როგორადაც ცხონებული ირინა ენუქიძე იბრძოდა სიმართლისთვის, სამართლიანობის გამარჯვებისთვის.

ვიბრძოლებ, რომ მიუკერძოებელმა პროფესიონალებმა, კომპეტენტურმა ექსპერტებმა გამოიძიონ ჩემი საქმე და იმისთვის, რომ მსგავსი პრეცედენტი არ გამეორდეს. თუ იოტისოდენა გადაცდომას აღმომიჩენენ, ჩემი ფეხით წავალ ციხეში. თუ არა, ის გამომ- ▶



**«მოხდა ისე, რომ დატვირთული გემი გააჩერეს და ერთი კვირის განმავლობაში ფოთში არ შემოუშვეს. ჩემთან მოვიდნენ კეზერაშვილის ბანდის წარმომადგენლები და მოითხოვეს ყოველ ტონაზე 20-25 დოლარის გადახდა ტარიფის ზემოთ»**

# „თუ იოტისოდენა გადაცდომას აღმომიჩენენ, ჩემი ფეხით წავალ ციხეში. თუ არა, ის გამომძიებელი მისცენ პასუხისგებაში, რომელმაც ეს საქმე შეთითხნა. სამაგალითოდ დასაჯონ, რათა სხვა გამომძიებელმა მსგავსი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა ველარ გაბედოს, და არავის აზრად არ მოუვიდეს თავისი არაკაცური ქმედების გამართლება ისეთი არგუმენტით, რომელიც ხშირად მესმოდა, რომლითაც წყლიდან მშრალად ამოსვლა სურდათ: რა ვქნა, დამავალეს და ასე უნდა გავაკეთო, თორემ სამსახურიდან მომხსნიან.“

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ძიებელი მისცენ პასუხისგებაში, რომელმაც ეს საქმე შეთითხნა. სამაგალითოდ დასაჯონ, რათა სხვა გამომძიებელმა მსგავსი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა ველარ გაბედოს, და არავის აზრად არ მოუვიდეს თავისი არაკაცური ქმედების გამართლება ისეთი არგუმენტით, რომელიც ხშირად მესმოდა, რომლითაც წყლიდან მშრალად ამოსვლა სურდათ: რა ვქნა, დამავალეს და ასე უნდა გავაკეთო, თორემ სამსახურიდან მომხსნიან.

მადლობა ღმერთს ქვეყანა რომ გადარჩა.

ერთ ფაქტსაც მოგიყვებით. მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზის სამმართველოდან კარგა ხნის წამოსული ვიყავი, აქტიურად ვინტერესდებოდი ტრანსპორტის იმ სახეობათა განვითარებით, რომლებიც რკინიგზის ტვირთბრუნვას ხელს შეუწყობდა. უკრაინასთან მოვილაპარაკეთ, აგვემოქმედებინა საზღვაო ბორანი ფოთი-კავკაზპორტი, რომლის პატრონი იყო ჩემი კოლეგა და კარგი ნაცნობი ანენკოვი. მან იყიდა გემი, რომელიც სომხეთიდან საქართველოში შემოტანილ ტვირთებს წაიღებდა დანიშნულებისამებრ, რუსეთიდან კი სომხეთის ტვირთებს ჩვენ მოგვაწვდიდა. ჩვენ ერევანში გადავიტანდით. ტვირთბრუნვა 3 მილიონ ტონამდე აღწევდა.

**მაგრამ მოხდა ისე, რომ დატვირთული გემი გააჩერეს და ერთი კვირის განმავლობაში ფოთში არ შემოუშვეს. ჩემთან მოვიდნენ კეზერაშვილის ბანდის წარმომადგენლები და მოითხოვეს ყოველ ტონაზე 20-25 დოლარის გადახდა ტარიფის ზემოთ.**

უარი ვუთხარით, რადგან ასეთ პირობებში მუშაობა სრულიად წარმოუდგენელი იყო. ასეთ წამგებიან საქმეს ხელს არავინ მოჰკიდებდა.

მაშინ ჩვენთან ვერ იმუშავებთო, გვიპასუხეს. დატვირთული გემი იძულებული გახადეს უკან გაბრუნებულიყო.

ანენკოვმა ამის შესახებ მიწერა ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გამოძალვის თაობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში. ვინ მოისურვებდა ასეთ ქვეყანასთან საქმის დაჭერას?

**— „კი მაგრამ, რაღაც ხომ გაკეთდა!“ — ამ პოზიციაზე დგას ჩვენი თანამოქალაქეების გარკვეული ნაწილი. ეთანხმებით?**

— ახლა მე გეტყვით, რა და როგორ „გაკეთდა“. მაგალითისთვის ბათუმის სადგურს დაგისახელებთ, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესი უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიაში. შენობა, რომელიც ჩვენ ავაშენეთ, გაყიდეს.

დაბრუნებაზე არავინ ფიქრობს, არც ვინმე აპირებს ამ სადგურის პროექტის დაბრუნებას და დამთავრებას.

წამოიწყეს ყარსი-ახალქალაქის პროექტი, რომელიც აბსურდის აბსურდია, ყოვლად გაუმართლებელია ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, საზარალო და წამგებიანია. დეტალური განხილვით თქვენს მკითხველებს არ დავღლი, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ **ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ამოქმედებით ფოთისა და ბათუმის პორტები ტვირთების 30 პროცენტს მაინც დაკარგავს. საქართველო ყოველწლიურად 90 მილიონი ლარით დაზარალდება.**

**თავიდან ეს პროექტი 200 მილიონად იყო შეფასებული, ახლა კიდევ 500 მილიონი დაამატეს, რომელიც ხუთპროცენტიანი სესხითაა აღებული. რეალურად არც ეს ეყოფა. ხომ ხედავთ, რა თანხებზეა ლაპარაკი, ამიტომ ვიტყვი, რომ ამ პროექტის განხორციელებით, ამ რკინიგზის მშენებლობით ფულის გათეთრების ქარხანა დადგეს.**

**— როგორც წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროექტები, როგორიც ავტობანების მშენებლობა და გზების გაყვანა იყო.**

**ამასაც იანგარიშებენ...**

**ბატონო აკაკი, თქვენს დროს რკინიგზელებს შესაშური ხელფასები ჰქონდათ, საშუალოდ — ოთხასი ლარი.**

— არა. მემანქანეებს 700 ლარამდე ჰქონდათ. თანაც მაშინდელი და ახლანდელი ლარის მსყიდველობითი უნარი შეადარეთ!

**— დაბოლოს, რა რაოდენობის ფული წაგართვათ ამ ხელისუფლებამ? როგორ მოახერხეთ 5 მილიონის გადახდა?**

— რუსეთში მუშაობის პერიოდში ციმბირში მქონდა ხეტყის გადამმუშავებელი ქარხანა. პროდუქციას გერმანული ტექნოლოგიით ვამზადებდით და საკმაო მოგებითაც ვყიდდით, მოთხოვნილებაც დიდი იყო: გვიჯდებოდა 300 დოლარამდე და 1000 დოლარად ვყიდდით გერმანიაში.

ბრატსკის ალუმინის ქარხანასთანაც ვიყავი დაკავშირებული. ქარხანა ყოველდღიურად 400-500 ვაგონს ტვირთავდა თავის პროდუქციით, რომლის გარკვეულ ნაწილს ჩვენი კომპანია ჰყიდდა.

ჩემი შრომითა და ოფლით მოპოვებული ფული უნამუსოდ წამართვეს. რაც გადავიხადე, ყველაფრის საბუთები მაქვს შენახული.

მეუბნებოდნენ — თქვი, რომ ასი მილიონი გადაიხადეო, ვინც ამას მთავაზობდა, საგამომძიებლოს უფროსი იყო. ეს უნდა განმეცხადებინა ტელევიზიით, ანუ საკუთარ თავზე ლაფის დასხმას მთავაზობდნენ. მპირდებოდნენ, რომ, თუ ასე მოვიქცეოდი, არაფერს გადამახდევინებდნენ.

ამათ სიტყვას ენდობა კაცი?

გადახდით მაინც გადამახდევინებდნენ და ჩემი ნათქვამი ჩემ წინააღმდეგ ბრალის წაყენებასავით გამომივიდოდა.

**— ამათაც ეს უნდოდათ.**

— რა თქმა უნდა... სხვათა შორის, სერიოზულად დამეხმარა აზერბაიჯანი.

ერთ საკითხშიც მინდა გაგარკვიოთ. საქმე მოითხოვს, თორემ არ ვიტყოდი. **რაც შემეძლო, ბევრს ვეხმარებოდი ჩვენი ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს, მეცნიერებს. ზოგიერთს ჰგონია, რომ რკინიგზის ფულით ვეხმარებოდი. არა, ბატონებო, ეს ჩემი ფული იყო, ჩემი პირადი ბიზნესიდან.**

უშურველად ვაკეთებდი ამ საქმეს. და ვერ წარმომედგინა, რომ ოდესმე ამას დანაშაულად ჩამითვლიდნენ.

მადლობა ღმერთს, დრონი იცვალნენ და სიმართლის თქმა შესაძლებელი გახდა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



**ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი გავიყვანეთ ფოთიდან ბაქომდე, რომელსაც 100 მილიონის შემოსავალი უნდა მოეტანა წელიწადში. 2008 წლისთვის ნახევარ მილიარდზე უნდა გავსულიყავით. გაყიდეს «ვარდების რევოლუციით» მოსულებმა. ჩამოვიტანეთ რანალახის სისტემის «შპალების» ქარხანა, ავამუშავეთ. უდიდესი მოთხოვნილება იყო ამ პროდუქციაზე. გაყიდეს. ჩამოვიტანეთ იტალიური ხაზი. გაყიდეს!**



**თუ ვინმე ფულს არ მისცემდა, იმავე წუთში გოგირჩაიშვილს მიუქსევდნენ. ამერიკაში ჰყავდათ დაქირავებული პიარჯგუფი, რომელიც ნებისმიერ უმწიკვლო კაცს საშინელ მონსტრად წარმოაჩენდა. ის ჯგუფი კარნახობდა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.**

## იცით თუ არა, რომ...

● ირლანდიაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იწყება 7 წლის ასაკიდან. აშშ-ის ზოგიერთ შტატში სიკვდილით დასჯას კანონმდებლობა 10 წლიდან ითვალისწინებს.

● 1990 წელს როკფელერის ფონდმა (აშშ) ჰუმანიტარული აქციის სახით განახორციელა მოსახლეობის ვაქცინაცია მექსიკასა და ნიკარაგუაში. შედეგად გაირკვა, რომ ვაქცინაცია შეიცავდა ნივთიერებას, რომელიც ხელს უშლიდა ფეხმძიმობას.

● 1940 წელს აბვერ-ის (ჰიტლერის გერმანიის სამხედრო დაზვერვა) ანალიტიკური მოხსენებიდან: „ქართველები, ისევე, როგორც ყველა კავკასიელი, პატივმოყვარე და გულუბრყვილონი არიან. მათი გულუბრყვილობა, განსაკუთრებით პოლიტიკაში, იდიოტიზმამდე მიდის. ორივე ეს თვისება გამოყენებული უნდა იქნას რეიხის ინტერესებში“.

● „სახელმწიფო მოღვაწე ფიქრობს მომავალ თაობებზე, პოლიტიკური მოღვაწე — მომავალ არჩევნებზე“ (უინსტონ ჩერჩილი).

● ძველ რომში საარჩევნო კამპანია ხმის მიცემის პროცედურამდე ბევრად ადრე იწყებოდა. კანდიდატი არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ აუწყებდა სახელისუფლო ორგანოს, რის შემდეგაც იწყებოდა წინასაარჩევნო ბრძოლა. კანდიდატები თეთრად იმოსებოდნენ, რაც მათი სუფთა სინდისის სიმბოლო იყო. ხალხმრავალ ადგილებში დადიოდნენ და ამომრჩევლებს მხარდაჭერას სთხოვდნენ. არჩევნების დღეს ყველა ამომრჩეველი პატარა ფიცარზე კანდიდატის სახელს წერდა და ურნაში ათავსებდა.

● ათენში საიდუმლო არჩევნების ვარიანტიც არსებობდა: მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ, ქალაქიდან განედევნათ ნებისმიერი საზოგადო მოღვაწე, თუ მისი პოპულარობა დემოკრატიის საფუძვლებს საფრთხეს უქმნიდა. მოქალაქე თიხის ჭურჭლის ნატეხზე წერდა იმ ადამიანის სახელს, რომლის განდევნას საჭიროდ თვლიდა. ნატეხს მოედანზე განკუთვნილ ადგილას დებდა. ქალაქს ტოვებდა ის პიროვნება, რომლის სახელიც ყველაზე ხშირად გამეორდებოდა ამომრჩეველთა შორის.

● აშშ-ს პრეზიდენტის პირველი არჩევნები 1789 წელს შედგა; ჯორჯ ვაშინგტონი პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი იყო, რომელმაც ხმათა 100 პროცენტი მიიღო.

● საფრანგეთის რევოლუციის დროს მეფე ლუი XVI-მ გაქცევა სცადა, მაგრამ ამაოდ. მისი პროფილი მონეტებზე იბეჭდებოდა, ამიტომაც საგულდაგულოდ შენიღბულსაც კი ყველგან სცნობდნენ.

● ბოლო 3500 წლის განმავლობაში კაცობრიობამ მხოლოდ 230 წელი გაატარა მშვიდობიანად, ომის გარეშე.

● 1998 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში თაღლითობისთვის, ქურდობისთვისა და არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის ტარებისთვის ყოველკვირეულად დაახლოებით 34 ადამიანი სიკვდილით ისჯებოდა.

● ყოველწლიურად მიწისძვრას 8 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ბოლო 4 ათასი წლის განმავლობაში მიწისძვრის შედეგად 13 მილიონი ადამიანი დაიღუპა.

● პირველი მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ჯარში ჰომოსექსუალიზმი სიკვდილით ისჯებოდა. თუ დამნაშავე ოფიცერი იყო, ნებას რთავდნენ, ბრალი ბრძოლაში გამოესყიდა, მაგრამ იგი აუცილებლად მოკლული უნდა ყოფილიყო.

● 1935 წლიდან 1975 წლის ჩათვლით შვედეთში, „რასის სისუფთავის“ კანონის თანახმად, 63 000 მეტ ადამიანს სტერილიზაცია ჩაუტარდა. კანონი მხოლოდ 1976 წელს გააუქმეს.

● კაცობრიობის ერთ მილიარდს მტკნარი სასმელი წყლის მიღების საშუალება არ აქვს. ყოველ 8 წუთში დაბინძურებული წყლის გამო მსოფლიოში ერთი ბავშვი იღუპება.

● „არაფერი გვსურს იმაზე მეტად, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის“ (საირუს ვენსი, აშშ-ის თავდაცვის მინისტრი).

● პროგნოზის მიხედვით, 2023 წელს დედამიწის მოსახლეობა 8,5 მილიარდს შეადგენს, აქედან ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების წილად „ნამატის“ მხოლოდ 150 მილიონი მოდის.



საქართველო და მსოფლიო
ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა შეძლოს, ლაბორატორიასა და აუდიტორიას დაუბრუნოს მეცნიერი, ახალგაზრდობას კი მისცეს ცოდნის შეძენის მოტივაცია. მეცნიერება, ანუ კვლევა და ამის შედეგად ამ ბაზაზე დაფუძნებული ცოდნის ეკონომიკა აუცილებელი გარანტია სახელმწიფოს აღმშენებლობისა, რადგანაც კარგი მეცნიერი კარგ უნივერსიტეტს ნიშნავს, იქ მიღებული ცოდნა კი მომავლის ბაზისია. ასე რომ, სწორად გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკა აუცილებლობის გათვალისწინებით გულისხმობს განვითარებულ მეცნიერებას, ამის გარეშე ქვეყნის სერიოზულ წინსვლაზე საუბარი ილუზიაა.**

# დამთავრდა თქვენი თარეში, განათლებისა და მეცნიერების მიზანმიმართულად მნგრეველებო!



**როგორც იქნა, ჩამოშორდა დამანგრეველი, ანტიეროვნული იდეოლოგიური დიქტატის კასტა ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს. არავინ ელოდა ასეთ დასასრულს, თუმცა ისტორიული განვითარების კანონზომიერება მოითხოვდა, რომ ამ კაბალურ და ტოტალურ სისტემაში, რომელიც დემოკრატიის სახელით მძვინვარებდა ქვეყანაში, დაიბადებოდა წინააღმდეგობა და დამთავრდებოდა შავ-ბნელი ღამე! რა იქნება ხვალ? როგორი იქნება სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული მიდგომა სახელმწიფოსგან მიგდებული და მიტოვებული არაერთი დარგისა თუ საკითხის მიმართ?! ასეთი კითხვები აწუხებს ბევრს, მათ შორის — მეც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ხამებისა და „გოიმების პარადის" დრო დამთავრდა, დასრულდა გაუგებარი თვითკმაყოფილებისა და თვითტკბობის ეპოქაც!**







**„ვარდების რევოლუციით" მოსული ხელისუფლების პირველი სამიზნე უნივერსიტეტი და მეცნიერების სისტემა იყო. ლომაიას დამანგრეველმა რეფორმამ ისე გააპარტახა ეს სფერო, რომ კარგა ხანი დასჭირდება მის ფეხზე წამოყენებას.** ვინმეს შეუძლია ახსნას, რატომ ერქვა მეცნიერების სამინისტრო ამ უწყებას, რა გაუკეთა ქართულ მეცნიერებას სამეცნიერო ინსტიტუტების შენობების გაყიდვის, სამეცნიერო კაბინეტების გაუქმების, მეცნიერების სამსახურებიდან გამორეკვის, საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასის (თვეში საშუალოდ 150 ლარი) დანიშვნისა და ამით, ფაქტობრივად, ქართული მეცნიერების ეროვნული ნიადაგიდან ამოძირკვის მანიაკური იდეის ხორცშეხმის მეტი?! და ასეთი დაფინანსებით, რომელსაც ჩვენთვის იმეტებდა „ეროვნული ხელისუფლება", ახალ წიგნს იყიდდა მეცნიერი, საწერ საშუალებას, სამეცნიერო მივლინებით წავიდოდა სადმე თუ ადამიანის უმთავრეს მონაპოვარს — სიცოცხლის უფლებას, შეინარჩუნებდა?!

**2006 წელს საქართველოს მთავრობამ უკლებლივ ყველა სამეცნიერო დაწესებულება და აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა გამოიყვანა მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით დაუქვემდებარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.** მერე ინსტიტუტს საბოლოოდ წაართვა ავტონომიური არსებობის უფლება და კანონის უხეში დარღვევით მიუერთა სასწავლო დაწესებულებებს, როგორც გაურკვეველი სტატუსის მქონე ერთეულები.

**ხელისუფლების ცინიკურმა და შეგნებულად გააზრებულმა ნგრევის პოლიტიკამ გაანადგურა არსებული სამეცნიერო პოტენციალი; მან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და ფიზიკურად მოსპო კვალიფიციური კადრები...** რომელი ერთი გავიხსენოთ მათი „საქმენი საგმირონი". როგორც თავის დროზე ხელისუფლების ერთმა რუპორმა აგვიხსნა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში თურმე ყველაფერი იყიდება, სინდისის გარდა, და გაყიდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობა-ნაგებობები, **ქუჩაში გამოყრილი და სხვადასხვა ინსტანციას შეკედლებული ქართული მეცნიერება დროისა და ეპოქის მსხვერპლად აქციეს — აი, ეს იყო „ვარდების რევოლუციური ხელისუფლების" რეალური სახე!** მიუხედავად სააკაშვილის რეჟიმის მიერ დეკლარირებული დასავლური ორიენტაციისა, რეალურად რა მივიღეთ? **თანამედროვე მსოფლიოში ბევრს საუბრობენ ცოდნის ეკონომიკის შესახებ და განვითარებულ ქვეყნებში კარგად იციან ნამდვილი მეცნიერების ფასიც. ჩვენ რისი ფასი ვიცით? — მანდატურების სათვალთვალო მომავალს ვზრდით თუ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას ვესწრაფვით?!**

**ერთი ადამიანის ნება-სურვილი მართავდა ყველაფერს, მინისტრებს ხან აგიოგრაფიული მწერლობა მიაჩნდათ მკვდარ ტექსტებად და ხანაც ინტეგრირებული სწავლების აპოლოგეტებად გვევლინებოდნენ!**

არაკომპეტენტური და საქმეში ჩაუხედავი ადამიანები შეესივნენ და ძირი გამოუთხარეს ეროვნულ ღირებულებებსა და ფასეულობებს! როცა სკოლაში რეფორმის სახელით გაუგებარი და სასწავლო პოლიტიკის დამანგრეველი პროცესები დაიწყო, მაშინ ეს გამარჯვებად მიიჩნიეს და, თურმე მერე მიხვდნენ, რომ მთლად კარგად არ ყოფილა საქმე. აქ გააზრებულ მიდგომაზე კი არ იყო საუბარი, არამედ **ერთი ადამიანის ნება-სურვილი მართავდა ყველაფერს, მინისტრებს ხან აგიოგრაფიული მწერლობა მიაჩნდათ მკვდარ ტექსტებად და ხანაც ინტეგრირებული სწავლების აპოლოგეტებად გვევლინებოდნენ!**

რაც შეეხებოდა მათ სურვილს, რომ საქართველო მოსამსახურეთა ქვეყნად გადააქციათ, ეს აღარ მოხდება! ბევრი რამ მეცნიერულ ძალაზეა დამოკიდებული, იმ ბირთვზე, რომელიც არ დაემონება, არ დაიჩოქებს, არც ერთი ხელისუფლების ნავში არ ჩაჯდება, პირადი კეთილდღეობისთვის ლიქვნასა და პირფერობას არ იკადრებს, არ გაუტყდება გასაჭირს, სიმართლისა და პატიოსნების, მამულიშვილობისა და ქვეყნის მსახურების პიროვნულ მაგალითად იქცევა და მიზანმიმართულად იმოქმედებს ადამიანური ღირსების დაცვისა და ეროვნულ ფასეულობათა დამკვიდრებისთვის.

**მეცნიერებაზე უარის თქმა ისტორიული პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების მცდელობაა, რადგან ამით სახელმწიფო ირიბად აცხადებს, რომ არ სჭირდება განათლებული ქვეყანა. ბრბო ადვილად სამართავია! ვერ ეღირსა ქართველი ერის ბრბოდ ქცევას ვარდებით მოსული ხელისუფლება, რომელსაც ვარდი ცოცხად ექცა, რომლითაც გახვეტეს კიდეც!**

მიზანმიმართული, გააზრებული და დაბალანსებული პოლიტიკაა აუცილებელი იმისათვის, რომ რამე შეიცვალოს განათლებისა და მეცნიერების მხრივ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ხსნის მოლოდინში არიან, იქნებ ახლა მაინც გაამართლოს თავისი ფუნქცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მასწავლებელთან ერთად (რომლის კეთილდღეობაც ხელისუფლებას აკვიატებული ჰქონდა, თუმცა კონკრეტულად არაფერს აკეთებდა ამისთვის) ქართველი მეცნიერის ბედზეც დაფიქრდეს და რეალური ნაბიჯები გადადგას მეცნიერისა და მეცნიერების გადასარჩენად. **მართალია, სამეცნიერო წრეები ელექტორატად ვერ გამოდგება, ცოტანი ვართ მასწავლებლებთან შედარებით, მაგრამ ბინძური პოლიტიკისაგან თავისუფალი სტრუქტურა უნდა წარმართავდეს საქმიანობას და არა რევანშისტული განწყობის გაურკვეველი იდეოლოგიის სექტა!**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო სტრატეგიის რადიკალურ შეცვლას მეცნიერებისა და განათლების ფეროში.**

აუცილებელია, კონცეპტუალური საფუძველი დაედოს სარეფორმო ღონისძიებებს, რათა დარგები და მიმართულებები არ განადგურდეს, კადრების წყვეტა რომ ავიცილოთ თავიდან. ფუფუნებაში მეცნიერს არც ერთი რეჟიმის დროს არ უცხოვრია, რადგან მეცნიერული შრომა იმთავითვე გამორიცხავს შვებასა და განცხომას — ეს ერთგვარი მსხვერპლშეწირვა, ახალი აზრის ძიება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, ჭეშმარიტებისკენ სწრაფვაა. რთულია, ვინმეს დააძალო ასეთი ცხოვრება, თანაც მაშინ, როცა იცი, რომ განწირული ხარ შიმშილისათვის, როცა არავის სჭირდები, როცა ზედმეტი ხარ საზოგადოებისთვის... **პერსპექტივა არცთუ სასიკეთოა, ახალგაზრდების დაინტერესება მეცნიერებით, ფაქტობრივად, ნულის ტოლია. საუნივერსიტეტო სწავლებას ხელოვნურად მოწყვეტილი მეცნიერება უკვე ნიშანია იმისა, რომ გადასახედია არაერთი ფუნდამენტური საკითხი.** ბოლონიის პროცესის ხშირი ხსენებით უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებული რეფორმები, რომლებმაც სამარცხვინო სახე მიიღო, სასწრაფოდ საჭიროებს შეცვლასა და რეორგანიზებას. იქნებ დამთავრდეს საქართველოში კლანური დაჯგუფებების, ნაცნობ-მეგობრობის მიხედვით კადრების შერჩევა და კვალიფიციური ადამიანების სრულიად არაკომპეტენტური პირებით ჩანაცვლება.

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა შეძლოს ლაბორატორიასა და აუდიტორიას დაუბრუნოს მეცნიერი, ახალგაზრდობას კი მისცეს ცოდნის შეძენის მოტივაცია. მეცნიერება, ანუ კვლევა და ამის შედეგად ამ ბაზაზე დაფუძნებული ცოდნის ეკონომიკა აუცილებელი გარანტია სახელმწიფოს აღმშენებლობისა, რადგანაც კარგი მეცნიერი კარგ უნივერსიტეტს ნიშნავს, იქ მიღებული ცოდნა კი მომავლის ბაზისია. ასე რომ, სწორად გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკა აუცილებლობის გათვალისწინებით გულისხმობს განვითარებულ მეცნიერებას, ამის გარეშე ქვეყნის სერიოზულ წინსვლაზე საუბარი ილუზიაა.**

მთავარი მაინც ისაა, რომ შეგნებული გვქონდეს მისია და აუცილებლობა მეცნიერებისა, სწორად გვესმოდეს მისი როლი და ადგილი საზოგადოების, სახელმწიფოებრივი განვითარების, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრობის კანდიდატსა და ჩვენს ეროვნულ ხელისუფლებას წარმატებები ვუსურვოთ ამ რთული საქმის გადაწყვეტაში!

**საბა მეტრეველი**

## ჯორჯ ბუში ხატვამ გაიტაცა

**აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მთელ დღეს ხატვაში ატარებს. ბუში ძაღლების პორტრეტებსა და ტეხასის პეიზაჟების ხატვით იქცევს თავს. თავისუფალ დროს ექს-პრეზიდენტი გოლფს თამაშობს და რესტორნებს სტუმრობს.** ახალი ამბავი არ არის, რომ ჯორჯ ბუშს განსაკუთრებით უყვარდა ძაღლები. როგორც მისი ყოფილი დამხმარე ჯო ჰაგანი აცხადებს, „ბუშს შეუძლია მთელი დღე ფუნჯით ხელში იჯდეს და ძაღლები ხატოს". ბუში დღემდე აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის პოლიტიკაში. ის ხშირად აკეთებს კომენტარებს აშშ-ის მიგრაციისა და სოციალური უსაფრთხოების საკითხებზე. როგორც დასავლურ პრესაში წერენ, თანამდებობის დატოვების შემდეგ ჯორჯ ბუში ბევრად უფრო მომთმენი და დაკვირვებული გახდა.



## კბილებიანი ფეხსაცმელი

**ბრიტანელმა დიზაინერებმა: მარიანა ფანტიჩმა და დომინიკ იანგმა საზოგადოებას ორიგინალური ფეხსაცმელი წარუდგინეს.** მათ მამაკაცის კლასიკური ტყავის ფეხსაცმელი 1050 კბილით მორთეს. პლასტმასის კბილის მწკრივი ფეხსაცმლის ძირს ეკვრის. ფეხსაცმელს თეთრ კბილებთან ერთად რამდენიმე ოქროსფერი კბილიც აქვს. დიზაინერები „მომღიმარი" ფეხსაცმლის გაყიდვას არ აპირებენ.

**თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდობას (უმწიფარსაც და მოწიფულსაც) განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოებრივი განვითარების საქმეში. სწორედ ამიტომ სასწავლო დაწესებულებათა უმთავრეს პრიორიტეტს მოსწავლეთა სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბება წარმოადგენს. იმისათვის, რომ ეს იდეა სრულყოფილად განხორციელდეს დღევანდელ ქართულ პედაგოგიკასა და სოციოლოგიაში, საჭიროა რელიგიური განათლების პოპულარიზება და წინ წამოწევა.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რელიგიური განათლება აუცილებელია!



გიორგი ტიგინაშვილი

**ვიდრე სახელდობრ რელიგიურ ცნობიერებასა და მის პარტიკულარულ მხარეს შევეხებოდეთ, უპრიანი იქნება, თუ განვიხილავთ საკუთრივ განათლების მნიშვნელობასა და მის ფუნდამენტურ როლს საზოგადოებრივი განვითარების სფეროში. საწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ განათლება არის მისტიური ძალა, რომელიც ყველაზე უფრო დახვეწილი, ღირსეული და საუკეთესო გზაა სოციალური დამკვიდრების, წარმატებისა და თვითრეალიზაციისთვის. ეს არის შესაძლებლობა, იყო კონკურენტუნარიანი, საინტერესო, ერთგვარად პრივილეგირებული და მოთხოვნადი პერსონა, რომელიც პროდუქტიულ ნაყოფს იძლევა საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და სტაბილურობისთვის.**

თანამედროვე საზოგადოება მერიტოკრატულია. ადამიანის კარიერული წარმატება, უპირველესად, დამოკიდებულია მის გონებრივ რესურსებზე, რაც შრომისმოყვარეობასთან, ნებისყოფასთან და დისციპლინასთან ერთად მოიცავს წიგნიერ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რასაც განათლების გზით ვიღებთ.

ცოდნა ყველაზე მყარი კაპიტალია, რომელიც მის მფლობელს შეუძლია უშრეტად გამოიყენოს. მიზანდასახული შემოქმედი კი აქტიურობისას დინამიურ პროცესშია და არასდროს სტატიკურ მდგომარეობაში არ იმყოფება, რაც მისი შემდგომი განვითარების საწინდარია.

**განათლების საბოლოო და პრიორიტეტული მიზანია თავისუფალი პიროვნების აღზრდა შინაგან თვისებათა შეუფერხებელი განვითარებით, სადაც ინდივიდი აბსოლუტურად დამოუკიდებელი და შეუვალია. სწორედ ეს უნდა წარმოადგენდეს პროგრესისა და ლიბერალური წინსვლის ფუძემდებლურ პრინციპს.**

## რელიგიური განათლება

ცოდნისა და ზნეობის ურთიერთმიმართება ყოველთვის იყო კაცობრიობის განსჯის საგანი. მუდმივად ბჭობდნენ, რა სჯობდა: განათლებული და უზნეო ადამიანი თუ განათლებას მოკლებული ზნეობრივი ადამიანი?! ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ბიბლიური სწავლება: **„უმჯობეს არს მოკლებული სიბრძნითა (სწავლითა) შიშითა ღვთისა, ვიდრეღა წარმატებული სიბრძნითა (სწავლითა) და გარდამხდომელი სჯულისა“** (ზირაქ. 19.21.) – ამ სიტყვებში ჩანს, რომ **სწავლებას კეთილზნეობის გარეშე ფასი არ აქვს და სული უპირატესია გონებაზე, რამეთუ ცოდნას სიყვარულის გარეშე დიდი საზოგადო ზიანის მოტანა შეუძლია, რაც კაცობრიობის განვითარების გამოცდილებამაც მრავალგზის ცხადყო.**

ქრისტიანული ეთიკა და ზნეობრივი ღვთისმეტყველება მოგვიწოდებს, რომ გონებაბრგვილ და უცოდინარ ადამიანად ის კი არ ჩავთვალოთ, ვისი ერუდიციაც შეზღუდულია, არამედ ის, ვინც თავისი ინტელექტით თავმომწონეობს. სამწუხაროდ, დღეს ძალიან ბევრს შეხვდებით უგუნურად ქედმაღალსა და დამღუპველად ტრაბახას, რომელსაც თავისუფლების შეგრძნება დაუკარგავს და მუდმივად რაღაც ხელოვნური ეტიკეტით ცხოვრობს... მაშინ, როცა უბრალოება და სისადავე საოცარ სიმშვიდეს, სულიერ აღფრთოვანებასა და სითბოს იწვევს როგორც შენში, ასევე მათშიც, ვისაც შენთან ურთიერთობა აქვს. სწორედ აქ ვლინდება გულის იერარქიული სიმაღლე ტვინზე.

ნიშანდობლივია, რომ წმ. ილია მართალი ჭეშმარიტად განათებულად არ მიიჩნევდა ყოფაქცევით უწესო ხასიათის ადამიანს. თავის **„პედაგოგიის საფუძვლებში“** იგი წერს: **„ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათგაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათგაუწრთვნელი“.**

ხშირად კამათობენ იმაზეც, თუ რამდენად „უარყოფით“ ზეგავლენას ახდენს რელიგიური შეხედულებები, რაციონალისტურ, მეცნიერულ სინამდვილეზე, რომელიც მხოლოდ საგნებსა და ნივთიერებებს სწავლობს და ამავე დროს ცდებს ემყარება. ცოდნისა და რწმენის „ჭიდილთან“ დაკავშირებით, სასარგებლო იქნება, თუ მოვიხმობთ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს სიტყვებს: **„განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, როცა ისინი ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან, ერთი — ფიზიკურს, ხოლო მეორე — სულიერს; ისინი კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს“.**

მართლმადიდებლურ სამყაროში წმინდა მამები მიიჩნევენ, რომ რელიგია არის სიცოცხლის ხე, ხოლო მეცნიერება — ცოდნის. საინტერესოა წმ. კლიმენტი ალექსანდრიელის შეხედულება, რომელიც ამბობს: **„მხოლოდ მორწმუნე ადამიანი არის მონა უფლისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა“.**

* * *

**თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდობას (უმწიფარსაც და მოწიფულსაც) განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოებრივი განვითარების საქმეში. სწორედ ამიტომ სასწავლო დაწესებულებათა უმთავრეს პრიორიტეტს მოსწავლეთა სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბება წარმოადგენს. იმისათვის, რომ ეს იდეა სრულყოფილად განხორციელდეს დღევანდელ ქართულ პედაგოგიკასა და სოციოლოგიაში, საჭიროა რელიგიური განათლების პოპულარიზება და წინ წამოწევა.**

სამწუხაროდ, ამ თემისადმი უყურადღებობას ბოლო წლებში ხელისუფლებისგან სრული იგნორირება და აუგი დამოკიდებულებაც ახლავს, რაც მათი მხრიდან კონკორდატის აბსოლუტურ უგულებელყოფაში ვლინდება. ნაცვლად პრინციპულობისა, ამ მხრივ, პასიურობასა და ინდიფერენტულობას საქართველოს საპატრიარქოც იჩენს, რაც, თავის მხრივ, მეტად გაუგებარი, პარადოქსული და აუხსნელი მოვლენაა.

უპირველეს ყოვლისა, **აუცილებელია, რომ კანონმდებლობამ და ეროვნულმა სასწავლო გეგმამ მკაფიოდ განსაზღვროს რელიგიური სწავლა-მოძღვრების ადგილი და დანიშნულება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. მისასალმებელია, თუ იგი ადრიდანვე დაინერგება, რამეთუ დაწყებითი სწავლება საბაზისო განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია.**

**იმ შემთხვევაში, თუკი** (მშობელთა, მოწაფეთა) **ინტერესი დიდია, კონკრეტული სკოლის სამეურვეო საბჭომ უნდა აიღოს ვალდებულება, რომ სავალდებულო ან ნებაყოფლობითი ფაკულტატური კურსის სახით მაინც ისწავლებოდეს რელიგიების ისტორია.**

კანონმა, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს იმის შესაძლებლობაც, რომ, თუკი მოთხოვნა არსებობს, მოსწავლეებმა საკუთარი ინიციატივით, სურვილისამებრ, რომელიმე კონკრეტული რელიგიის შესახებ ისწავლონ. მათ ასევე კომპეტენტური სწავლულისა თუ სასულიერო პირის რეგულარული მოწვევის უფლებაც უნდა მიეცეთ, რომელიც მათთვის აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე კვალიფიციურ კონსულტაციებს გაუწევს თითოეულ მათგანს, რადგან პიროვნების ფორმირებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ის, რასაც ვასწავლით, არამედ კიდევ უფრო მეტად ის, თუ როგორ და რა მეთოდით ვასწავლით.

ამასთან, რელიგიური შინაარსის ღონისძიებების, პრეზენტაციებისა თუ სამეცნიერო კონფერენციების პერიოდული გამართვაც სახალისოს გახდის მუშაობისა და მეცადინეობის პროცესს, რაც მოსწავლისათვის კიდევ უფრო მეტ მოტივაციას გულისხმობს.

ფსიქოლოგები ხშირად აღნიშნავენ, რომ **რელიგიური აზროვნება საგრძნობლად აფართოებს ადამიანის შემეცნებით არეალს და იგი მიჰყავს ზნეობრივი სიმაღლის საფეხურამდე.**

«კანონმა, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს იმის შესაძლებლობაც, რომ, თუკი მოთხოვნა არსებობს, მოსწავლეებმა საკუთარი ინიციატივით, სურვილისამებრ, რომელიმე კონკრეტული რელიგიის შესახებ ისწავლონ. მათ ასევე კომპეტენტური სწავლულისა თუ სასულიერო პირის რეგულარული მოწვევის უფლებაც უნდა მიეცეთ»

უეჭველია, რომ მოზარდი პირველადი წიაღიდან, ანუ ოჯახის გარემო-პირობებიდან იღებს მსოფლმხედველობრივ, თვისობრივ თუ მენტალურ უნარ-ჩვევებს, იყალიბებს ფასეულობათა სისტემასა და გონისეულ ხასიათს. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული წინდახედულობა და ყურადღება მართებთ მშობლებს ესოდენ ფაქიზი პროცესისადმი, რასაც ბავშვის აღზრდა ჰქვია.

საყურადღებოა ერთ-ერთი თანამედროვე მართლმადიდებელი ღვთისმეტყველის მოსაზრება ბავშვთა ადრეული ასაკიდან სარწმუნოებრივი აღზრდის შესახებ: **„ისმის კითხვა: რატომ არ უნდა მივაწოდოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს რელიგიური სწავლება? როდესაც მათ ვზრდით, სკოლაში მიგვყავს, წამალს ვაძლევთ, ვაცმევთ, სადილს ვუმზადებთ და ა. შ., განა ვეკითხებით მას, განა ის წყვეტს ამ საკითხებს? აქვს კი უნარი პატარას, გააკეთოს არჩევანი? ეს ხომ მოწიფულთა საქმეა... და როცა ლაპარაკია მადლზე, სიკეთეზე, ჭეშმარიტებასა და ღმერთთან ურთიერთობაზე, რა არის ამაში ცუდი? პირიქით“!**

ძალზე საინტერესოა ფსიქოლოგ ლევან შატბერაშვილის მოსაზრებებიც ცოდნისა და ზნეობის მნიშვნელობის შესახებ, იგი წერს: **„ცნობილია, რომ გარკვეული მიმართულებით ნიჭიერება მეტწილად განპირობებულია გენეტიკით... ზნეობა კი აღზრდიდან მოდის, იმ ოჯახიდან, რომელშიც დაიბადე და გაიზარდე, გასწავლეს, თუ რა არის კარგი და რა – ცუდი... რატომ უყვარდი იმ ოჯახში, იმიტომ, რომ იყავი პატიოსანი, წესიერი, თუ იყავი ისეთი, როგორც თვითონ უნდათ, რომ ყოფილიყავი, თვითონ კი არ იყვნენ ზნეობრივი თვალსაზრისით მისაღებნი,... ამიტომ ბავშვი უნდა გაიზარდოს სიყვარულში. ესაა მთავარი. ოჯახში, სადაც სიყვარულია, ურთიერთპატივისცემა, როგორც წესი, ზნეობრივი ადამიანები იზრდებიან. იმ ოჯახებში კი, რომლებშიც ძალადობა, ტყუილი და ფარსია, იქ, გამონაკლისების გარდა, ზნეობრივები არ იზრდებიან... საერთოდ კი ჯობს, ბავშვს არაფერი დააძალო, უკეთესია ინტერესი გაუჩინო“.**

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებში, მათი ქცევის რეგულირებისა და კონტროლისთვის, ყოვლადდაუშვებელია რელიგიური დოქტრინებითა და არგუმენტებით ზეწოლა, რამეთუ დიდია ალბათობა მათში პროტესტის გრძნობის გაღვივებისა და შიდასულიერი აგრესიის გაჩენისა. ეს ყოველივე კი კრიტიკული აზროვნების უნარს დაუქვეითებს მოზარდს, რაც იქნება ფატალური დარტყმა თითოეული ბავშვის ფსიქიკაზე.

უნდა ითქვას, რომ **წარმატებული რელიგიური განათლების საზომია არა იმ ცოდნისა და ინფორმაციის მოცულობა, რომლითაც ტოვებს მოსწავლე სკოლას, არამედ ის, თუ რამდენად ეხმარება სასწავლებელი და პედაგოგი მოსწავლეს იპოვნოს საყრდენი, სულიერი წერტილი ამ თავბრუდამხვევ და ქაოტურ სამყაროში, ანუ რელიგიური სწავლა-განათლების მიზანი ადამიანის ზნეობრივი გაუმჯობესებაა და არა თვით განათლება.** უმთავრესად, ადამიანს უნდა მიეცეს განსჯის უნარი იმისათვის, რათა ერთმანეთისგან განარჩიოს კეთილი და ბოროტი, სასარგებლო და ურგები, ნათელი და ბნელი და თავისუფალი ნების საფუძველზე გააკეთოს სწორი არჩევანი, რომელიც წარმავალიდან მარადისობამდე აღის.

მიმაჩნია, რომ მოსწავლეთა რელიგიური გათვითცნობიერება მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს კეთილსინდისიერი, პატიოსანი და მაღალზნეობრივი სოციუმის ჩამოყალიბებას, რაც თავისთავად იქნება მყარი გარანტი ქვეყნის წარმატებული და ჯანსაღი მომავლისა.

**აუცილებელია, რომ სწავლება მიმართული იყოს ბავშვის პიროვნების, მისი ნიჭის, ინტელექტის, გონებრივი თუ სულიერი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარებისკენ.**

პედაგოგთა მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოზარდი თაობის მომზადება თავისუფალ, დემოკრატიულ, ტოლერანტულ საზოგადოებაში აქტიური მაღალმორალური ცხოვრებისათვის. სასწავლებლებმა უნდა გააღვივონ მათში პატრიოტული სულისკვეთება და შთააგონონ პატივისცემის უნარი არა მხოლოდ თვითმყოფადი ეროვნულ-კულტურული ფასეულობებისადმი, არამედ მარადიული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი. მოსწავლეებს მათ უნდა ასწავლონ სხვადასხვა ერის, კონფესიისა თუ დენომინაციის წარმომადგენელთა მიმართ ურთიერთგაგების ხელოვნება, საკუთარი ქვეყნისა და აღმსარებლობისადმი სიყვარულის დაკნინების გარეშე.

**ვფიქრობ, რომ რელიგიური ცოდნა ბევრად უფრო ჰარმონიულს, შემწყნარებლურსა და ცივილურს გახდის პლურალისტურ გარემოში სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა ურთიერთდამოკიდებულებას.**

**გიორგი ტიგინაშვილი,**
თეოლოგი

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთ-ერთი საჩვენებელი ელემენტი იმისა, რომ ამერიკული დემოკრატიის მანქანა ძალზე საეჭვო პროგრამით მუშაობს, შემდეგი ინფორმაციაა: ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ აშშ-ის სოციალურმა სამსახურებმა საყოველთაო განხილვისთვის წარმოადგინეს პრეზიდენტობის კანდიდატთა პოლიტიკურ რეიტინგებად ქცეული გამოკითხვის შედეგები, რომლებიც აბსოლუტურად არ ემთხვეოდა იმ რეიტინგს, რომელიც ახლაა. ამ გამოკითხვების თანახმად, შემდეგნაირი სურათი იხატებოდა: ობამა მშვიდად აგროვებდა თავის 54%-ს, მისი ოპონენტი რომნი კი დარჩენილ 46%-ს სჯერდებოდა.**

# ტარაკნების შეჯიბრი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებზე

**უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა სტერეოტიპი იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკულად ნებისმიერ სერიოზულ საკითხზე მსოფლიოში მთავარი უნდა იყოს ერთადერთი შესაძლო თვალსაზრისი — თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და იმ ფინანსური ძალების თვალსაზრისი, რომლებიც ამ ორგანიზაციების უკან დგანან. სწორედ ამ თვალსაზრისის დაცვას ემსახურება გაეროს სხდომები, საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმები და სხვა საერთაშორისო ღონისძიებები, რომლებიც თავიანთი პირდაპირი დანიშნულებით კონსესუსის მიღწევას და მრავალნაირი თვალსაზრისიდან ერთი, მეტ-ნაკლებად ყველასათვის მისაღების არჩევას უნდა ემსახურებოდნენ.**



ეს მსოფლიო დემოკრატიის რაღაც ახალი ფორმაა, როდესაც ერთი სახელმწიფოს ფინანსური და სამხედრო ლობი ფაქტობრივად ტოტალურად იმორჩილებს სხვა სახელმწიფოებს იმ მომგებიანი სივრცის ხელში ჩასაგდებად, რომლის საშუალებითაც ფულის კეთებაა შესაძლებელი. მაგრამ ეს დემოკრატიული თამაში, რომელსაც აშშ-ის გარკვეული ძალები აწარმოებენ, მხოლოდ საგარეოპოლიტიკურ არენაზე როდი ვლინდება. თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიის სუნიც კი აღარ ტრიალებს.

საქმე ისაა, რომ გარკვეული რესურსების დახმარებით ამ სახლმწიფოში დიდი ხნის წინ ისწავლეს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება იმ ერთადერთი მიზნით, რომ შექმნან სახალხოობის დიადი ილუზია და აიძულონ თავად ამერიკელები, სჯეროდეთ, თითქოს მართლაც თავად წყვეტენ რაიმეს ეკონომიკურ ან პოლიტიკურ სფეროში. ამერიკელი მოქალაქეების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რომ ამერიკაში ბრიტანული სამეფო გვირგვინის კოლონიზაციიდან გათავისუფლების ეპოქაში ჩასახული დემოკრატია წარსულში რჩება. დემოკრატიული ღირებულებები — ეს მხოლოდ ეფემერული ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას იძლევა, საზოგადოება მოკლე თასმაზე გამობმული ჰყავდეთ და საჭიროების შემთხვევაში დანიშნულებისამებრ გამოიყენონ.

სულ ცოტა ხნის წინ აშშ-ში საზოგადოება ხელისუფლებისთვის მეათე ხარისხოვანი იყო: მას ერეკებოდნენ ცრემლსადენი გაზითა და ხელკეტებით უოლ-სტრიტიდან და კრედიტების გადახდისუუნარობის გამო ამავე საზოგადოების წევრების სახლებს მიწასთან ასწორებდნენ.

**ერთ-ერთი საჩვენებელი ელემენტი იმისა, რომ ამერიკული დემოკრატიის მანქანა ძალზე საეჭვო პროგრამით მუშაობს, შემდეგი ინფორმაციაა: ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ აშშ-ის სოციალურმა სამსახურებმა საყოველთაო განხილვისთვის წარმოადგინეს პრეზიდენტობის კანდიდატთა პოლიტიკურ რეიტინგებად ქცეული გამოკითხვის შედეგები, რომლებიც აბსოლუტურად არ ემთხვეოდა იმ რეიტინგს, რომელიც ახლაა. ამ გამოკითხვების თანახმად, შემდეგნაირი სურათი იხატებოდა: ობამა მშვიდად აგროვებდა თავის 54%-ს, მისი ოპონენტი რომნი კი დარჩენილ 46%-ს სჯერდებოდა.** როგორც იტყვიან, ყველაფერი ცალსახად ნათელია და აბსოლუტურად სწორად ასახავს იმ პოლიტიკური ძალების განლაგებას, რომელთა უკანაც გაცილებით უფრო გავლენიანი ფინანსური ძალები დგანან. მაგრამ ამ ფინანსურ ძალებს მოეჩვენათ, რომ შედეგების წინასწარგარკვეულობა საპრეზიდენტო არჩევნებზე დიდ დაძაბულობას შექმნის, დებატების პერიოდში ხომ მხოლოდ რეკლამიდან კომპანიები ათობით მილიონ დოლარს შოულობენ. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში არ იქნება საშუალება, პროცესის მთელი დემოკრატიულობა აჩვენონ მსოფლიოს, რაც გარკვეულწილად ჩაშლის თეთრი სახლის უფროსის შეცვლის წინასწარ ფინანსურად გათვლილ იდეას.

**სოციოლოგებმა რესპუბლიკელების კანდიდატ მიტ რომნის 2-3 პროცენტი დაუმატეს და იგივე 2-3 პროცენტი, ცხადია, ბარაკ ობამას მოაკლეს. ამის საფუძველზე მოულოდნელად გაირკვა, რომ კანდიდატი და მოქმედი პრეზიდენტი ობამა თავისი მოწინააღმდეგის მდევარის როლშია**

ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ამერიკამ კარგად ნაცნობი გზით წასვლა არჩია: **სოციოლოგებმა რესპუბლიკელების კანდიდატ მიტ რომნის 2-3 პროცენტი დაუმატეს და იგივე 2-3 პროცენტი, ცხადია, ბარაკ ობამას მოაკლეს. ამის საფუძველზე მოულოდნელად გაირკვა, რომ კანდიდატი და მოქმედი პრეზიდენტი ობამა თავისი მოწინააღმდეგის მდევარის როლშია.** დაინახა რა ეს ყველაფერი, თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის ფუმფულა სავარძლის ამჟამინდელმა პატრონმა გადაწყვიტა, თავადაც შეტევაზე გადასულიყო, ცხადია, იმავე ფინანსურ წრეებზე დაყრდნობით. არადა, თავად ამერიკაშიც იციან, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ორივე კანდიდატს ზურგს უკან ერთი და იგივე ფინანსური წრეები უდგანან.

ამის შემდეგ კი **ამერიკული დემოკრატია ტარაკნების შეჯიბრად იქცა** — რამდენიმე დაინტერესებული პირი მწერების შეჯიბრს იმის გამო აწყობს, რომ კარგი სარგებელი მიიღოს. თუ რომელიღაც ერთი „ულვაშებიანი მორბენალი“ შეჯიბრის ფავორიტი ხდება, მას უმალ პლასტელინს აწებებენ ზურგზე, რომ მალე არ მივიდეს ფინიშთან და ამას შანსების გათანაბრება ჰქვია...

**ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში, პლასტელინი, ცხადია, ვიზუალურად არ ჩანს, მაგრამ კანდიდატების შანსების ზუსტად 50%-თან გათანაბრება ოკეანისგაღმელი სოციოლოგების მიზანმიმართულ მუშაობაზე მეტყველებს. და მართლაც, ის რაღა დემოკრატიული არჩევნები იქნება, თუ ამერიკელებს დროზე ადრე გამოუცხადებენ, რომ ერთ-ერთი კანდიდატის რეიტინგი 10-15%-ით უსწრებს მეორისას.**

არავითარ შემთხვევაში, — განაცხადეს მათ, ვინც აშშ-ის პოლიტიკური ცხოვრებისთვის დემოკრატიული პროცესის იერის მიცემაზე აგებს პასუხს, — ჩვენ უმალ დავაყენებთ რეიტინგებს იმ ▶

# თავისუფლების სიახლეები: აშშ დაეხმარება ლიბიას პროტესტების ჩახშობაში

**პენტაგონი და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ძალისხმევას არ დაიშურებენ, რომ ლიბიის ხელისუფლებას სახალხო მღელვარებების ჩახშობასა და ისლამისტ ექსტრემისტებთან ბრძოლაში დაეხმარონ. იმათთან საბრძოლველად, ვინც, აშშ-ის ხელისუფლების რწმენით, გასულ თვეს სიცოცხლეს გამოასალმა ლიბიაში აშშ-ის ელჩი კრისტოფერ სტივენსი, შესაბამისი უწყებები მზად არიან, ქვეყანას რვა მილიონი დოლარი გამოუყონ. ივარაუდება, რომ ეს ფული დაიხარჯება ექსტრემისტებთან მებრძოლი და ქუჩის პროტესტების ჩამხშობი რაზმების შექმნაზე.**



ობამას ადმინისტრაციის იმ შიდა დოკუმენტების თანახმად, რომლებსაც „The New York Times“-ი იშველიებს, კონგრესმა გასულ თვეში დაამტკიცა ზემოხსენებული თანხის გადამისამართება პენტაგონის ოპერაციებისა და პაკისტანის კონტრტერორისტული ბიუჯეტიდან ლიბიის პროფესიონალურ დონეზე გაწვრთნილი ჯარების დაფინანსებაზე. ამ ჯარში 500-მდე სამხედრო იმსახურებს.

სწავლებებს ძირითადად ჩაატარებენ ამერიკული სპეცსამსახურები, რადგან მათ იემენსა და პაკისტანში უკვე აქვთ ტერორიზმთან ბრძოლის გამოცდილება.

დოკუმენტში ასევე საუბარია 4 მილიონი დოლარის მოცულობის დამატებით სახსრებზე ლიბიის საზღვრებზე კონტროლის გაუმჯობესების მიზნით.

ამერიკელი ჩინოვნიკები ირწმუნებიან, რომ ამგვარი მოსაზრება ლიბიაში ელჩის მკვლელობამდეც არსებობდა, ახლა კი გეგმამ ახალი აქტუალობა შეიძინა იმ მიზეზის გამო, რომ ლიბიის ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ქვეყნის მეომარ ფრაქციებზე კონტროლი დაამყაროს.

**ამერიკელი ჩინოვნიკების ჩანაფიქრის თანახმად, ლიბიის დივერსიულ ჯგუფს ექნება ტერორისტული ან ნებისმიერი სხვა ექსტრემალური საფრთხის ლოკალიზებისა და ლიკვიდაციის ის საშუალებები, რომლებსაც მანამდე ქვეყნის ძალოვანები არ ფლობდნენ.**

პროექტების დეტალები ჯერ კიდევ განხილვის საგანია, მაგრამ ამ თემაზე პრინციპული შეთანხმება მხარეების მიერ უკვე მიღებულია.

თავად ლიბიაში პოლიტოლოგები იმედოვნებენ, რომ დასავლელი ძალოვანები დაემხარებიან ნაციონალური არმიის სწავლებაში, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ამგვარ წინადადებას ქვეყანაში მოწონებით შეხვდნენ. აბსოლუტურად გაუგებარი რჩება, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული ლოიალობა ამავე სავარაუდო შეიარაღებული ძალებისაგან.

კარნეგის საერთაშორისო ფონდის უფროსი ▶

**დღეს ევროპული კანონები დაიცავენ, ვისაც გნებავთ და ვისგანაც გნებავთ, მაგრამ არა ნამდვილ ევროპელებს, რომლებიც ამ კანონების მორჩილებით ცხოვრობენ. დღეს მულტიკულტურულ და ტოლერანტულობის ჭაობში ჩამხრჩვალი ევროპა მუსლიმანურ მრავალცოლიანობასა და მრავალშვილიანობას ერთსქესიანი ქორწინებებით უპირისპირდება. ვერაფერს იტყვი, ღირსეული პასუხია... იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიღაც მთელი ძალით უბიძგებს ევროპულ ცივილიზაციას გადაშენებისკენ.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნიშნულებზე, რომლებიც არჩევნებს ინტრიგას შეუნარჩუნებს და სახალხო მმართველობის დაჟანგებული მექანიზმი გარეგნულად აბსოლუტურად გამართულად იმუშავებს.

ამასთან, არავინ იცის, თუ რატომ დაკარგა სარეიტინგო ქულები ობამამ არჩევნებამდე თვე-ნახევრის წინ... ნუთუ რიგითი ამერიკელები ვერ ხვდებოდნენ, რომ არავითარი ეკონომიკური აღორძინება არ მოუხდენია ახლანდელ ადმინისტრაციას და რომ ომები როგორც მიდიოდა, ისე გრძელდება, ვიდრე ამის შესახებ მიტ რომნიმ არ აცნობა მათ? ნუთუ ამერიკული ელექტორატის საშუალოსტატისტიკურ წევრს აუცილებლად უამბობს ამის შესახებ, როგორც პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი? მაშ, რაღას აკეთებს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ამერიკული მასმედია? გამოდის, რომ ეს მასმედიაც მთელი ოთხი წლის მანძილზე დუმდა მოქმედი პრეზიდენტის ამ ეკონომიკური და გეოპოლიტიკური პრობლემების შესახებ და გამოჩნდა რომნი, რომელმაც ყველა საიდუმლოს ფარდა ახადა. მაგრამ ასე ხომ არ ხდება და ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ **ამერიკაში მოქმედებენ ძალები, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს სასურველ მიმართულებას აძლევენ, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების გახალისებისა და საარჩევნო შოუდან პრობლემების ჩამოშორების მიმართულებას.**

ამ არჩევნებს კი შოუს მეტს ვერაფერს უწოდებ, რადგან ეს არის ორი ადამიანის შუბლით შეჯახება, ადამიანებისა, რომლებიც სპონსორთა დახმარების გარეშე წინ ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამდნენ.

ამ შემთხვევაში ერთადერთი რამ შეგვიძლია დავასკვნათ: **როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს ტარაკნების შეჯიბრი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებზე, შოუს ორგანიზატორი მაინც კმაყოფილი იქნება, რადგან პურსაც მიიღებს და სანახაობასაც...**

topwar.ru

◀ პოლიტიკური ანალიტიკოსი ფრედერიკ ვირი, რომელიც ახლახან იყო ლიბიაში, ამბობს:

**„მიუხედავად იმისა, რომ ეს გააზრებული სტრატეგიაა, ერთი რამ მაშფოთებს: ამგვარი ინიციატივა ნებისმიერ წუთში შეიძლება იქცეს ტროას ცხენად, რომლის დახმარებითაც მეამბოხეები ლიბიის არმიის რიგებში შეაღწევენ“.**

გარდა ამისა, ვირის განცხადებით, ლიბიელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ინგლისურ ენაზე უნდა ასწავლონ, რათა მათ საშუალება მიეცეთ, გამოიყენონ ინგლისურენოვანი მასალები. ეს კი პრობლემაა, რადგან იდეაში პროგრამა ლიბიელი ხალხისათვის აბსოლუტურად გამჭვირვალე უნდა იყოს.

ექსპერტები ამბობენ, რომ ყველაფერი, რაც ლიბიაში ხდება, ერთ რამეზე მიანიშნებს — ქვეყანაში სიტუაცია ძალიან შორსაა სტაბილურისაგან.

odnako.org

# ევროპის მომაკვდავი ცივილიზაცია




**ფრაზა იმის შესახებ, რომ ყოფილი მეტროპოლიები, შესაძლოა, თავიანთი ყოფილი კოლონიების კოლონიებად იქცნენ, უკანასკნელი წლების მანძილზე სულ უფრო აქცენტირებულად ხორციელდება რეალობაში. იმიგრანტების რაოდენობა, რომელიც დღეს ავსებს ევროპულ სახელმწიფოებს, ძალიან ჰგავს უკეთესი ცხოვრების ძებნაში ხალხთა დიდ გადასახლებებს.**

თუ სტატისტიკაზე ვისაუბრებთ, დღეს ევროპის მრავალ დიდ სახელმწიფოში ძირითადად სწორედ მიგრაციული მოსახლეობის ინტენსიური ზრდა შეინიშნება. კერძოდ, **იტალიაში იმიგრანტების რაოდენობა 4,6 მილიონ ადამიანს, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 7,5%-ს აღწევს, საფრანგეთში — 3,8 მილიონს (6,1%), გერმანიაში — 7,2 მილიონს (9%).** და ეს მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკაა. დემოგრაფიის საკითხთა ექსპერტები უპირატესობას ანიჭებენ ციფრებს, რომლებიც, სულ მცირე, 300-500 ათასი ადამიანით ზრდის ზემოხსენებულ მაჩვენებლებს ყველა ქვეყნისთვის. გამოდის, რომ გერმანიაში ყოველ მეათე, იტალიაში კი ყოველი მეთორმეტე ადამიანს ძირძველ მოსახლეობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. და არა მხოლოდ არ აქვთ, არც კი აპირებენ, რამენაირად შეერწყან ახალ გარემოს, რომელშიც მოხვდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის იმიგრანტთა საზოგადოებებში შეინიშნება შობადობის ბუმი, შეიძლება იმაზე საუბარიც, რომ აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში 30-35 წელიწადში ევროპის სახელმწიფოებში მიგრანტებისა და ძირძველი მოსახლეობის რაოდენობა ერთმანეთს გაუთანაბრდება. ეს კი უკვე ის პრობლემაა, რომელსაც ცივილიზაციური ქვეტექსტი აქვს.

მაინც კონკრეტულად რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ეს კონტექსტი?

საქმე ისაა, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ევროპული პრინციპების შენარჩუნება — როდესაც საზოგადოებრივი სტატუსები აუცილებლად თანასწორი უნდა იყოს კანის ფერის, აღმსარებლობის, სექსუალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური ორიენტაციების მიუხედავად — გარდაუვალად განაპირობებს კლასიკური ევროპული ერების გადაგვარებას. თუ დღეს იმიგრაციული ზეწოლა ევროკავშირში იმდენად დიდია, რომ თვით არც ისე დიდ ჯგუფს შეუძლია საკუთარი პირობები უკარნახოს მთელ კვარტალს, მუნიციპალიტეტს თუ ცალკეულ რეგიონსაც კი და განსაკუთრებით არ მიაქციოს ყურადღება ადგილობრივ კანონებსა და ტრადიციებს, მაშ, რაღა იქნება ხვალ... სავსებით ნათელი სურათი შეიქმნება, როდესაც მეტროპოლიები შთაინთქმება თავისივე კოლონიალური გარეუბნებით.

ამ მიმართულებით სოციოლოგია ხისტ მეცნიერებად გამოიყურება, რადგან ის არ უტოვებს რაიმე შანსს სუსტ და მუდმივად კომპრომისებზე წამსვლელ საზოგადოებას. **თუ ათ ადამიანს შეუძლია საკუთარი ნება მოახვიოს თავს ათას ადამიანს, მაშინ ამ ათასის წარმომადგენლებს შეუძლიათ მრავალჯერადად დაარწმუნონ საკუთარი თავი ტოლერანტულობაში, მაგრამ ცისქვეშეთში მათ სულ უფრო და უფრო მცირე ადგილი დარჩებათ. ამ შემთხვევაში უკვე მუშაობს არა იმდენად ბუნების კანონები, რამდენადაც ბუნებრივი გადარჩევის კანონები, რომელთა თანახმადაც იმარჯვებს ის, ვინც ნამდვილად ძლიერია.**

ევროპული ცივილიზაცია, რომელსაც ზოგჯერ ძალიან გვსურს საკუთარი თავიც მივაკუთვნოთ, ჯერჯერობით თავდაჯერებულად მიაბიჯებს თვითგანადგურების გზაზე. გაუხსნა რა კარი იმიგრანტებს გასულ საუკუნეში, ევროპულ საზოგადოებრივ მინდორზე ჭიშკარი ამ დრომდეც ღიაა და მის დასახურად უკვე ევროპის არც ერთ მაღალი რანგის პოლიტიკოსს არ ეყოფა ძალა. **ერთის მხრივ,** ამ საქმეს ხელს უშლის ჰუმანიზმის კლასიკური ნორმები, რომლებიც ერთ დროს პროგრესულად და ევროპისათვის განვითარების საწყის წერტილად გამოიყურებოდნენ. **მეორე მხრივ** კი, ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენენ თავად ეს იმიგრანტები, რომლებსაც არაფრის დიდებით არ სურთ ცხოვრების წესის შეცვლა და საკუთარი თანამემამულეებისთვის ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალი გზის გადაკეტვა. და თუ ორიოდე საუკუნის წინ ჰუმანიტარულმა იდეებმა ევროპაში მართლაც მოახდინეს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების მძლავრი იმპულსის პროვოცირება, დღეს იგივე იდეები მთელ ევროულ ცივილიზაციას ჩიხში მიერეკება.

განსაკუთრებული ადგილი მთელ ამ სიტუაციაში ეკუთვნის ეგრეთ წოდებულ მუსლიმანურ საიმიგრაციო პროცესს. ის დაკავშირებულია იმასთან, რომ უკანასკნელ წლებში ევროკავშირში სულ უფრო ხშირად ჩადიან ისლამის მიმდევარი იმიგრანტები. **სტატისტიკის თანახმად, ევროპელი იმიგრანტების საერთო რაოდენობიდან სამ მეოთხედს სწორედ მუსლიმანები შეადგენენ. გასაგები მიზეზების გამო პრობლემა მდგომარეობს არა თავად ისლამში, რადგან ეს რელიგია, ისევე როგორც სხვა არაერთი რელიგია მსოფლიოში, ცალსახად პოზიტიურ მარცვალს ატარებს და პრობლემა კი დაკავშირებულია ცალკეულ ადამიანებს შორის არსებულ პრობლემასთან, რომელსაც გარკვეული ძალები მასობრივი განხეთქილების პროვოცირებისთვის იყენებენ.**

ხშირად ადგილი აქვს ეგრეთ წოდებულ **რევანშ-რასიზმს**, როდესაც შევიწროებულებად და შეურაცხყოფილებად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალონ ნამდვილი ფრანგები პარიზში და ძირძველი ინგლისელები ლონდონში. დღესდღეობით ამ ქვეყნებში პოლიციაც კი ვერ ბედავს, ყოველთვის შევიდეს რაიონებში, სადაც ძირითადად პაკისტანის, ტუნისის, ლიბიის, მაროკოს ან ალჟირის ყოფილი მოქალაქეები ცხოვრობენ. ამ რაიონებში ყვავის ნარკოვაჭრობა, იარაღით ვაჭრობა, პროსტიტუცია და ევროპული მულტიკულტურიზმის სხვა ნაყოფი.

ბრიტანელმა დემოგრაფებმა ჩაატარეს ლონდონის ეგრეთ წოდებული ფერადოვანი დიფერენციაცია. ქალაქის ყველა კვარტალი რუკაზე იმ ფერით შეღებეს, რომელი რასობრივი ჯგუფის მოსახლეობაც ჭარბობს მის ტერიტორიაზე. ამ რუკაზე ბრიტანელმა სპეციალისტებმა იმ დემოგრაფიული კვლევების შედეგები გამოიყენეს, რომელიც ნისლიან ალბიონზე 2010 წელს ჩატარდა. კვლევების მიხედვით, გაირკვა, რომ **ლონდონში ორი წლის წინ ცხოვრობდა 71% თეთრკანიანი მოსახლეობა, 11% — შავკანიანი, 12% — აზიელი, 3% — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიელი და 2% — სხვა რეგიონების წარმომადგენელი. ამასთან, თეთრკანიანი ლონდონელების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება...**

აღსანიშნავია ის, რომ ლონდონში, ისევე, როგორც სხვა ევროპულ დედაქალაქებში, ჩამოყალიბდა მთელი კვარტლები, რომელთა მცხოვრებნიც არ აპირებენ, ოდესმე დიდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაერთონ. მაგალითად, ამგვარი გახმაურებული შემთხვევები უკავშირდება იმავე მუსლიმანურ თემებს, რომელთაც არ სურთ ევროპული სახელმწიფოების კანონების აღიარება და ამავე სახელმწიფოების ტერიტორიაზე ცხოვრობენ საკუთარი მრავალცოლიანობის ტრადიციით, არ იცავენ ევროპული კონსტიტუციების მოთხოვნებს.

მთელი აღშფოთება, რაც კი ამასთან დაკავშირებით ევროპულ საზოგადოებას უჩნდება, კონცენტრირდება უკიდურეს მემარჯვენე ფლანგზე. ფორმირდება მრავალრიცხოვანი ნეონაცისტური გაერთიანება, რომლებიც აცხადებენ, რომ მზად არიან, ევროპაში რკინის ხელით დაამყარონ წესრიგი. ევროპული საზოგადოების დიდი ნაწილი კი ცუდ დღეშია როგორც იმიგრანტების თავაშვებულობის, ასევე ნეონაცისტების გამო, ყველაფერი კი ისევ და ისევ უსასრულო ტოლერანტულობაში მისი ჩაძირვის შედეგია. **დღეს ევროპული კანონები დაიცავენ, ვისაც გნებავთ და ვისგანაც გნებავთ, მაგრამ არა ნამდვილ ევროპელებს, რომლებიც ამ კანონების მორჩილებით ცხოვრობენ.**

**დღეს მულტიკულტურულ და ტოლერანტულობის ჭაობში ჩამხრჩვალი ევროპა მუსლიმანურ მრავალცოლიანობასა და მრავალშვილიანობას ერთსქესიანი ქორწინებებით უპირისპირდება. ვერაფერს იტყვი, ღირსეული პასუხია... იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიღაც მთელი ძალით უბიძგებს ევროპულ ცივილიზაციას გადაშენებისკენ.**



topwar.ru

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნებისმიერ ქვეყანას ერთადერთი საშუალება აქვს იმისათვის, რომ თავი დაიცვას აშშ-ის მხრიდან თავდასხმისაგან (თუ არ ჩავთვლით აბსოლუტურ მორჩილებას) — ეს ბირთვული იარაღის შექმნაა.**

# შიშის ანატომია

**რესპუბლიკელი სენატორის, ლინდსი გრემის, სიტყვები ამერიკელი პოლიტიკოსების უმეტესობის აზრს ეხმაურება: ირანს არ უნდა ჰქონდეს საშუალება, აშშ-ის აგრესია აირეკლოს. Washington Post-ში რიჩარდ კოენმა განცვიფრება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ ახმადინეჯადი „იწყებს გააზრებულ ლაპარაკს“ და „გონიერებას იჩენს“. კოენი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფრაზებს, რომლებიც ირანის პრეზიდენტმა სულ რამდენიმე დღის წინ გამოთქვა: „წარმოვიდგინოთ, რომ გვაქვს ატომური ბომბი, ბირთვული იარაღი. რას ვუზამთ ამ იარაღს? რომელი გონიერი ადამიანი იომებს ამერიკის ხუთი ათასი ბომბის წინააღმდეგ ერთი ბომბით?“**



რაოდენ მოულოდნელიც უნდა იყოს კოენისთვის, სწორედ ამგვარ პოზიციას გამოხატავენ ირანელი ლიდერები უკვე დიდი ხანია და ამ ლიდერებს შორის თავად ახმადინეჯადიც იგულისხმება. ეს პოზიცია აბსოლუტურად ბუნებრივია. **არც ერთი გონებაზე მყოფი ადამიანი არ განიხილავს სერიოზულად მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ირანი, თუნდაც მან მართლაც შექმნას ბირთვული იარაღი, ჩაიდენს დაუყოვნებლივ და გარანტირებულ ნაციონალურ თვითმკვლელობას და ამ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს იმ ქვეყანაზე თავდასხმისათვის, რომელიც მთელ ბირთვულ არსენალს ფლობს.** საუბარია არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, არამედ ისრაელზეც. ირანის რეჟიმის მოქმედებებში არ შეინიშნება არაფერი, რაც თუნდაც მიანიშნებს ამ დონის ირაციონალიზმზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სუიციდისაკენ სწრაფვაზე.

აბსოლუტურად ნათელია, რომ იდეა, თითქოს ირანმა შეიძლება თავისი ბირთვული იარაღი აშშ-ისა და ისრაელის წინააღმდეგ გამოიყენოს, არის ირანის მიმართ დანერგვის შექმნის კამპანიის მთავარი შემადგენელი ელემენტი.ამ კამპანიის მიზანია, რომ საზოგადოება განეწყოს ვითომდა მოსალოდნელი აგრესიის საფრთხისადმი ადეკვატურად და არ დაუშვას ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა. მაგრამრა **არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ აშშ-ისა და ისრაელის ამდენი პოლიტიკოსი აბსოლუტური თავგანწირვით იბრძვის, რომ ირანს ბირთვული სახელმწიფოს შექმნის უფლება არ მისცეს?**

ნამდვილ მიზეზზე ისინი თავადაც ხშირად საუბრობენ: ირანის ბირთვული იარაღი აშშ-ს ხელს შეუშლის, თავს დაესხას ირანს, როდესაც მოეპრიანება, რაც დაუშვებელია. უკანასკნელი, ვინც უნებლიეთდ გაახმოვანა ნამდვილი მიზეზი, რომლის გამოც დაუშვებლად ითვლება ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა, რესპუბლიკელი **სენატორილინდსი გრემი** გახლდათ. ის ერთ-ერთი ყველაზე მონდომებული და სისხლსმოწყურებულია ომების გამჩაღებელ ამერიკელებს შორის.

რამდენიმე დღის წინ გრემი სიტყვით გამოვიდა სამხრეთ კაროლინის ნორტ-ოგასტში, სადაც ჰკითხეს, თუ როგორ უმძიმებს ცხოვრებას რიგით ირანელებს მათი ქვეყნის მიმართ დაწესებული სანქციები.ამ კითხვაზე პასუხისას გრემმა აქო და ადიდა პრეზიდენტი ობამა იმისათვის, რომ ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამისთვის იგი ირანს ომით ემუქრება და გამოაცხადა, რომ „ირანელი ხალხი მზად უნდა იყოს ტანჯვისათვის დღეს, რათა მოიპოვოს უკეთესი მომავალი“. ამის შემდეგ კი, ნეოკონების იმ ცნობილი სცენარით, რომელიც ყოველთვის წინა პლანზეა, როდესაც ახალი ომის გამართლება ხდება საჭირო, ბირთვული ირანი 1930-იანი წლების ჰიტლერს შეადარა. მაგრამ კითხვაზე პასუხისას მან განმარტა ის მიზეზი, რომლის გამოც ამერიკას მართლაც უნდა ეშინოდეს ირანის ბირთვული იარაღის:

„მათ ორი მიზანი აქვთ:**პირველი** რეჟიმის გადარჩენაა. მათი აზრით, ამისათვის საუკეთესო საშუალება ბირთვული იარაღია, რადგან მათ, ვისაც ბირთვული იარაღი აქვს, თავს არავინ ესხმის“.

გრემმა დაამატა, რომ რეჟიმის **მეორე** მიზანი გავლენაა და ამ შემთხვევაშიც ბირთვული იარაღი მნიშვნელოვანია, რადგანმას, ვისაც ამგვარი შეიარაღება აქვს, უჯერებენ.

**ირანის ბირთვული იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ომების თავიდან ასაცილებლად, ამერიკის მიერ წამოწყებული ომების თავიდან ასაცილებლად და თურმე სწორედ ეს უნდა გვაშინებდეს ყველაზე მეტად**

**სხვაგვარად რომ ვთქვათ, გრემმა განმარტა, რომ ამერიკა ირანს ვერ მისცემს ბირთვული იარაღის შექმნის უფლებას, რადგან ამ შემთხვევაში ველარ შეძლებს მასზე თავდასხმას და ველარ შეაშინებს მას საკუთარ რეგიონში.**

გრემის პასუხი იმავე კონტექსტის იყო, რომელშიც ამერიკის პოლიტიკური ელიტის სხვადასხვა წარმომადგენლები, უკვე დიდი ხანია, განიხილავენ ამერიკის მტრებსა და კერძოდ ირანს: **ბირთვული იარაღის გავრცელების მთავარი საფრთხე ისაა, რომ მას შეუძლია ამერიკული აგრესიის შეკავება.** მეწარმეთა ამერიკული ინსტიტუტისა და პროექტ „ახალი ამერიკული საუკუნის“ წარმომადგენელი თომას დონელი, უკვე დიდი ხანია, უკიდურესად გარკვევით საუბრობს იმ ნამდვილ მიზეზზე, რომლის გამოც ამერიკა ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის კატეგორიული წინააღმდეგია:

„როდესაც მათი რაკეტები აღჭურვილი იქნება ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური ჭურვებით, სუსტი რეგიონული სახელმწიფოები კი მიიღებენ შეკავების რეალურ პოტენციალს, მიუხედავად ჩვეულებრივ ძალებში თანასწორობა-უთანასწორობისა... **ცივი ომის დასრულების შემდეგ შეკავების მთავარი ობიექტები აშშ და მისი მოკავშირეები არიან, შეკავების პოტენციალის შექმნისაკენ კი ყველაზე მეტად ისეთი სახელმწიფოები მიისწრაფიან, როგორიცაა ერაყი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა.**



ამერიკის ნებისმიერი აქციის შეკავების ყველაზე საიმედო საშუალება ფუნქციონირებადი ბირთვული არსენალია...

პირდაპირ ვთქვათ: ბირთვული ირანის პერსპექტივა კოშმარია,მაგრამ კოშმარია არა იმის მაღალი ალბათობის გამო, რომ თეირანი გამოიყენებს თავის ბირთვულ იარაღს ან გადასცემს მას თავის ტერორისტულ დაჯგუფებებს (თუმცა არც ეს ყველაფერია შესაძლებლობათა საზღვრებს მიღმა), არამედ იმ შემაკავებელი ეფექტის გამო, რომლებიც ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში აშშ-ის სტრატეგიას ემუქრება.

საფრთხე ისაა, რომ ირანი გააფართოებს თავის შეკავების პოტენციალს ან თავად, ან დეფაქტო. ეს ირონიულად აღადგენს გაფართოებული შეკავების იდეას, რომლის გამოყენებასაც აპირებდნენ ცივი ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთა წინააღმდეგ“.

როგორც დეტალურად ასახავს ჯონათან შვარცი, ამერიკელი პოლიტიკური ელიტები მუდმივად იმეორებენ ამ პოსტულატს. 2001 წელს თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი აცხადებდა:

„ზოგიერთი მცირე მტრულად განწყობილი სახელმწიფოთაგანი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ სულ უფრო მტრულადაა განწყობილი და შეიარაღებას განაგრძობს იმისათვის, რომ არ მოგვცენ საშუალება, საქმეში გავუშვათ ჩვეულებრივი ან ბირთვული ძალები რეგიონული კრიზისების დროს“.

2002 წელს სახლმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკმა ფილიპ ზელიკოვმა განაცხადა, რომ,**თუ ირანს მასობრივი განადგურების იარაღის შენარჩუნების უფლება მიეცემოდა, ის შეძლებდა ამერიკის შეკავებას თავდასხმისაგან, რადგან მას ექნებოდა საპასუხო დარტყმის განხორციელების რეალური შესაძლებლობა.**

2008 წელს დემოკრატმა სენატორმა ჩაკ ბობმა და რესპუბლიკელმა სენატორმა დენ კოუტსმა Washington Post-ში გამოაქვეყნეს წარმოუდგენლად საომარი სტატია ირანზე თავდასხმის მოთხოვნით:

**„ისლამური ირანის ხელში ბირთვული პოტენციალის გაჩენა სტრატეგიულად დაუშვებელია. ეს აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის საშიში იქნება... მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული შეტევა ყველაზე უარესი სცენარია, ირანისთვის აუცილებელი არაა ბირთვული პოტენციალის ამოქმედება, რომ ამერიკის ინტერესებს დაემუქროს. ირანისთვის საკმარისია, მიიღოს საშუალება, სწრაფად ააწყოს ბირთვული ჭურვი, რომ ფაქტობრივად შეიძინოს ბირთვული შეკავების პოტენციალი“.**

როგორც ჩანს, ამერიკელ სტრატეგებს ყველაზე მეტად ის ფაქტი აწუხებთ, რომ სხვა ქვეყნები შეძლებენ თავი დაიცვან ამერიკის თავდასხმისაგან რეჟიმის შეცვლის ან რაიმე სხვა მიზნის მიღწევის გამო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ირანის ბირთვული იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ომების თავიდან ასაცილებლად, ამერიკის მიერ წამოწყებული ომების თავიდან ასაცილებლად და თურმე სწორედ ეს უნდა გვაშინებდეს ყველაზე მეტად.**

რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ ირანზე, აშშ-ის მიერ მსოფლიოსთვის გაგზავნილი სიგნალი ერთმნიშვნელოვანია: ნებისმიერი რაციონალურად მოაზროვნე სახელმწიფო უნდა ისწრაფვოდეს ბირთვული იარაღის შექმნისაკენ. ცხადია, ირანელები ხედავდნენ, თუ როგორ მოექცა აშშ ორ დიქტატორს— სადამ ჰუსეინსა და მუამარ კადაფის — რომლებმაც უარი თქვეს ბირთვული იარაღის შექმნაზე, და ერთადერთი გონივრული დასკვნა გააკეთეს:**ნებისმიერ ქვეყანას ერთადერთი საშუალება აქვს იმისათვის, რომ თავი დაიცვას აშშ-ის მხრიდან თავდასხმისაგან (თუ არ ჩავთვლით აბსოლუტურ მორჩილებას) — ეს ბირთვული იარაღის შექმნაა.**

**The Guardian**

მოკლედ

## გერმანიაში წინდაცვეთა დააკანონეს

**გერმანიის ხელისუფლება, ქვეყნის ებრაული და მუსლიმანური საზოგადოების მოთხოვნით, წინდაცვეთას კანონიერად გამოაცხადებს.** პროცედურის ჩასატარებლად მხოლოდ მშობლების თანხმობა და სამედიცინო ნორმების დაცვა იქნება საჭირო. წინდაცვეთა არ ჩატარდება, სანამ ექიმები არ დარწმუნდებიან, რომ პაციენტის ჯანმრთელობას პროცედურა საფრთხეს არ შეუქმნის. კანონპროექტს მინისტრთა კაბინეტი უახლოეს მომავალში განიხილავს. დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ წინდაცვეთის ოპერაცია 6 თვემდე ასაკის ბავშვებში რელიგიური დაჯგუფების „განსაკუთრებით პროფესიონალმა“ წარმომადგენლებმა უნდა ჩაატარონ.

## თეთრი სახლი ირანთან მოლაპარაკებებს არ აპირებს

**თეთრი სახლი უარყოფს გაზეთ New York Times-ის ინფორმაციას, თითქოს თეირანი დათანხმდა თავისი ბირთვული პროგრამის შესახებ აშშ-თან ერთი-ერთზე მოლაპარაკებების გამართვას.** საკუთარ წყაროზე დაყრდნობით, გაზეთმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ირანმა პირველად გამოხატა მზადყოფნა, დაიწყოს მოლაპარაკებები აშშ-თან ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების გამართვის შემდეგ. თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებებისთვის მზადაა, თუმცა საუბარი იმის შესახებ, რომ ის შეიძლება გაიმართოს, არ მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, დასავლეთის ქვეყნები მიიჩნევენ, რომ ირანის ბირთვული პროგრამის საბოლოო მიზანი ბირთვული იარაღის შექმნაა. თეირანი კი აცხადებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მშვიდობიან ხასიათს ატარებს.

**სავალუტო სტიმულირების ახალი, მესამე რაუნდის პირობებში ადვილად შესაძლებელია, რომ სულ მალე ახალი ფულის წარმოუდგენელი რაოდენობით ბეჭდვის მანიამ დაამხოს ყველაფერი. და თუ ეს მოხდა, უბედურებას ისიც გაამწვავებს, რომ ამერიკელები თავიანთი ოქროს რეზერვებისკენ გაეშურებიან და აღმოაჩენენ — საცავებიდან, რომლებიც გამოტენილი უნდა იყოს ოქროთი, უკვე დიდი ხანია, უკანასკნელი ზოდიც გაიტანეს.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნობელის შეშლილთა სახლი

**ნობელის კომიტეტისგან იშვიათი ექსტრავაგანტული სიახლე გაისმა: მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭა ევროკავშირს — ორგანიზაციას, რომელშიც 27 ევროპული ქვეყანაა გაერთიანებული და რომელსაც, წესდების თანახმად, საერთოდ არ ევალება სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება. ევროკავშირს „მშვიდობის იძულებისათვის“ შესაბამისი ინსტრუმენტებიც კი არ გააჩნია. სამაგიეროდ, ეს ინსტრუმენტები, რომლებიც, როგორც წესი, სამხედრო ორგანიზაციისათვისაა დამახასიათებელი, აქვს ევროკავშირის მონათესავე და სწორედ ამგვარი შემთხვევებისთვის არსებულ ნატოს.**



მიუხედავად ყველა შეუსაბამობისა, როგორც ნორვეგიული ნობელის კომიტეტის თავმჯდომარემ ტურბიერნ იაგლანდმა განაცხადა, ევროკავშირის მთავარი მიღწევები იყო მშვიდობისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისათვის, დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებებისათვის წარმატებული ბრძოლა. პრემიის ფორმულირების თანახმად, „2012 წლის მშვიდობის ნობელის პრემიით ჯილდოვდება ევროპული კავშირი ევროპის გაერთიანებისთვის და ომის კონტინენტიდან მშვიდობის კონტინენტად მისი ქცევისთვის გაწეული სამუშაოს გამო“.

მშვენიერია!

ევროპა ომის კონტინენტიდან მშვიდობის კონტინენტად იქცა 1945 წელს, როდესაც მიწასთან გასწორდა გერმანული ფაშიზმი. მაშინ ევროკავშირის ხსენებაც კი არ იყო. შემდგომ პერიოდში ევროპული მშვიდობა საზრდოობდა ორი ბლოკის დაპირისპირების წყალობით და განმტკიცდა 1975 წლის ჰელსინკის აქტით, რომელიც, მართალია, დასავლეთმა დიდი ხანია ფეხქვეშ გათელა, მაგრამ ამ დრომდეც არავის გაუუქმებია.

ევროპული საერთაშორისო წესრიგის რყევა მაშინ დაიწყო, როდესაც მშვიდობის ნობელის პრემიის მომავალმა ლაურეატმა, მიხეილ გორბაჩოვმა, და მისმა გუნდმა დაამხეს ჯერ ვარშავის ხელშეკრულება, შემდეგ კი საბჭოთა კავშირიც. და რყევები დაიწყო უმალვე, როგორც კი მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან საბჭოთა ზესახელმწიფო გაქრა. ყველას მშვენივრად ახსოვს იუგოსლავიის დანაწევრება, რაც გერმანიისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნების დაუხმარებლად არ მომხდარა, და მის ყოფილ რესპუბლიკებს შორის გაჩაღებული ომები. „მშვიდობის კონტინენტზე“ ამის შემდეგ „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლაში“ განხორციელდა იუგოსლავიის 79-დღიანი დაბომბვა. დიდი სამამულო ომის შემდეგ ეს ევროპაში იყო პირველი საომარი კონფლიქტი, რომელიც აშშ-მა და ამჟამინდელი ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გააჩაღეს, რათა გადაევლოთ და გაესრისათ სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ბალკანეთის ახალი რუკის შემდგომ გადახაზვას.

**ახლა ნობელის კომიტეტი გვთავაზობს, დავივიწყოთ, რომ ნატო-ევროკავშირის ავანტიურული ისტორია იუგოსლავიაში არის ახალი ევრო-ატლანტიკური მილიტარიზმის ისტორია, რომელიც მშვიდობისმყოფელთა ჩაფხუტით ცდილობს ნამდვილი სახის დამალვას.**

ევროკავშირისთვის ნობელის პრემიის მინიჭებით განსაკუთრებულად ბერლინში გაიხარეს. არადა, სწორედ გერმანელთა ხელდასმით მოღვაწეობდნენ კოსოვოელი კაციჭამიების ორგანიზაციები, რომლებმაც უძველესი სერბული მხარე სისხლით მორწყეს, სწორედ გერმანიის ტერიტორიაზე იყო განლაგებული „ალბანელი დევნილების“ ბანაკები, რომელთაც გერმანული ფულით ნაყიდ იარაღს ურიგებდნენ, რათა იტალიისა და ალბანეთის გავლით კოსოვოში გადაეგზავნათ.

შემდეგ დაიწყო ომი, რომელმაც ათასობით სერბის სიცოცხლე შეიწირა და ამ ომის ყველაზე აქტიური მონაწილენი სწორედ ევროკავშირის წევრი ქვეყნები იყვნენ. ახლა ისინი თავინთ წარგზავნილ ხაშიმ ტაჩის უდგანან გვერდში. Aრადა, ეს „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ ყოფილი ბოევიკი არა მხოლოდ ზის პრიშტინაში, არამედ დიდ გზაზეც გადის და ისევ ყაჩაღობს,ამასთან, არა ამერიკაში, არამედ ევროპაში. **ევროპული სპეცსამსახურები უკვე გმინავენ კოსოვოს ნარკომაფიის წნეხქვეშ და ეს მხოლოდ დასაწყისია. მთავარ სიურპრიზებს ხაშიმ ტაჩი „მშვიდობის კონტინენტს“ სამხრეთ სერბეთსა და მაკედონიაში, შემდეგ კი საბერძნეთსა და იტალიაში უმზადებს.** რატომ? იმიტომ, რომ სხვა არაფერი შეუძლია. ამ რეჟიმის ყველა ხელმძღვანელი მოძალადეებისა და მკვლელების რიგებიდან გამოვიდა და ასეთებად დარჩება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

იქნებ ამ ყველაფერს დღეს ჩვენც „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლას“ ვუწოდებთ?

ამის შემდეგ ევროკავშირის ისეთმა წევრმა სახელმწიფოებმა, როგორებიც არიან საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, მთავარი როლები შეასრულეს ლიბიის კანონიერი ხელისუფლების დამხობაში. თუმცა, ნობელის პრემიის ფორმულირებასთან ამას ფორმალური კავშირი არ აქვს: ლიბია სხვა კონტინენტზე მდებარეობს, მაგრამ, გეოპოლიტიკის კანონების თანახმად, ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე მომხდარი არეულობა აუცილებლად ჩაარტყამს თავში იმავე ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მცხოვრებთ.

მაშ, რა ემართებათ ნობელის კომიტეტში, როდესაც იქ მშვიდობის ნობელის მინიჭების საკითხს წყვეტენ?იქნებ იმას, რაც იქ ხდება, მთელ დასავლურ ცივილიზაციასთან აქვს კავშირი? ამერიკული და ევროპული ნაწილებისგან შემდგარმა ამ ცივილიზაციამ ხომ ბოლო პერიოდში ჰეროინის მორიგი დოზის სურვილით მომაკვდავი ნარკომანის სახე მიიღო. თავიდან მან დოლარების ჭარბი დოზა მიიღო, რამაც დეპრესიაში ჩააგდო.აშშ-ში მფეთქავი ნარკომანის გული გაჩერდა, ევროპაში ჩამოყრილ კიდურებს კი კონვულსიური ფართხალი დაეწყოთ. დასაწყისში ხსენებული შემაძრწუნებელი ამბის გახმაურების შემდეგ ინტერნეტის ერთ-ერთ სოციალურ ქსელში მომხმარებელმა დაწერა: „საბრალო ნობელი, ალბათ, საფლავში ბრუნავს იმის გამო, რომ მისი კომიტეტი საბოლოოდ იქცა შეშლილთა სახლად“.

ცხადია, ცხელ გულზეა ნათქვამი და მწარედ, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ნობელის კომიტეტი, უკვე დიდი ხანია, თვინიერ მარიონეტად იქცა მათი მანიპულაციებისთვის, ვისაც ერთი სული აქვს, მთელი პლანეტაც ერთ დიდ საგიჟედ აქციოს.

fondsk.ru

# რა დევს დასავლეთის ცენტრალური ბანკების საცავებში?



**შესაძლებელია თუ არა, რომ დასავლეთის ცენტრალური ბანკების საცავები, რომლებიც, როგორც ითვლება, ოქროს ზოდებითაა სავსე, სინამდვილეში ცარიელი იყოს?
არის თუ არა იქ ოქრო სინამდვილეში? ამ საკითხის მნიშვნელოვანება იზრდება ფულის ბეჭდვის გლობალური ზრდის პარალელურად. ხუთი წლის წინ ეკონომიკური ნგრევის დაწყების მომენტიდან ამ დრომდე მსოფლიოს ცენტრალური ბანკების ბალანსები წარმოუდგენელი ტემპით იზრდება.**



ამ კამპანიას სათავეში დიდი ბრიტანეთი უდგას ფულის ბეჭდვის თავისი 362-პროცენტიანი ზრდით. მეორე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატები თავისი 223-პროცენტიანი მატებით და ეს მაჩვენებელი უკვე აქტუალური იყო იქ სტიმულირების მესამე რაუნდამდე. ჩინეთიც გამალებით ბეჭდავს ფულს და იმავე პერიოდში 151-პროცენტიანი ზრდა აჩვენა.მას მოსდევს ევროპის ცენტრალური ბანკი 146-პროცენტიანი ზრდით და იაპონია — 83-პროცენტიანი ზრდით.

და მთელი ეს ფული აბსოლუტურად და ასი პროცენტით არაუზრუნველყოფილია. ის იცლება მხოლოდ თავისსავე მსგავს ფარატინა ქაღალდზე. **ცენტრალური ბანკები ირწმუნებიან, რომ ოქროს ზოდების უზარმაზარი მარაგები აქვთ. აშშ, ბრიტანეთი, ევროზონა, შვეიცარია და იაპონია ერთად, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშშია აღნიშნული, 23,349 ტონა ოქროს ფლობენ.**

მაგრამSprott Asset Management-ის წარმომადგენელს, ერიკ სპოტს, უხერხული კითხვა გაუჩნდა, რადგან ოქროსთან დაკავშირებით ძირითადი მაჩვენებლები, შეთავაზებები და მოთხოვნილებები, ერთმანეთს არ ემთხვევა. ამის შესახებ მან დაწერა თავის ანგარიშში „დარჩათ კი დასავლურ ცენტრალურ ბანკებს რაიმე რაოდენობის ოქრო?“

**ბაზარზე შეთავაზებული ოქროს წლევანდელმა მონაპოვარმა 2700 ტონა შეადგინა, მაგრამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ოქროზე მოთხოვნილება მნიშვნელოვნად იზრდება. ამასთან, მიმდინარე მოთხოვნილებას უნდა დაემატოს ყოველწლიური 2268 ტონა, რომელიც 2000 წელს არ არსებობდა.**

ეს ციფრი მიღებულია მხოლოდ ხუთი წყაროს შენაძენების დაჯამებით. ამ წყაროებს შორის არ არის დასავლეთის ცენტრალური ბანკები. ამდენად, ყოველწლიურად მოხმარებად ოქროს თუნდაც ერთი ახალი კლიენტი რომ დაემატოს, ოქროს მოპოვების წლიური რესურსი მოთხოვნილებას ველარ დააკმაყოფილებს.

ასე რომ, შეთავაზებასა და მოთხოვნილებას შორის უკვე დიდი სხვაობაა და **საინტერესოა, საიდან მოდის ოქრო, რომელიც ამ დეფიციტს ავსებს?ვინ უშვებს ბაზარზე ოქროს და თავად ჩრდილში რჩება?**

„არსებობს ერთადერთი შესაძლო კანდიდატი— დასავლეთის ცენტრალური ბანკები. სავსებით შესაძლებელია, რომ ოქრო, რომელსაც ახლა მყიდველებს სთავაზობენ, დასავლეთის ცენტრალური ბანკების მარაგებიდან მოდის. ისინი ფიზიკური ოქროს ერთადერთი მფლობელები არიან, რომელთაც შეუძლიათ ბაზარზე ოქრო იმ რაოდენობითა და მანერით გაიტანონ, რომ კვალის მიგნება იოლი საქმე არ იყოს.

**სავალუტო სტიმულირების ახალი, მესამე რაუნდის პირობებში ადვილად შესაძლებელია, რომ სულ მალე ახალი ფულის წარმოუდგენელი რაოდენობით ბეჭდვის მანიამ დაამხოს ყველაფერი. და თუ ეს მოხდა, უბედურებას ისიც გაამწვავებს, რომ ამერიკელები თავიანთი ოქროს რეზერვებისკენ გაეშურებიან და აღმოაჩენენ — საცავებიდან, რომლებიც გამოტენილი უნდა იყოს ოქროთი, უკვე დიდი ხანია, უკანასკნელი ზოდიც გაიტანეს.**

mixednews

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ფერეროს“, რომელიც ასიათასობით ჰექტარ მიწას ფლობს სამეგრელოში, კომერციულმა დირექტორმა ნიკა დალაქიშვილმა ამ წელიწად-ნახევრის წინ სასამართლო პროცესზე ღიად განაცხადა, თუ როგორ მისცა მან სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს დიდი რაოდენობის თანხა ქრთამის სახით ზაზა გოროზიას მიწის გადაცემის სანაცვლოდ.**
**ამ აღიარებითი ჩვენების გამო ნიკა დალაქიშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, ზაზა გოროზია კი დაკითხვაზეც კი არ დაუბარებიათ.**

# «სამეგრელოს არ ეშვება გოროზია, როგორც რკინას — კოროზია»



**ასეთი ირონიული ფრაზით გამოხატა სამეგრელოს მოსახლეობამ ზაზა გოროზიას ხელახალი გამოჩენა რეგიონში გუბერნატორის რანგში. ის 2005 წლის ივლისში დაინიშნა სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულად, 2011 წლის ოქტომბერში გადაყვანილ იქნა სოფლის მეურნეობის მინისტრად, ხოლო 2012 წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა ისევ მოუვლინა სამეგრელოს. რა დამსახურებისთვის? — ამ კითხვას სამართლიანად სვამს მოსახლეობა, რომელსაც ზაზა გოროზიამ თავი დაამახსოვრა, როგორც გაიძვერა და თაღლითმა ადამიანმა, ამიტომაც მის გამოჩენას ხალხი გულისწყრომითა და აღშფოთებით შეხვდა.**

**„ვაპროტესტებ გოროზიას გუბერნატორად დანიშვნას და არ მინდა იმ ქალაქში ცხოვრება, რომელშიც ის იმუშავებს. ვითხოვ თავშესაფარს თბილისში. გოროზია არის კორუმპირებული ბანდიტი. მე მეშინია მისი. მე ორჯერ დამეჯახა მანქანა. თუ მოვკვდი, ეს არ იქნება უბედური შემთხვევა, ეს იქნება ზაზა გოროზიას მიერ ჩადენილი დანაშაული“,** — აცხადებს 80 წელს გადაცილებული ქალბატონი, მეფრინველეობის ფაბრიკის ყოფილი მფლობელი ეთერ ცხადაია. ის, მეოთხე წელია, ფაბრიკის ჩამორთმევის გამო გამოძიებას ითხოვს. მისი თქმით, ფაბრიკის ჩამორთმევა ზაზა გოროზიას სახელს უკავშირდება და ის ამას არც აქამდე მალავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზაზა გოროზიაზე გადამტერებული იყო ყოფილი საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია, რადგან რეგიონში ერთმანეთს პირველობაში ეცილებოდნენ, ორივენი მრავალი წელი წოვდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთს სისხლს და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნავდნენ. **ახალაიას — პრეზიდენტი, ხოლო გოროზიას ადეიშვილი მფარველობდა. ახალაიებმა შეძლეს და ზაზა გოროზია მოაშორეს სამეგრელოს, რასაც**

## სამეგრელოს მოსახლეობის სურვილია, როლანდ ახალაიაც და ზაზა გოროზიაც მოაცილონ სამეგრელოს

**მოჰყვა მისი სოფლის მეურნეობის მინისტრად გადაყვანა. ახლა, როცა ახალაიების კლანი აღარ არსებობს, პრეზიდენტმა ის ისევ გამოუშვა სამეგრელოში, თუმცა ის ყოველთვის აქ იყო, რადგან გურამ მისაბიშვილი რეგიონის გუბერნატორი მხოლოდ ფორმალურად იყო** და ყველაფერს ისევ მინისტრი ზაზა გოროზია განაგებდა, რაზეც ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ადგილობრივი გამგეობებისა და საკრებულოების წარმომადგენლები, კულუარებში, რა თქმა უნდა. სოფლის მეურნეობის მინისტრობის პერიოდში ის სულ დაჰყვებოდა პრეზიდენტს ზუგდიდში და ყოფილი ყინულის სასახლის ტერიტორიაზე სასტუმროს აშენებით იყო დაინტერესებული.

როგორც ცნობილი გახდა, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ზუგდიდში, თხილის ქარხანა „არგონათსის“ სარდაფში არჩევნების გამყალბებელთა შტაბი ფუნქციონირებდა. „ნაცმოძრაობის“ ამ საიდუმლო შტაბის ერთ-ერთმა წევრმა, პრობაციონერმა ხვიჩა ჟორდანიამ არჩევნების გამყალბებელთა შორის ზაზა გოროზიაც მოიხსენია, უფრო მეტიც, ამ შტაბს თვით ზაზა გოროზია ხელმძღვანელობდაო. აი, ამით იყო დაკავებული სოფლის მეურნეობის მინისტრი და ახლა ისევ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი.

**საჯარო მოხელეებიდან ზაზა გოროზია მაღალი პრემიებითაც გამოირჩეოდა. 2011 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში პრემიის სახით მან აიღო 22125 ლარი, ხოლო 2010 წელს კი ხელფასების, პრემიებისა და მივლინების სახით ბიუჯეტიდან 120 ათასამდე ლარი მიითვისა.**

მან ასევე დიდი მოგება ნახა სამეგრელო-ზემო სვანეთის მიწების მისაკუთრებითა და მერე ასმაგად ამ მიწების ინვესტორებისთვის მიყიდვით. ამის ნათელი დადასტურებაა იტალიურ ფირმა „ფერეროსთან“ დაკავშირებული გახმაურებული ამბავი. **„ფერეროს“, რომელიც ასიათასობით ჰექტარ მიწას ფლობს სამეგრელოში, კომერციულმა დირექტორმა ნიკა დალაქიშვილმა ამ წელიწად-ნახევრის წინ სასამართლო პროცესზე ღიად განაცხადა, თუ როგორ მისცა მან სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს დიდი რაოდენობის თანხა ქრთამის სახით ზაზა გოროზიას მიწის გადაცემის სანაცვლოდ. ამ აღიარებითი ჩვენების გამო ნიკა დალაქიშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, ზაზა გოროზია კი დაკითხვაზეც კი არ დაუბარებიათ.**

ეს მცირე ჩამონათვალია ზაზა გოროზიას „საქმენი საგმირონიადან“, რომელიც მას თავისი 7-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე გაუკეთებია, ამიტომაც სამეგრელოს მოსახლეობის სურვილია, როლანდ ახალაიაც და ზაზა გოროზიაც მოაცილონ სამეგრელოს.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

# საქართველოს მოსახლეობაზე «ციმბირის წყლულის» ვაქცინას გამოცდიან!



**„საქართველო და მსოფლიო“ ჯერ კიდევ სამი წლის წინ წერდა „ღორისა“ და „ქათმის გრიპის“ ხელოვნურად გავრცელების თაობაზე, რომელთანაც საქართველოში, ალექსეევკის ლაბორატორიის — „სენატორ ლუგარის სახელობის სიკვდილის ფაბრიკის“ კავშირი თვალნათლივ იკვეთებოდა. ახლა კი ცნობილი ხდება, რომ საქართველოს მოსახლეობაზე „ციმბირის წყლულის“ ვაქცინების გამოცდას აპირებენ!**

2009 წელს ვწერდით, რომ მკვლელი ვირუსების ხელოვნურად გავრცელებამ, შესაძლოა, ახლო მომავალში ბირთვული იარაღიც კი დაჩრდილოს, რადგანაც ღორის გრიპი გაცილებით ეფექტური საშუალება აღმოჩნდა გლობალური მიზნების მისაღწევად, ვიდრე რეგულარული არმიის გამოყენებით ჩატარებული ოპერაციები. მსოფლიო მასშტაბით ინფექციის ხელოვნურად გავრცელებას შეთქმულების თეორიასთან მივყავართ. ამ თემაზე და ქართული ლაბორატორიის „წვლილზე“ უცხოურ მედიაში არაერთხელ მიანიშნეს. ვწერდით იმის შესახებაც, თუ რა იბეჭდებოდა ამ საკითხის თაობაზე უცხოურ პრესაში. ისიც კარგად გვახსოვს, „ქათმის გრიპით“ სასიკვდილო განაჩენი როგორ გამოგვიტანა შემდგომში კორუფციაში მხილებულმა ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა. დაგვპირდა, რომ მსხვერპლი 70 პროცენტს მიაღწევდა.

**2002 წელს აშშ-ისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას „ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და პათოგენების სფეროში თანამშრომლობისა და ამ სფეროს ინფორმაციების გაუვრცელებლობის შესახებ“.**

2004 წლის სექტემბერში, სენატორ რიჩარდ ლუგარის ვიზიტის დროს, მოილაპარაკეს თბილისის ახლოს, ალექსეევკის დასახლებაში „ცენტრალური რეფერენტ-ლაბორატორიის“ შექმნის თაობაზე, რაც განხორციელდა კიდეც. **2008 წელს კი საქართველოს ტერიტორიაზე და რუსეთის სამხრეთ ნაწილში აფრიკული ჭირის ეპიდემიამ იფეთქა.**

„ქათმის გრიპის“ ვირუსი ადრე ცნობილი იყო „ისპანკას“ სახელწოდებით. როგორც აღმოჩნდა, ამერიკელმა მეცნიერებმა გაურკვეველი მიზნებისთვის ჯერ კიდევ 1997 წელს ალიასკაზე გასული საუკუნის 20-იან წლებში „ისპანკით“ გარდაცვლილი ადამიანის ცხედარი ამოთხარეს და ვირუსის კოდი აღადგინეს.

2009 წლის დასაწყისში იფეთქა სკანდალმა, როცა ჩეხური ფარმაცევტული კომპანიის „ბიოტესტის“ თანამშრომელმა ამერიკული კომპანია „ბაქსტერის“ მიერ გადმოცემულ ვაქცინაზე ცდების ჩატარებისას აღმოაჩინა, რომ ის შეიცავდა ცოცხალ, აქტიურ „ქათმის გრიპის“ ვირუსს — H5N1-ს და ადამიანის გრიპის ვირუსს — H3N2-ს. მაშინ სკანდალის მიჩუმათება მოხერხდა, მაგრამ სულ რამდენიმე დღეში, უფრო ზუსტად 28 აპრილს, შვეიცარიაში „ღორის გრიპის“ ვირუსის ნიმუშებიანი კონტეინერი აფეთქდა.

**2009 წლის მარტსა და აპრილში მსოფლიოს ახალი საშიშროება დაემუქრა ახალი გრიპის ვირუსის სახით, რომელსაც „მექსიკური ღორის გრიპი“ A/HINI უწოდეს. ეპიდემიამ მექსიკაში იფეთქა და სწრაფად გავრცელდა ამერიკის სამხრეთ-დასავლეთ შტატებში. დაავადება სწრაფად გადამდები აღმოჩნდა. მან იმთავითვე მარტო მექსიკაში (ძირითადად კი მეხიკოში) 81 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ასევე დაფიქსირდა სიკვდილიანობის ფაქტები აშშ-ის ათ შტატში.** დაავადების მსხვერპლნი ძირითადად იყვნენ 25-დან 45 წლამდე ადამიანები. მექსიკის ჯანმრთელობის მინისტრმა ხოსე ანხელ კორდოვამ 24 აპრილს განაცხადა: **„ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ გრიპის ახალ ვირუსთან დაკავშირებით და იგი უკვე კონტროლირებადია“.** 3 მაისს მანვე უფრო დამაიმედებელი განცხადებები გააკეთა, თუმცა „ღორის გრიპის“ გავრცელება მთელ პლანეტაზე კვლავაც გაგრძელდა. ეპიდემიამ იაპონიასა და ავსტრალიამდე ჩააღწია. უკვე 9 მაისისთვის გლობალური გავრცელების საშიშროება შეიქმნა, რადგან მოცემული **ვირუსი წარმოადგენს ვირუსის ახალ მოდიფიკაციას, რომელზეც ადამიანის ორგანიზმს იმუნიტეტი არ აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ვაქცინაციის საშუალებით შეძენილი.**

ცხოველებში საქმე სხვაგვარადაა. მათ დიდი ხანია, გამომუშავებული აქვთ იმუნიტეტი და ამ ტიპის ვირუსისგან სიკვდილიანობის პროცენტიც მათში ძალიან დაბალია (არ აღემატება 4 პროცენტს).

**2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ შეერთებულ შტატებში გახშირდა უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებში ისეთი კონვერტების მიღება, რომლებშიც „ციმბირის წყლულის“ ბაქტერიების შემცველი ფხვნილი იყო მოთავსებული. ჩვენი პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან გავიდა სულ რაღაც სამი წელი, „ციმბირის წყლულიანი“ კონვერტების მიღებიდან – 11 წელი და ჩვენმა „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ „ცხოველებისა და ფრინველების გრიპიდან“ „ციმბირის წყლულამდე“ დაგვაწინაურა. როგორც ირკვევა, დიდი ბრიტანეთის კარდიფის უნივერსიტეტში ნატოს ეგიდით ამერიკელი, ქართველი და თურქი მეცნიერები „ციმბირის წყლულის“ უნივერსალური ვაქცინის შექმნაზე მუშაობენ.**

ცხადდება, რომ დღემდე არსებული ვაქცინები არასრულყოფილია, თუმცა მთავარი პრობლემა ის უნდა იყოს, რომ **ახალი ვაქცინის დანერგვა ათასობით ადამიანზე ექსპერიმენტების ჩატარებას საჭიროებს; ცნობილია, რომ ცხოველები და ადამიანები ვირუსზე განსხვავებულად რეაგირებენ. ამიტომ კლინიკური გამოცდა ადამიანებზე ძალიან მნიშვნელოვანია ახალი ვაქცინის ეფექტურობის დასამტკიცებლად. ადამიანები ვირუსით უნდა დაასნებოვნონ, რათა შემდეგ ვაქცინის ეფექტურობის შედეგი გამოიკვლიონ. ცხადია, ასეთი ექსპერიმენტების ჩატარება ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში გამორიცხულია. როგორც ჩანს, „საცდელი ვირთხების“ როლისთვის სწორედ საქართველოს მოსახლეობაა შერჩეული.**

„კითხვა მაქვს, „ქართულ საზოგადოების გამორჩენილ ელიტასთან“, ასეთი მიმართვა ამდენი ან ნაკლები ხელმოწერებით, ხომ არ გამომრჩა და არ გაუგზავნია მაშინდელ მინისტრთან რურუასთან ქართულ კულტურის ძეგლების გადარჩენის საკითხი მწვავედ რომ დადგა (და დგას): ბაგრატზე, მცხეთაზე, ერეკლეს სასახლეზე, მესტიიის ხელნაწერების მდგომარეობაზე, ბუტაფორია რაბათზე, ქუთაისის და ალმაშენებელის ან ძველ თბილისის გადაგვარებაზე, ბათუმზე რომ აღარაფერი ითქვას ან კიდევ რობერტ სტურუას გაგდებაზე... და ნუთუ ერთი ადამიანის დანიშვნა ბევრად მნიშვნელოვანი გახდა?”

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთი თუთიყუშის შოუ

**პათოლოგიური სიცრუით განთქმულმა მიხეილ სააკაშვილმა არჩევნებამდე 7 თვით ადრე, როგორც სჩვევია, „ისტორიული“ ტყუილით გამოიჩინა. თუმცა ეს ტყუილი არა მარტო გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც ისტორიული იყო: სააკაშვილმა საზოგადოება მოატყუა, როცა თქვა, რომ სულ მალე იერუსალიმის ჯვრის მონასტერი საქართველოს დაუბრუნდება. სულ მალე მის ამ სიცრუეს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც და იერუსალიმის პატრიარქმაც ფარდა ახადეს, მაგრამ რად გინდა? სააკაშვილს ტყუილზე გამოჭერის არასოდეს რცხვენოდა და არც ამჯერად წაუყრია თავზე ნაცარი. პირიქით, კარგა ხანს თუთიყუშივით იმეორებდა დაზეპირებულ ტყუილს.**



ისტორიული ძნელბედობის გამო მეჩვიდმეტე საუკუნეში დაკარგულ ჯვრის მონასტერს ბერძნები დაეპატრონენ. მისი სავალალო მდგომარეობა რუსთაველის ფრესკის წაბილწვამაც დაგვიდასტურა. ახლა კი ცნობილი რუსი ბლოგერი მარინა იუდენიჩი ასე აღწერს იქ არსებულ ვითარებას: **„დღეს ბერძნები პრაქტიკულად აღარ უვლიან ჯვრის მონასტერს — ორი ქრისტიანი არაბის ამარა აქვთ მიტოვებული. მათ კი იქ ჩაიხანა და საწვრილმანო გახსნეს, თანაც თუთიყუშები მოაშენეს. სხვა ყველაფერი ვერანდება. იმის შესახებ, რომ საქართველოში ჯვრის მონასტერი ჯერ კიდევ ახსოვთ, ქმინდა გიორგის ხატია, რომელიც წარწერის თანახმად, მონასტრისთვის სააკაშვილს გადაუცია“.**

მარინა იუდენიჩი მონასტრის ფოტოების გარდა ვიდეოსაც აქვეყნებს, რომელზეც თეთრი თუთიყუშია აღბეჭდილი. არც არაბულ, არც ივრითზე ნათქვამ ფრაზებზე მას რეაქცია არა აქვს, მაგრამ როგორც კი ქართული „გამარჯობა“ ესმის, თეთრი თუთიყუში მთელ წარმოდგენას მართავს: ბუმბულს აიშლის, ლამბაქს აყირავებს, სკამზე ცოცავს, დახტის, ერთი სიტყვით, „ერთი თუთიყუშის შოუს“ მართავს. კარგად დააკვირდით ამ თუთიყუშს ვიდეოჩანაწერზე და მიხვდებით, რომ იგი ძალიან ჰგავს სააკაშვილს; მსასავით ეგზალტირებულია, ცდილობს თავი გამოიჩინოს, უაზრო ქცევას მიმართავს და მიშასავით კმაყოფილია საკუთარი თავით!

საქართველოც, სააკაშვილის მმართველობის 9 წლის განმავლობაში „ერთი თუთიყუშის შოუს“ დაემსგავსა, რომლის გაგრძელება 21 ოქტომბერს, ქუთაისის დაუმთავრებელი პარლამენტში ვიხილეთ. თუმცა თუთიყუშიც არის და თუთიყუშიც! მეტეხის ტაძრის წინამძღვრის, მამა აკაკის თუთიყუში „მამაო ჩვენოს“ და „შვიდგზის“ ლოცვებს წარმოთქვამს, ეს ჩვენი მაღალი თუთიყუში კი ცრუობს და ცრუობს!

# სალომე ზურაბიშვილი თაკო ჩარკვიანთან დაკავშირებით «კულტურის ელიტას» კითხვით მიმართავს

**საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი კითხვით მიმართავს კულტურის მოღვაწეების იმ ნაწილს, რომლებმაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრობის კანდიდატ, გურამ ოდიშარიას მოადგილეების დანიშვნასთან დაკავშირებით წერილი გაუგზავნა.**



სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებულ წერილში ინტერესდება თუ რატომ არ გააკეთეს მსგავსი მიმართვა კულტურის მოღვაწეებმა ნიკა რურუასადმი მაშინ, როდესაც მწვავედ დადგა საკითხი ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენის თაობაზე.

**„კითხვა მაქვს, „ქართულ საზოგადოების გამორჩენილ ელიტასთან“, ასეთი მიმართვა ამდენი ან ნაკლები ხელმოწერებით, ხომ არ გამომრჩა და არ გაუგზავნია მაშინდელ მინისტრთან რურუასთან ქართულ კულტურის ძეგლების გადარჩენის საკითხი მწვავედ რომ დადგა (და დგას): ბაგრატზე, მცხეთაზე, ერეკლეს სასახლეზე, მესტიიის ხელნაწერების მდგომარეობაზე, ბუტაფორია რაბათზე, ქუთაისის და ალმაშენებელის ან ძველ თბილისის გადაგვარებაზე, ბათუმზე რომ აღარაფერი ითქვას ან კიდევ რობერტ სტურუას გაგდებაზე... და ნუთუ ერთი ადამიანის დანიშვნა ბევრად მნიშვნელოვანი გახდა?”,** — აღნიშნულია სალომე ზურაბიშვილის განცხადებაში.

ამასთან, სალომე ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ მოადგილეების დანიშვნა საზოგადოებამ მინისტრებს უნდა ანდონ.

**„უნდა გავიგოთ ჯერ თვით მინისტრი ან საზოგადეობისგან მოწონებული ადამიანები ამ საჭირბოროტო საკითხეზე რას აპირებენ, რა პრიორიტეტებს ისახავენ მიზნად!“**, — აღნიშნავს ზურაბიშვილი.

გუშინ, კულტურის მოღვაწეების ნაწილმა კულტურის მინისტრობის კანდიდატ გურამ ოდიშარიას წერილით მიმართა მოადგილედ ვალერიან შიუკაშვილის დანიშვნის რეკომენდაციით, ხოლო ნაწილმა — თაკო ჩარკვიანის დანიშვნის რეკომენდაციით.

# «სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა»

**რამდენიმე ათეული წელია, მავნე ტრადიციად დამკვიდრდა ცილისმწამებლური განცხადებების გაკეთება საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, მიმართ, რამაც, სამწუხაროდ, მასშტაბური ხასიათი მიიღო. ამის ერთ-ერთი დასტურია ამ დღეებში სომეხი მაღალჩინოსნის მიერ საჯაროდ გაკეთებული უპასუხისმგებლო განცხადება, რომელშიც მან ზვიად გამსახურდია ანტისომხურ ტენდენციაში დაადანაშაულა.**

**«ზვიად გამსახურდიასა და მის მთავრობას არსად, არასდროს, არც ზეპირ გამოსვლებში, არც წერილობით არაქართველი მოსახლეობის მიმართ რაიმე შეურაცხმყოფელი განცხადებები არ გაუკეთებია»**



ასეთ უსაფუძვლო ბრალდებებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, განაპირობებს სპეცსამსახურების მიერ დიდი ხნის წინათ შემუშავებული სქემა, რომელიც მიზნად ისახავდა და ისახავს ზვიად გამსახურდიას დიქტატორად, შოვინისტად, ანტიდემოკრატად წარმოჩენას, რათა დისკრედიტაცია მოხდეს არა მარტო ბატონ ზვიად გამსახურდიასი, არამედ მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი მონაპოვრებისა.

**სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ბატონ ზვიად გამსახურდიასა და მის მთავრობას არსად, არასდროს, არც ზეპირ გამოსვლებში, არც წერილობით არაქართველი მოსახლეობის მიმართ რაიმე შეურაცხმყოფელი განცხადებები არ გაუკეთებია. ასევე, ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ეთნიკური უმცირესობების მიმართ არანაირი დისკრიმინაციული, უკანონო ქმედებები არ განხორციელებულა.**

ბატონ ზვიად გამსახურდიას, სამწუხაროდ, მსგავს ცილისწამებებსა და დაუსაბუთებელ განცხადებებზე ხშირად უხდებოდა პასუხის გაცემა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბატონ ზვიად გამსახურდიას პოზიციის ნათელსაყოფად მოგვაქვს 1990 წლის ოქტომბერში, არჩევნებამდე, საქართველოს ტელევიზიით მისი გამოსვლის ჩანაწერიდან ციტატა: **„...შემდეგი საკითხი, რომელზედაც მრავალ შეკითხვას გვისვამენ ეს არის ჩვენი დამოკიდებულება არაქართველ მოსახლეობასთან. ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ ჩვენ არ მოვითხოვთ არაქართველთა გასახლებას საქართველოდან, როგორც ამას ზოგიერთი მოგვაწერს. არ მოვითხოვთ მათ დისკრიმინაციას, დევნას. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ უფლებათა გათანაბრებას. ამჟამად არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ქართველი მოსახლეობა ბევრ რაიონში დისკრიმინირებულია, იჩაგრება. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ უფლებათა გათანაბრებას, ქართველთა დისკრიმინაციის შეწყვეტას და ამავე დროს, რასაკვირველია, არაქართველი ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაკანონებას. ასეთია ჩვენი პოზიცია არაქართველი მოსახლეობის საკითხში“** (იხ. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, ცნობარი, თბილისი, 2009, გვ. 69).

არაქართველი ეროვნული უმცირესობებისადმი არათუ დისკრიმინაციული, არამედ შემწყნარებლური, სამართლიანი დამოკიდებულების ფაქტობრივი დასტურია საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ პოლიტიკური პროგრამა, რომლის თანახმადაც საკანონმდებლო აქტით უზრუნველყოფილია საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა, ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ-სამართლებრივი გარანტიები (იხ. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, ცნობარი, თბილისი, გვ. 29-30).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონკრეტული ფაქტებით გაუმყარებელი განცხადებები უნდა ჩაითვალოს ცილისწამებად, საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციის მცდელობად და უნდა მიეცეს არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი შეფასებაც.

**აქვე გვინდა შევეხოთ უახლესი ისტორიის გაყალბების კიდევ ერთ ყურადსაღებ მცდელობას. 1 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ პერიოდში „ქართული ოცნების“ ლიდერისგან, ასევე კოალიციის ყველა წევრისგან გამუდმებით კეთდება განცხადებები, რომ თითქოს 1 ოქტომბრის არჩევნები იყო პირველი დემოკრატიული არჩევნები საქართველოს ისტორიაში. საქართველოს ისტორია დღემდე, „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის ახირების გამო, იწყებოდა 2003 წლიდან. დღეიდან კი, როგორც ჩანს, საქართველოს ისტორია დაიწყება 2012 წლის 1 ოქტომბრიდან. მსგავსი უპასუხისმგებლო განცხადებები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა.** 1990 წლის 28 ოქტომბრის მართლაც პირველი, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების მიზანმიმართული იგნორირება, საქართველოს უახლესი ისტორიიდან მისი უმნიშვნელოვანესი მონაპოვრების (საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის, დამოუკიდებულების აღდგენის) საბოლოოდ ამოღების მცდელობა. **დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ 20 წლის მანძილზე პერმანენტული უსამართლობითა და განუკითხაობით დათრგუნული მოსახლეობისგან მხარდაჭერილი და გამარჯვებული „ქართული ოცნება“ ცდილობს თავისი მოღვაწეობა საქართველოს ისტორიის გაყალბების მცდელობით დაიწყოს.** რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რამდენად კანონიერი, დემოკრატიული და თავისუფალი იყო უმანკო ჩვილის მოშთობის, სპეცდანიშნულების რაზმისა და ნიღბიანი პირების მიერ იარაღის ჟღარუნისა და არჩევნების შედეგების სხვაობის მინიმუმამდე ხელოვნურად დაყვანის ფონზე ჩატარებული არჩევნები, ამას უახლესი ისტორია და მისი უდიდებულესობა ხალხი განსჯის.

**ეთერ მგალობლიშვილი**
**13 ოქტომბერი, 2012 წელი**

კომენტარით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინის პირად სტრატეგიულ დაცვასაც ეჭვი ეპარებოდა, რომ ტიტო ნამდვილი კომუნისტი იყო და ამის თაობაზე სტალინს მოახსენებდა ხოლმე დადასტურებულ ფაქტებზე დაყრდნობით.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-39 (139-177)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

**1948 წლის 21 იანვარს სტალინს მოახსენეს, რომ ტიტომ იუგოსლავიის არმიის ერთი დივიზია ალბანეთში გადაისროლა ისე, რომ ამის შესახებ სტალინისთვის არ მოუხსენებია.**

ენვერ ხოჯასთვის გაგზავნილ წერილში ეს ნაბიჯი ტიტომ ახსნა იმით, რომ ამ შემთხვევაში უკეთ დაიცავდნენ ზღვისპირა საზღვრის მონაკვეთს და ნებისმიერ პროვოკაციას გაერთიანებული ძალები ოპერატიულად აღკვეთდნენ.

ეს მონაკვეთი ალბანეთ-საბერძნეთის საზღვარი იყო. საბერძნეთში სამოქალაქო ომის ხანძარი ენთო. მთავარი ძალა, რომელიც კომუნისტებს წინ აღუდგა, იმდენად საბერძნეთის რეაქციის ჯარები კი არ იყო, რამდენადაც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის. საბერძნეთის დემოკრატიული არმია ინტენსიურ მომარაგებას ალბანეთიდან და იუგოსლავიიდან იღებდა და შესაძლებლობა ჰქონდა აუცილებლობის შემთხვევაში გადასულიყო ალბანეთის ტერიტორიაზე, რაც 1949 წელს მოხდა კიდეც.

ამ ცხელ წერტილში იუგოსლავიის ჯარების გამოჩენას შეეძლო გაერთულებინა ისედაც გამწვავებული სიტუაცია, გამოეწვია დასავლეთის ჯარების შეტაკება იუგოსლავებთან, რომლებსაც ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული სსრ კავშირთან. საბჭოთა ქვეყანა ინგლისელებთან და ამერიკელებთან ომში ჩათრეული აღმოჩნდებოდა. სტალინს ეს კარგად ესმოდა. ხოჯა მემუარებში წერდა: „სტალინმა გვაცნობა, რომ ვერ ხედავს რაიმე საშიშროებას ბერძნების არმიის ჩვენზე თავდასხმის“.

**სტალინის დავალებით საბჭოთა კავშირის ელჩმა იუგოსლავიაში ლავრენტიევმა ტიტოს განუცხადა: მოსკოვს ეშინია, რომ იუგოსლავიის ჯარების საბერძნეთში შესვლას, ანგლოსაქსები მიიჩნევენ იუგოსლავიის ჯარების მიერ ალბანეთის ოკუპაციად და მისი სუვერენიტეტის ხელყოფად; ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ ანგლოსაქსები ამ ფაქტს გამოიყენებენ სამხედრო ჩარევის საბაბად...**

**ტიტომ ლავრენტიევს უპასუხა, რომ არ იზიარებს მოსკოვის მიერ გამოთქმულ ვარაუდს ანგლოსაქსების შესაძლო ჩარევის თაობაზე: „გამორიცხული არ არის, რომ გაზეთები ერთგვარ ხმაურს ატეხენ, მაგრამ ამ საგაზეთო ცილისწამებას მიჩვეულები ვართ“, და დაამატა: „თუ საბჭოთა კავშირი მიზანშეწონილად ჩათვლის ასე არ მოვიქცეთ, იუგოსლავია შეასრულებს ამ რეკომენდაციას.** მაგრამ თუ საბერძნეთი ხელთ იგდებს სამხრეთ ალბანეთს, მაშინ იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს მოუწევს ამ პრობლემის ერთობლივად მოგვარება“.

1948 წლის 1 თებერვალს მოსკოვიდან გაიგზავნა დეპეშა, რომელშიც აღნიშნული იყო: **„იუგოსლავია, რომელსაც დადებული აქვს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების შესახებ, შესაძლებლად მიიჩნევს, არა მარტო არ დაეკითხოს საბჭოთა კავშირს თავისი ჯარების ალბანეთში გაგზავნის თაობაზე, არამედ საქმის კურსშიც არ ჩააყენოს... სსრკ ვერ დაეთანხმება იმას, რომ იგი მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენონ... ჩვენს მთავრობებს შორის სერიოზული უთანხმოებაა... გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება ამ უთანხმოების ასე თუ ისე ამოწურვა“.**

### განხეთქილება

**ტიტოს ავანტიურებმა სტალინი ჩააფიქრა. მას არ მოსწონდა იუგოსლავიის ლიდერის მზარდი პატივმოყვარეობა, მისი პრეტენზია, გამხდარიყო სოციალისტური აღმოსავლეთ ევროპის ლიდერი. ამასთან მას სურდა, რომ ბალკანეთის ფედერაციაში გაერთიანებულიყო არაბალკანური ქვეყნები — პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი.**

წიგნის ავტორები მიიჩნევენ, რომ იუგოსლავია-სსრკ ტრაგიკული კონფლიქტის საფუძველი იდეოლოგიური უთანხმოებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ტიტოს „თამაშებით“ საერთაშორისო ასპარეზზე. პრობლემა არც ის იყო, რომ სტალინი უფრთხილდებოდა თავის ავტორიტეტს, რომელიც იმ პერიოდში უდიდესი იყო და ტიტოს ამბიციური მისწრაფებანი რომც დაკმაყოფილებულიყო, ბელადის სახელს არაფერი დააკლდებოდა. იოსიბ ბროზ ტიტო მზად არ იყო იმ როლისთვის, რომლის შესრულების პრეტენზიასაც აცხადებდა. მისი მსოფლმხედველობა ადგილობრივი რეგიონით, უწინარეს ყოვლისა, ბალკანეთით შემოიფარგლებოდა, ასევე, — ადგილობრივი მიზნებითა და ამოცანებით.

დაპირისპირება მას შემდეგ გამწვავდა, რაც იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახალხო ფრონტის გენერალური მდივანი სრეტენ ჟუევიჩი საიდუმლოდ შეხვდა იუგოსლავიაში საბჭოთა კავშირის ელჩს ლავრენტიევს და იუგოსლავიის პოლიტბიუროს საიდუმლო სხდომის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. იუგოსლავიის ხელმძღვანელების, კერძოდ **ტიტოს გამოსვლა ამ სხდომაზე ანტისაბჭოთა შეფერილობისა იყო და სსრკ-ის საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობასაც კი ჰგავდა. ამან ისედაც გამწვავებული ურთიერთობის ცეცხლზე ნავთის დასხმის როლი შეასრულა.**

მაშინაც, ანუ 1948 წელსაც და შემდგომაც იუგოსლავიის მხარე აცხადებდა, რომ ჟუევიჩის დაბეზღება ცილისმწამებლური ხასიათისა იყო, რაც მისი ძალაუფლებისკენ სწრაფვითა და ტიტოს ადგილის დაკავებით იყო ნაკარნახევი.



იოსიპ ბროზ ტიტო

ამაში უთუოდ არის სიმართლის მარცვალი. 1950 წელს დაპატიმრებულმა ჟუევიჩმა იუგოსლავიის კომპარტიის ცკ-სადმი მიწერილ წერილში აღიარა, რომ შეცდა. წერილი დაუყოვნებლივ გამოქვეყნდა. პუბლიკაციის კვალზე ის უცებვე გაათავისუფლეს და მან განაგრძო მუშაობა მნიშვნელოვან პოსტებზე — იგი ტიტოსთვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა.

რუსი ისტორიკოსი იური გირენკო აღნიშნავდა, რომ „საბჭოთა საელჩო მისი (ელჩ ლავრენტიევის) ჩამოსვლის შემდეგ უფრო და უფრო ხშირად აცნობებდა მოსკოვს, იუგოსლავიის ხელმძღვანელის წარმატებებისგან თავბრუდახვევის სიმპტომების, პარტიასა და ქვეყანაში ვოლუნტარიზმის ტენდენციების კულტივირების შესახებ“.

ლავრენტიევის მიერ ნაციონალიზმში ტიტოს დადანაშაულება ერთგვარად გადაჭარბებული იყო. ელჩის განცხადება იმის თაობაზე, რომ „არსებობს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-მორალური მნიშვნელობის უხეში შეუფასებლობა“ საეჭვო იყო რეალობის ასახვის თვალსაზრისით, თუმცა შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ საქმე უფრო ცუდად იყო, ვიდრე ვარაუდობდნენ.

მდგომარეობას ამძაფრებდა საბჭოთა საელჩოს სამხედრო ატაშეს გენერალ-მაიორ სიდოროვიჩის პატაკები. იგი ხაზგასმით წერდა: „არ არის დადასტურებული, თუ რომელ იდეოლოგიას ერთგულებს ამჟამად და უერთგულებს მომავალში იუგოსლავია“. და თუ ჟუევიჩის ინფორმაცია და ლავრენტიევის პატაკები სტალინთან ხვდებოდა რიგი ინსტანციების გავლით, ▶

**თავისი „საბაზრო სოციალიზმი“ ტიტოს დაფუძნებული ჰქონდა ეკონომიკის დეცენტრალიზაციაზე, რამაც განაპირობა იუგოსლავიის რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არა მარტო უკიდურესი უთანაბრობა და დესტაბილიზაცია, არამედ მათში ნაციონალიზმის ზრდის მიზეზი გახდა. ამას კი შედეგად მოჰყვა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სისხლიანი რღვევა ტიტოს მემკვიდრეთა ზეობის პერიოდში.**

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბელგრადში სამხედრო ატაშეს მოხსენება თავდაცვის მინისტრმა ბულგანინმა უშუალოდ სტალინს გადასცა.

დავუმატოთ ამას, რომ **სტალინის პირად სტრატეგიულ დაცვასაც ეჭვი ეპარებოდა, რომ ტიტო ნამდვილი კომუნისტი იყო და ამის თაობაზე სტალინს მოახსენებდა ხოლმე დადასტურებულ ფაქტებზე დაყრდნობით.**

ყველა ამ ცნობამ, ბოლოს და ბოლოს, თავი მოიყარა ბელადთან და აავსო მისი მოთმინების ფიალა. სტალინის რეაგირება, შესაძლოა, ზედმეტად მკვეთრი იყო: იუგოსლავიიდან გაიწვია საბჭოთა მრჩევლები და დაიწყო იუგოსლავია-სსრკ-ის ეკონომიკური კავშირების შეკვეცა.

1948 წლის გაზაფხულზე სტალინმა მოლოტოვთან ერთად ტიტოსა და კარლენს გაუგზავნა წერილი იუგოსლავიის ხელმძღვანელთა კრიტიკით. ეს კრიტიკა ჯილასმაც კი მნიშვნელოვანწილად სამართლიანად მიიჩნია. ტიტომ უარი განაცხადა კრიტიკის გათვალისწინებაზე. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ მართალია იუგოსლავიის ხელმძღვანელობამ სტალინის კრიტიკიდან გამომდინარე გადადგა შიდა პოლიტიკური მნიშვნელობის ნაბიჯები. მაგრამ ამან არ შეარბილა კონფლიქტი. სტალინი ჩაერია იუგოსლავიის კომპარტიის შიდა საქმეებში და მოითხოვა, რომ საკ.კპ(ბ)-ს მონაწილეობა მიეღო დაპატიმრებულ ჟუევიჩისა და ხებრანგის საქმეების გამოძიებაში.

ამაზე ტიტომ უარი თქვა, მაგრამ საკ.კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს შესთავაზა გაეგზავნა ბელგრადში თავისი კომისია, რათა ადგილზე დარწმუნებულიყო იუგოსლავიაში არსებული მდგომარეობის ცილისმწამებლურ ხასიათში.

ეს წინადადება საბჭოთა მხარემ უარჰყო.

რუმინეთში მოიწვიეს კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიუროს (კომინფორმბიუროს) სხდომა, რომელიც 1947 წელს შეიქმნა ტიტოს აქტიური მონაწილეობით. სხდომაზე მიიღეს ძალიან მკაცრი რეზოლუცია იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელობის მიმართ და მოწოდებით მისი შეცვლის შესახებ. დასავლეთის მასმედიამ ჩათვალა, რომ ტიტო განწირულია, მისი დამხობის თარიღსაც ასახელებდნენ — 1948 წლის 21 ივლისს, როცა გაიხსნებოდა იუგოსლავიის კომპარტიის V ყრილობა. **ტიტომ ქუჩებში სამხედრო ნაწილები გამოიყვანა.**

**მთელ ქვეყანაში იმართებოდა პარტიული კრებები, რომლებზეც კითხულობდნენ ინფორმბიუროს რეზოლუციას და კენჭს უყრიდნენ ამ დოკუმენტს. მის მომხრეებს „ინფორმბიუროელები“ შეარქვეს. იოსიპ ბროზმა შეინარჩუნა ძალაუფლება. 1956 წელს ნიკიტა ხრუშჩოვი იგივეს იმავე მეთოდებით გაიმეორებს და დაიმკვიდრებს პირველკაცობას.**

**მეხუთე ყრილობის გახსნისას პრეზიდიუმის ცენტრში ტიტოს დიდი პორტრეტი იყო გამოკიდებული, მარჯვნივ და მარცხნივ იდგა — ერთ მხარეს მარქსისა და ლენინის მარმარილოს ბიუსტები, მეორე მხარეს — სტალინისა და ენგელსის.**

**რა ესა და რა მცხეთაში არმაზის კერპის მარჯვნივ და მარცხნივ — გაცისა და გაიმის ქანდაკებები — მაზდეანური კერპთაყვანისმცემლობა!**

თავის საანგარიშო მოხსენებაში ქვეყნისა და პარტიის ხელმძღვანელმა დელეგატებს შეახსენა, რომ იუგოსლავი კომუნისტები აღიზრდებოდნენ საბჭოთა კავშირისადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით. ტიტო მოკლედ შეეხო კომინფორმბიუროს რეზოლუციას და განაცხადა, რომ იუგოსლავიის კომპარტიის ცკ აღსავსეა სურვილით, ყველაფრის მიუხედავად, აღადგინოს კარგი დამოკიდებულება საკავშირო კომუნისტურ პარტიასთან. მოხსენება კი სტალინის სადიდებელი ლოზუნგით დაამთავრა. დელეგატებმა მქუხარე აპლოდისმენტებითა და შეძახილებით უპასუხეს: „სტალინ-ტიტო!“

სტალინს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა არა მარტო ინფორმბიუროელებს შორის, არამედ ტიტოელებს შორისაც. იუგოსლავიის ლიდერის ერთ-ერთი თანამებრძოლი სვეტოზარ ვუკმანოვიჩ-ტემპო იხსენებდა: „ჩვენ მოვილაპარაკეთ, არ გაგვეკრიტიკებია სტალინი... იგი მოატყუეს... შეაცდინეს“.

ბელგრადის ერთ-ერთი მიტინგის მონაწილეებმა საბჭოთა ბელადს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: „ამხანაგო სტალინ, ჩვენ ღრმად გვწამს შენი“. ჯილასი იხსენებდა: **„მოსკოვთან დაპირისპირება ტიტოსთვის მტკივნეული ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური დარტყმა იყო. მისი გარემოცვის აზრით, თვითონაც მიაჩნდა, რომ სწორედ ამ პერიოდში დაუწყო კალკულეზური ქოლეცისტიტის შეტევები“.**

**„ჩვენი ადამიანებისთვის, — წერდა შემდგომში ტიტო, — მთელი კონფლიქტი, განსაკუთრებით კი რეზოლუცია უმძიმესი ტრავმა იყო, რადგან ჩვენ იუგოსლავიაში... გვწამდა საბჭოთა კავშირის, გვწამდა სტალინის... ჩემ თვალწინ პარტიზანები სტალინის სახელით ბრძოლებში სიკვდილზე მიდიოდნენ... ჩვენ არ გვრცხვენია ამ ილუზიების. მათ ითამაშეს პოზიტიური როლი და დაადასტურეს პროგრესისა და სოციალიზმის ჩვენი ღრმა რწმენა“.**

პირველი, ყრუ კრიტიკა სტალინის მისამართით 1948 წლის ოქტომბერში გაზეთ „ბორბას“ გვერდებზე გაისმა ჯილასის სტატიაში. იგი ამას ასე იხსენებს: „ეს წერილი ჩემი ინიციატივით დავწერე. ტიტომ გადაიკითხა და თავდაპირველად არ დაეთანხმა სტალინის კრიტიკას. მე მივედი მასთან და ავუხსენი, რომ პარტიის რიგით წევრებს არ ესმით, რატომ დუმს სტალინი და რატომ ვდუმვართ ჩვენ და განვადიდებთ კიდეც მას. და ტიტო დამთანხმდა...“

მაგრამ ამ წერილშიც არ იყო საბჭოთა ბელადის წინააღმდეგ თავდასხმა. იქ ნათქვამი იყო: „სტალინი არის უდიდესი ცოცხალი ავტორიტეტი არა მხოლოდ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, არამედ საერთოდ დემოკრატიულ მსოფლიოშიც... ჩვენ გაბედულად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არსად (სსრკ-ს გარდა) სტალინი არ უყვართ, პატივს არ სცემენ უფრო მეტად, ვიდრე იუგოსლავიაში. სტალინი იყო, არის და რჩება ჩვენს პარტიაში მარქსიზმის ერთ-ერთ უდიდეს კორიფედ, ლენინის ერთგულ და ღირსეულ მოწაფედ და მემკვიდრედ“.



**ანეკდოტი თემაში:**
**„ტიტო-რანკოვიჩის ხროვა“ იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის დაპირისპირების პერიოდის ერთ-ერთი სლოგანი იყო. შერიგების შემდეგ, სსრ კავშირში იოსიპ ბროს ტიტოს შესახვედრად გამოსულ კოლმეურნეებს ეკავათ პლაკატი: «გაუმარჯოს ტიტოს ხროვას!» — მიჩვეულს ნუ გადააჩვევო...**

სტალინის პიროვნებას იუგოსლავიის პროპაგანდა პატივისცემით ეკიდებოდა. 1949 წლის ბოლომდე იუგოსლავია მსოფლიო ასპარეზზე საბჭოთა კავშირთან და სხვა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ერთად მოქმედებდა. ასე გრძელდებოდა მას შემდეგაც კი, რაც სსრკ-ში შეიქმნა ანტიტიოური მიმართულების „იუგოსლავიის პატრიოტთა კავშირი „და გამოიცემოდა მისი ორგანო გაზეთი „სოციალისტური იუგოსლავიისთვის“.

**1949 წლის შემოდგომაზე აშკარა გახდა, რომ კონფლიქტი გახანგრძლივებულ ხასიათს იღებდა. იუგოსლავიის მხარე გადავიდა საპასუხო პოლიტიკურ-პროპაგანდისტულ შეტევაზე. 1949 წლის შემოდგომაზე ანდრეი გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი იუგოსლავიასთან.**

ურთიერთბრალდებების რაოდენობა და სიმძაფრე მატულობდა. სტალინმა ირწმუნა იუგოსლავ პოლიტემიგრანტთა მტკიცება, რომ ტიტოს ხელმძღვანელობას იუგოსლავიის კომპარტიასა და მთელს ქვეყანაში ფართო დასაყრდენი არ აქვს. ეს მტკიცება მხოლოდ ნაწილობრივ იყო მართალი: იუგოსლავიის ლიდერს თავის ქვეყანაში სანდო და მრავალრიცხოვანი მომხრეები ჰყავდა.

ანალიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ იუგოსლავიის კომპარტიის მეხუთე ყრილობის ერთსულოვნების მიუხედავად პარტიაში განხეთქილების საშიშროება მაინც გაჩნდა. **კომუნისტების საერთო რაოდენობიდან — 468175 წევრი და 51612 კანდიდატი — 55 ათასმა მხარი დაუჭირა ინფორმბიუროს რეზოლუციას... ყველა ისინი პარტიიდან გარიცხეს, მათგან 16312 რეპრესირებულ იქნა და სპეციალურად შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში განაწესეს. მათთან ერთად რეპრესირებულ იყო სტალინის ათასობით მომხრე უპარტიო.**

უკვე ჩვენს დროში იუგოსლავი ანალიტიკოსები მწუხარებით აღნიშნავდნენ, რომ მოსკოვის, რუსეთის, იმავე „ცივილიზებული“ დასავლეთის მწერლები და ლიტერატორები, სურვილის შემთხვევაში, შეიტყობდნენ **„შემზარავ სიმართლეს, სწორედ რომ შემზარავ სიმართლეს... ცოცხალი და უკვე გარდაცვლილი იმ დღეების კოშმარგადახდილ მომსწრეთა წიგნებიდან და სხვა მასალებიდან. მაგრამ ამ წიგნებიდან არცერთი სამოციანელების, მიხეილ გორბაჩოვის, ალექსანდრ იაკოვლევის და მათ თანამდგომთა „მზრუნველობითა“ და მცდელობით რუსულ ენაზე თარგმნილი არ არის“...**

ამის შემდეგ შერიგებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ტიტომ ვერ აისრულა ამბიციური მისწრაფებანი, თუმცა თავისი ქვეყნის უეჭველ და უცვლელ ლიდერად დარჩა და, როგორც ამერიკელი პოლიტოლოგი ჯონ კემპბელი აღნიშნავდა, დაიწყო „იუგოსლავიის დასავლეთის ბანაკში თანდათანობითი გადასვლის პროცესი“.

მაგრამ ამ პროცესს დამთავრება არ ეწერა, რადგან ტიტოს არ სურდა, რომ მისი ქვეყანა დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებზე ყოფილიყო მთლიანად დამოკიდებული. იუგოსლავიას მხოლოდ საბჭოთა კავშირთან შეიძლება ჰქონოდა ორმხრივ სასარგებლო პარტნიორული ეკონომიკური ურთიერთობა. სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოთა ბლოკში გადამწყვეტი მნიშვნელობა იდეურ ერთიანობას ჰქონდა. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი, უპირველეს ყოვლისა, მკაცრი კონკურენციის კანონი მოქმედებდა. ბაზარზე სრულუფლებიან პარტნიორად გასვლა შეუძლებელი იყო. იუგოსლავიისთვის გამზადებული იყო დამოკიდებული სახელმწიფოს როლი, რაც ტიტოს ხელს არ აძლევდა. მაგრამ განხეთქილება სტალინთან აიძულებდა დაემყარებინა მრავალმხრივი კავშირები ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვეყნებთან, რისთვისაც აუცილებელი ხდებოდა იდეოლოგიურ დათმობებზე წასვლა. ეს იყო ამაო მცდელობა გაეკვალა იუგოსლავიის განვითარების ახალი გზა.

## შედეგები

**სტალინის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე იუგოსლავიის ხელმძღვანელობა არაოფიციალურ შეხვედრაზე შეიკრიბა. ტიტომ გარდაცვლილის ხსენებისას წარმოთქვა ასეთი ფრაზა: „ომს კარგად ხელმძღვანელობდა!..“ იმავე დღეს მისი დავალებით იუგოსლავიაში სსრკ საელჩოს ეწვია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მიჩუნოვიჩი და იუგოსლავიის მთავრობის სახელით გამოთქვა მწუხარება საბჭოთა ბელადის გარდაცვალების გამო.**

ხრუშჩოვის ინიციატივით შერიგების შემდეგ, ტიტო უმალვე მიხვდა, რომ შექმნილი ვითარება მისთვის მეტისმეტად სასარგებლო იყო. მან თითქმის მთლიანად ნულამდე დაიყვანა ქვეყნის დასავლეთზე დამოკიდებულება, მაგრამ არ დაბრუნდა სსრ კავშირის მეგობართა რიგებში. ბიპოლარულ მსოფლიოში ორ პოლუსს შორის — სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის ბალანსირებით მან შეძლო შედარებით აყვავებული სახელმწიფოს შექმნა ფრიად არამყარ ეკონომიკურ საფუძველზე. ბოლოს და ბოლოს მან დაიკმაყოფილა პატივმოყვარეობა, როცა მესამე მსოფლიო ძალის ლიდერი გახდა. ეს ძალა მისი უაქტიურესი მონაწილეობით შეიქმნა და ეწოდა მიუმხრობლობის მოძრაობა.

1961 წლის სექტემბერში ბელგრადში გაიხსნა ამ მოძრაობის პირველი კონფერენცია, რომელიც აერთიანებდა 25 სახელმწიფოს, მათ შორის, ალჟირის, ავღანეთის, ინდოეთის, ინდონეზიის, ერაყის, კუბის, ლიბანის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის და სხვა სახელმწიფოებს. მათი საერთო პოზიცია იყო სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობა, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელება, დაჩაგრული ხალხების თავისუფლებისაკენ სწრაფვის მხარდაჭერა, კოლონიების ლიკვიდაციისთვის ხელშეწყობა და საყოველთაო სრული განიარაღების მიღწევა.

ასეთი მომხიბვლელი დეკლარაციების მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა ამ საფუძველზე მსოფლიოს მესამე „მიზიდულობის ცენტრის“ შექმნა. ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით ეკონომიკური დამოუკიდებლობა ფრიად ფარდობითი იყო. მათ არ შეეძლოთ მდგრადი სოციალურ-პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური ერთობის შექმნა. ამ მიმართულებებით შეუდარებლად ძლიერი იყო ურთიერთდაპირისპირებული კაპიტალისტური და სოციალისტური ბლოკები..

**თავისი „საბაზრო სოციალიზმი“ ტიტოს დაფუძნებული ჰქონდა ეკონომიკის დეცენტრალიზაციაზე, რამაც განაპირობა იუგოსლავიის რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არა მარტო უკიდურესი უთანაბრობა და დესტაბილიზაცია, არამედ მათში ნაციონალიზმის ზრდის მიზეზი გახდა. ამას კი შედეგად მოჰყვა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სისხლიანი რღვევა ტიტოს მემკვიდრეთა ზეობის პერიოდში.**

მის გარდაცვალებამდე (1980 წელს) „თვითმმართველობითი, საბაზრო სოციალიზმის“ იდეოლოგია და პრაქტიკა საბჭოთა ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის თითქმის აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა, სკკპ გავლენიანი პარტბიუროკრატებიც ფარულად იზიარებდნენ ამ იდეოლოგიას. ანალიტიკოს მილიჩევიჩის მტკიცებით, ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დროიდან „საბჭოთა პარტოკრატია, ჟურნალისტები, ეკონომიკის, ფილოსოფიის, მარსიზმის დოქტორები ტიტოს სკოლას ითვისებდნენ... ასობით პარტიული და საბჭოთა დელეგაცია მიემგზავრებოდა „იუგოსლავური სასწაულის“ სანახავად“.

**მაგრამ რა იდგა ტიტოს სოციალიზმის მოდელის მიმზიდველ ფასადს მიღმა?**

„1,5 მილიონი გასტარბაიტერ-იუგოსლავისა და მათი ცოლების უმრავლესობა „განვითარებული დასავლეთის“ ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობდა, — წერს მილიჩევიჩი, — მუშაობდნენ „ქუჩების სანიტრებადაც“ და ბორდელებში წესრიგის დამწველებად, ე.წ. ვიშიბალებად. მათი ნაწილი ვერ უძლებდა დასავლეთის ცხოვრების წესს და იმ სამყაროს ფსკერზე ეშვებოდა, ლუმპენების, მაფიოზური და განგსტერული დაჯგუფებების რიგებს ემატებოდა“.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე ძვირი ფოტოსურათი

**ფოტო„Rhein II“, რომელიც 1999 წელსაა გადაღებული, 2011 წელს კრისტის აუქციონზე 4,3 მილიონ დოლარად გაიყიდა. მასზედ გამოსახულია მდინარე რეინი ორ მწვანე მინდორსა და უზარმაზარ მოქუფრულ ცას შორის.** აღსანიშნავია, რომ ეს ძვირადღირებული ფოტოსურათი ფოტოშოპის მეშვეობით შეიქმნა. ფოტოს ავტორის, გერმანელი ფოტოგრაფის, ანდრეას გურსკის,თქმით, თანამედროვე სურათის მისაღებად მას დასჭირდა რამდენიმე დეტალის მოცილება, ეს იყოელექტროსადგური, რამდენიმე პორტის შენობა და მამაკაცი, რომელიც ძაღლს ასეირნებდა. მანამდე ყველაზე ძვირადღირებულ ფოტოსურათად იმავე ავტორის ფოტო „99 Cent“ ითვლებოდა, მისი ღირებულებაც 3,4 მილიონი დოლარია.



## 65 მილიონი დოლარი სასიძოსთვის

**ჰონგ კონგელმა მილიარდერმა, ქალბატონმა სესილ ჩაომ საჯაროდ განაცხადა, რომ ნებისმიერ მამაკაცს 65 მილიონ დოლარს გადაუხდის ერთადერთი პირობით: ამ მამაკაცმა უნდა მოახერხოს და ცოლობაზე დაითანხმოს მისი ერთადერთი ქალიშვილი ჯიჯი ჩაო.**

ეს არც ისე იოლი საქმეა. პრობლემაისაა, რომ ჯიჯი ლესბოსელია და მას ჰყავს დიდი ხნის შეყვარებული ქალი, რომელზე გათხოვებაც უკვე გადაწყვიტა.

სესილ ჩაო ამბობს, რომ შვილისთვის ბედნიერება სურს და ამიტომ ეძებს ქმარს (მამაკაცს) მისი ქალიშვილისთვის! რამდენიმე დღეში ჯიჯი ჩაომ მიიღო ათასობით შემოთავაზება მამაკაცებისგან მთელი მსოფლიოდან.

ჯერჯერობით მისი გულის მოგება ვერავინ მოახერხა.



## ყველაზე წყნარი ადგილი მსოფლიოში

**ამბობენ, რომ დუმილი ოქროა, თუმცა პლანეტის ყველაზე მდუმარე ოთახში ყოფნა, თუნდაც მცირე ხნით, აუტანელია.**

მინესოტას შტატში, ორფილდის ლაბორატორიაში, სპეციალურად შექმნილი კამერა ხმების 99,99%-ს შთანთქავს. ეს არის რეკორდული მაჩვენებელი და სწორედ ამიტომ ეს ადგილი რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც მსოფლიოს ყველაზე წყნარი ადგილი.



ასეთ ოთახში ყოფნას ქალაქის ხმაურისგან დაღლილი უამრავი ადამიანი ინატრებდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, საქმე არც ასე მარტივადაა. როგოცჩანს, ყველას არ ძალუძს დიდხანს „წყნარად ყოფნა“, უმეტესობა მხოლოდ რამდენიმე წუთით ახერხებს იქ გაჩერებას. სიჩუმის ასეთი დოზა, სპეციალური ვარჯიშების გარეშე, ჰალუცინაციებს იწვევს. ყველაზე დიდხანს, 45 წუთით, მხოლოდ ერთ–ერთმა რეპორტიორმა შეძლო გაჩერება.

**„ასეთ სიწყნარეს, რა თქმა უნდა, ყური ეჩვევა, მაგრამ, რაც უფრო წყნარია ოთახი, მით უფრო მეტად გესმით ხმები: მაგალითად, საკუთარი გულის ცემა, ფილტვების მოძრაობა, მუცლის ხმამაღალი მოჩვენებითი გრუხუნი. ოთახშიექოს გარეშე თქვენ თვითონ ხდებით ხმაური“,** — აღნიშნა მან.

კომპანიის დამაარსებელი და პრეზიდენტი სტივ ორფილდი ერთ-ერთ ინტერვიუში ხალხს მოუწოდებს, გაჩერდნენ ამ ოთახში სრულ სიბნელეში. ის თვლის, რომ ეს გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ საშიშია.

**„წყნარ ოთახში“, სასურველია, საერთოდ არ იმოძრაოთ“,** — გვირჩევს ორფილდი — **ადამიანი მოძრაობისას ორიენტირებს ხმაურზე, იგივე სიგნალზე. ექოს გარეშე ოთახში, სიგნალების აღქმა, რომელიც ბალანსირებისა და მანევრირების საშუალებას იძლევა, იკარგება. ამიტომაც უმჯობესია, იჯდეთ სავარძელში გაუნძრევლად“.**

სიმშვიდის ოთახს უამრავი ამერიკული კომპანია იყენებს საკუთარი პროდუქტისა თუ თანამშრომლების შესამოწმებლად და სავარჯიშოდ. მაგალითად, ნასა (NASA) ავარჯიშებს ასტრონავტებს, აჩვევს კოსმოსურ გარემოს. როგორც ორფილდი ხსნის, კოსმოსი თავისთავად წარმოადგენს ერთ დიდ სივრცეს ექოს გარეშე, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, დარწმუნებულიიყო, რომ ასტრონავტებს შეუძლიათ გაძლონ ასეთ პირობებში და იმუშაონ კონცენტრირებულად და ნაყოფიერად.

გარდა ამისა, „სიჩუმის ოთახს“ იყენებს უამრავი ხმოვანი პროდუქციის მწარმოებელი კომპანია ხმის ტესტირებებისთვის, რათა გაზომონ მათი პროდუქტის ხმის სიმაღლის დონე. ეს შესაძლებელია იყოს მობილური ტელეფონის, ავტომობილის გადამრთველი მოწყობილობის პანელის ან თუნდაც გულის სარქველის ხმის შემოწმება.

## ალტერნატიული ვარცხნილობების ფესტივალი



ალტერნატიული ვარცხნილობებისსაიუბილეო, რიგით 30-ე შოუ გაიმართა ლონდონში, სადაც საკუთარი ოსტატური ნამუშევრები წარმოადგინეს მთელი მსოფლიოდან მოწვეულმა სტილისტებმა. როგორც ყოველთვის, ლონისძიებაზე შემოსული მთლიანი თანხა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ეროვნულ ფონდსგადაეცემა.

30-წლიანი არსებობის მანძილზე შოუმ დააგროვა 8.5 მილიონი ფუნტი სტერლინგი, რომლის ნაწილი გადაეცა ბრიტანეთის ჯანმრთელობის ფონდს და ლეიკემიის წინააღმდეგ ბრძოლისმსოფლიო ორგანიზაციას.









## საქორწინო ოქრო

**საყვარელი ქალისათვის ორიგინალური საქორწინო საჩუქრის გასაკეთებლად ჯონ გრინვუდი თვითონ გაემართა ოქროს მოსაძიებლად შოტლანდიის ყინულოვანი მდინარეებისკენ.**



46 წლის მამაკაცმა არ იცოდა, როგორ და სად უნდა მოეპოვებინა ეს ლითონი, მაგრამ მაინც შეძლო ოქროს ათასობით პატარა ნაწილის შეგროვება.ნაპოვნი ოქრო მან მისცა იუველირს, რომელმაც დაამზადა ყველაზე ლამაზი ბეჭედი შეყვარებულისთვის.

შობის დღეს საფრანგეთის მდიდრულ სასტუმრო „Gleaneagles“-შიჯონმა შეყვარებულს ხელი სთხოვა.საპატარძლოს, ცხადია, უარი არ უთქვამს.



ჯონის მიერ შეგროვებული ოქრო 34 გრამი აღმოჩნდა და მისმა ღირებულებამ 18 ათასი დოლარი შეადგინა. ოქროს მაძიებელი სასიძო ოქროს დაახლოებით 4 თვის განმავლობაშიეძებდა. იუველირმა გრანტ ლოგანმა ჩასვა ბეჭედში ნამდვილი ბრილიანტები, ხოლო ბეჭდის შიგა ნაწილში ამოტვიფრა — **„შოტლანდიის ოქრო“.** იუველირის თქმით, ამ სამკაულის ფასი ბევრად აღემატება საბაზრო ღირებულებას, რადგან ის უნიკალურია და აქვს თავისი ისტორია.



## ბულგარეთში ევროპის უძველესი ქალაქი აღმოაჩინეს

**არქეოლოგებმა ბულგარეთში, ვარნას რეგიონში ჩატარებული გათხრების დროს აღმოაჩინეს ნანგრევები, რომელიც, სავარაუდოდ, ევროპის უძველესი ქალაქის ნაშთს წარმოადგენს.** ექსპერტების აზრით, ქალაქი ქრისტეშობამდე 4700-4200 წლებში არსებობდა და იგი ევროპის უძველესი მარილის საბადოს გვერდით მდებარეობდა.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფსიქოდელური სტალაქტიდები ისრაელის მღვიმეში





ავშალომის მღვიმე, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც სორექის მღვიმე ან სტალაქტიდების მღვიმე, მდებარეობს იუდეას მთების დასავლეთ ფერდობებზე, ბეით-შემეშის ახლოს. მღვიმე, რომელიც 5000 კვადრატულ მეტრსიკავებს, მოიცავს სტალაქტიდებისა და სტალაგმიტების ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ კოლექციას. ზოგიერთიმათგანის სიგრძე 7 მეტრსაც კი აღწევს. ზოგჯერზემოდან დაშვებულები ერწყმის ქვემოდან ამოშვერილებს და ერთ მთლიან სვეტს ქმნის. სხვა წარმონაქმნები წააგავსმარჯნის რიფებს, ხის ტოტებს, ტანსაცმლის ნაწილებს, ვაზის კონებს... მღვიმეში უცნაური ნიმუშები და მოხატულობები განათებულია სუსტი სინათლით და ეს ყველაფერი ბევრისთვის შემზარავ ატმოსფეროს ქმნის.

მღვიმეებიდედამიწის ქერქის ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი ფენომენია.ეს იგივე გამოქვაბულია, მხოლოდ კირქვის ტიპის ქანებში ჩნდება. კედლებიდან გამოჟონილ წყალში კირქვის უმცირესი ნაწილაკებია გახსნილი. წყალი წვეთავს და ჰაერთან შეხებისას მისი ნაწილი კალციტის მინერალად გარდაიქმნება. თითოეული წვეთი მიკროსკოპული რაოდენობის კალციტს ტოვებს, მას შემდეგი წვეთიდან გამორჩენილი კრისტალები დაემატება. ასე გადის ათასობით წელი და მღვიმეში ახალი წარმონაქმნები ჩნდება: სტალაქტიდები და სტალაგმიტები.

პირველი მათგანი წვეთის მოწყდომის შედეგად ჩნდება, მეორე — დაცემისას. გადის დრო და ზოგიერთი სტალაქტიდი და სტალაგმიტი ერთდება და ქმნიან სტალაგნატს, „მღვიმის ბოძს".

ავშალომის მღვიმე შემთხვევით აღმოაჩინეს 1968 წლის მაისში, როდესაც აფეთქებამ გამოანგრია მისი კედელი. გეოლოგები ამტკიცებენ, რომ სორექის მღვიმე დაახლოებით 25 მილიონი წლის წინ გაჩნდა. მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ზღვამ უკან დაიხია და წყლის დონე ნიადაგში შემცირდა, ქვის ეროზია შეწყდა. მღვიმის რამდენიმე მონაკვეთში, სადაც სითბო და ტენიანობა შენარჩუნდა მთელი წლის განმავლობაში, კვლავ აქტიურად მიმდინარეობს სტალაქტიდებისა და სტალაგმიტების ფორმირების პროცესი. **დღეისათვის მღვიმე ბოლომდე გამოკვლეული არ არის, რაც თავისებურ სტიმულს აძლევს ცნობილ მეცნიერებს. ამასთან ერთად, შიგნით საოცარი და აქამდე თვალითუნახავი შთამბეჭდავი პეიზაჟებია.**







# ტიტების ფესტივალი

**სკაგიტის ველზე ყოველწიურად ტიტების ფესტივალი იმართება. სპეციალური ტექნიკის საშუალებით ყვავილები მუდამ კარგადყვავიან. 1967 წლიდან 1983-მდე ამ ტერიტორიაზე სურდათ აეშენებინათ 2 ბირთვული ელექტროსადგური,მაგრამ გაიმარჯვა სხვა გადაწყვეტილებამ, რომელიც ამ ადგილს მეტ სილამაზეს უქადდა.**

1984 წლიდან სკაგიტის ველი გახდა ვაშინგტონის შტატში ყველაზე გრანდიოზულიტიტების ფესტივალის ჩატარების ადგილი, რომელიც 1-დან 30-აპრილამდე იმართება.აქ თითოეული ყვავილი საგულდაგულო მოვლის ობიექტია,რადგან ველის მთლიანი ვიზუალური ეფექტი ძალიან მნიშვნელოვანია. 2010 წელს ეს ფესტივალი ამ პერიოდში ჩატარებულ ყველაზე საუცხოო ღონისძიებად აღიარეს მთელ ჩრდილოდასავლეთ ტერიტორიაზე.

**ტიტა — შროშანისებრთა ოჯახის წარმომადგენელია.** მისი სანათესაო 150-მდე სახეობას ითვლის. სამშობლო შუა აზიაა, სადაც XII საუკუნიდან გამოჰყავდათ მისი სხვადასხვა სახეობა. XVI საუკუნეში კი ტიტამ დასავლეთ ევროპა დაიპყრო და სელექციონერთა ყურადღება დაიმსახურა.სწორედ მათი შრომის შედეგია სხვადასხვა ფერისა და ფორმის ტიტების სიმრავლე.







# გიგანტური ღამურა

**პერუელმა ჯარისკაცებმა დაიჭირეს გიგანტური ღამურა, რომელიც შინაურ ცხოველებს თავს ესხმოდა. იყო შემთხვევა, როცა ღამურა თავს დაესხა ადგილობრივ მკვიდრსაც.**

სამხედროებმა, ფაქტობრივად, მფრინავი მელა დაიჭირეს, რომელიც ხელფრთიანთა ოჯახს განეკუთვნება. **ზოგიერთი ჯიშის ღამურის სხეულის სიგრძე 42 სანტიმეტრს აღწევს, გაშლილი ფრთების სიგრძე კი — 1,7 მეტრს.** ჩვეულებრივი ღამურებისგან განსხვავებით, ხელფრთიანები მხოლოდ აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონებში — აზიასა და აფრიკაშიბინადრობენ.

პერუში ღამურები ადამიანებს ხშირად ესხმიან თავს. 2010 წელს პერუს მხოლოდ ორ პროვინციაში ვამპირი ღამურების თავდასხმის 3500 შემთხვევა დაფიქსირდა.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 21 ლიტრი წყალი — დღეში



**ინგლისში, ესქესის საგრაფოში მცხოვრები 26 წლის საშა კენედი დღეში 21 ლიტრ წყალს სვამს. იგი სითხით სავსე ბოთლებს ყველგან თან დაატარებს, ღამით კი წყლის დასალევად საათში ერთხელ იღვიძებს.** ამდენი სითხის მიღების გამო ახალგაზრდა ქალი საპირფარეშოდან თითქმის ვერ გამოდის. როგორც თავად ამბობს, დღე-ღამის განმავლობაში, სულ მცირე, 40-ჯერ მაინც უხდება იქ შევლა. საშა წყალზე ასე დამოკიდებული 2 წლის ასაკიდან არის. მედპერსონალს ამის ახსნა დღემდე უჭირს, ერთი რამ კი ცხადია – საშა კენედი ძალიან ჯანმრთელი გოგონაა.

# ვეტერანების მეუღლეები გაშიშვლდნენ

**ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების მეუღლეებმა გადაწყვიტეს, მეორე ნახევრებს დეპრესიასთან ბრძოლაში არასტანდარტული მეთოდით დახმარებოდნენ. მათ ზურგზე მეუღლის მისამართით ფიცი დაიწერეს და ნახევრადშიშველი ფოტოები „ფეისბუქში“ გამოაქვეყნეს.**




ჯარისკაცებისა და ოფიცრების უმრავლესობას, რომლებიც ერაყსა და ავღანეთში სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობდნენ, აწუხებთ პოსტტრავმატული აშლილობა, რომელიც სამუშაოს სიმძიმითაა გამოწვეული. როგორც აღმოჩნდა, სამხედრო სარდლობა საკუთარი ვეტერანების რეაბილიტაციის პროცესს საკმარის ყურადღებას არ უთმობს. ამიტომ სამხედროების ცოლებმა საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად უჩვეულო საშუალება გამონახეს.

29 წლის ომის ვეტერანის მეუღლემ ეშლი ვაისმა Facebook-ზე შექმნა გვერდი „Battling Bare“-ი, რომელზეც საკუთარი ნახევრადშიშველი ფოტოები განათავსა და სხვა სამხედროების ცოლებს იმავეს გაკეთებისკენ მოუწოდა.

„მე და სხვა სამხედრო მოსამსახურეების ცოლებმა საყვარელი ადამიანების დასახმარებლად უკვე ყველაფერი ვცადეთ“, — დაწერა ქალმა.

მოძრაობა„Battling Bare“-ის შექმნის იდეა ეშლი ვაისს სპონტანურად ეწვია. მის მეუღლე რობერტ ვაისს, რომელიც ერაყში იბრძოდა, დიდი ხნის განმავლობაში დეპრესია აწუხებდა. მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა და ერთხელაც სახლიდან წავიდა, სასტუმროში ოთახი იქირავა და ლუდის ბოთლებთან ერთად ჩაიკეტა. მან თან იარაღის მთელი არსენალიც გაიყოლა, რომელიც სახლში ინახებოდა.

ეშლი ვაისმა მეუღლის მოძებნა რომ მოახერხა, ქმარმა საკუთარი საქციელი ასე ახსნა: „უბრალოდ ცხოვრება აუტანელი გახდა“.

მაშინ ქალმა დასახმარებლად შეიარაღებულ ძალებს მიმართა, მაგრამ რეაქცია მოულოდნელი აღმოჩნდა: რეაბილიტაციის სირთულეების მოყოლის შემდეგ, ფსიქოლოგიური დახმარების მაგივრად ყოფილი სამხედრო ოჯახურ ძალადობაში დაადანაშაულეს. ეშლი ვაისი ირწმუნება, რომ მსგავსზე არასდროს დაუჩივლია.

დახმარება არსაიდან ჩანდა, ამიტომ მან გადაწყვიტა, დამოუკიდებლად ემოქმედა. ნახევრადშიშველმა ქალმა საკუთარ თავს იარაღით ხელში გადაუღო ფოტო ზურგიდან. მანამდე კი, რობერტ ვაისის მისამართით ზურგზე ფიცი დაიწერა: „ბრძოლაში გატეხილო...ომში დაჭრილო... ყოველთვის მეყვარები, გეფიცები! ყველაფერზე წავალ, რომ შენი სული განვკურნო“.

როგორც აღმოჩნდა, ეშლი ვაისის პრობლემა ძალიან ბევრი ქალისთვის ნაცნობია. თანამეგობრობას უფრო და უფრო მეტი ამერიკელი უერთდება და ზურგზე დაწერილი ფიცის ფოტოებს აქვეყნებს. ზოგიერთი ქალი საკუთარ ფიცს კანზე სვირინგის სახითაც კი იტოვებს. კამპანიაში მონაწილეობა სამხედროების შვილებსაც შეუძლიათ. მაგრამ არასრულწლოვნებისთვის შეზღუდვა მოქმედებს— მათ ფოტოებზე მხოლოდ ფეხების და ხელების მოშიშვლება შეუძლიათ.

„Battling Bare“-ის ინიციატორის თქმით, იგი ასეთ რეზონანსს არ ელოდა. ადამიანების მხარდაჭერამ ეშლის „Battling Bare“-ის სრულფასოვან საზოგადოებრივ მოძრაობად გარდაქმნისკენ უბიძგა. მომავალში მოძრაობა ვეტერანებისთვის ფსიქოლოგიური და ფინანსური დახმარებისთვის სახსრებს მოაგროვებს.










© Facebook







© Facebook

## კოსმოსური ნახტომი



**43 წლის ავსტრიელი ფელიქს ბაუმგარტნერი პირველი ადამიანი გახდება, რომელიც პარაშუტით ხტომას სტრატოსფეროდან შეასრულებს.** დედამიწიდან, კერძოდ ნიუ მეხიკოდან 37 კილომეტრის სიმაღლიდან გადმომხტარი ავსტრიელი ექსტრემალის ვარდნის სიჩქარე სავარაუდოდ 690 კილომეტრს საათში, ანუ ხმის გადაცემის სიჩქარეს გაუტოლდება. თუკი ფელიქსი ამას მოახერხებს, იგი თავისუფალი ვარდნის რეკორდსაც დაამყარებს და პირველი ადამიანი გახდება, რომელიც ხმის ბარიერს მარტოდმარტო გაარღვევს.

## ყველაზე ძვირადღირებული კოქტეილი



**სინგაპურში, ღამის კლუბ Pangaea-ში მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კოქტეილი შექმნეს.** სასმელის ავტორი სინგაპურელი ცნობილი მიქსოლოგი ეტან ლესლი ლენგია. კოქტეილს **Jewel of Pangaea** ჰქვია. მის შემადგენლობაში შედის კონიაკი Hennessy, 1985 წლის შამპანური Krug და შაქარი. კოქტეილის ფასი 26 100 აშშ დოლარია, თუმცა, შემქმნელების განცხადებით, ის ამად ღირს.

„როდესაც კლიენტი Jewel of Pangaea-ს უკვეთავს, კლუბში ყველა მოძრაობა ჩერდება და მხოლოდ ამ ერთ ადამიანზეა მიმართული ყველას მზერა. ეს ამად ნამდვილად ღირს“, — განაცხადა კლუბის ადმინისტრატორმა მაიკლ ოლტმა.



## ყველაზე დიდი გოგრა

**შვეიცარიაში ყველაზე მძიმე და დიდი გოგრა შვედმა ფერმერმა ბენ მაიერმა გაზარდა. გოგრა მან საკუთარ ფერმაში, ციურიხში მოიყვანა.** გოგრა 768.5 კილოგრამს იწონის. ადრე მაიერს არაერთხელ დაუმყარებია რეკორდი ყველაზე დიდი გოგრის მოყვანაში, მაგრამ ახლა მან საკუთარ შედეგებს ბევრად გადააჭარბა. მისმა პროდუქტმა ადგილობრივ შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავა. მსოფლიო რეკორდსმენი გოგრა 911 კგ-ს იწონის. ეს რეკორდი აშშ-ში ახლახან დამყარდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქალაქი-ტბა განვე

**ქლაქი-ტბა განვე აფრიკაში,ბენინის რესპუბლიკაში მდებარეობს. ახლა განვეში 20 ათასი მოქალაქე ცხოვრობს.ნოკოუეს ტბა 500 წლის წინ გაჩნდა.ამ ქალაქს კი ახლა „აფრიკულ ვენეციას“ უწოდებენ. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის დასაწყისში ბენინს დაჰომი ეწოდებოდა და დასავლეთ აფრიკაში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა.**



**1975 წლამდე დაჰომეა ერქვა სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკაში, რომელსაცჰქონდა საზღვაო გასასვლელი გვინეის ყურეში.ის დასახლებული იყო ფონის ტომის ხალხით, რომელიც შემდგომ პორტუგალიელებს გაურიგდა: ნაცვლად იმისა, რომ ამ ტომის ხალხი სხვას დამონებოდა, მათ გადაწყვიტეს, რომ სხვა ტომის მონებზე ენადირათ და გაეყიდათ მონები სხვა ხალხებზე. ფონის მეომრები საკმაოდ ძლიერები და გამოწვრთნილები იყვნენ, მათგან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი იყო. თუმცა შემდეგ სხვა ტომის,ტოფინის, მოსახლეობა მიხვდა, რომ ფონის წინააღმდეგ შეიძლებოდა რელიგიური რწმენის გამოყენება.**

რწმენის მიხედვით, მეომრებს ეკრძალებოდათ წყალთან ახლოს დასახლებულ ტომებზე ნადირობა და ამ მრწამსის გამოყენების შედეგად აშენდა კიდეც ქალაქი განვე, რომელიც იცავდა ხალხს სხვა ტომების თავდასხმისგან.

თავად **განვე** ითარგმნება, როგორც **„ჩვენ გადავრჩით“.** იქ მთავარი საკვები, რა თქმა უნდა, თევზია, ხოლო გადაადგილების ძირითადი საშუალება — ნავი, რომლის საფასურის გადახდაც ნამცხვრების დაცხობით ადვილად შესაძლებელია.












# ცოცხალი ტაძარი

ცოცხალი ხეებისგან შექმნილი ტაძარი არის იტალიელი ეკოლოგი არქიტექტორის, ჯულიანო მურის, უკანასკნელი ნამუშევარი. კონსტრუქცია მდებარეობს ქვეყნის ჩრდილოეთით, ქალაქ ბერგამოს გარეუბანში. ავტორის ინიციატივით, 42 ხის ბოძში რცხილის ნერგებიდარგეს.დაახლოებით 15 წლის შემდეგ ისინი ხის ჩარჩოებს ნელ-ნელა „გაანადგურებენ“ და შეიქმნება ცოცხალი ხეების ტაძრის კონსტრუქცია. პროექტს, რომელიც ჯულიანოს შვილმა დაასრულა, დაეთმო ამ ადგილის 650 კვადრატული მეტრი.



# შესაძლოა, ჯოკონდას იდუმალება გაშიფრონ

**მეცნიერები იმ კეთილშობილი იტალიელი ქალის საფლავის გახსნას აპირებენ, რომელიც ლეონარდო და ვინჩის ცნობილი ტილოს, „მონალიზას“, შექმნისას სახელგანთქმული იტალიელი ფერმწერისთვის პოზირებდა.**

ხელოვნების ისტორიის სპეციალისტ,სილვიანო ვინჩენტი, ვარაუდობს, რომ ლიზა ჯერარდინის ნეშტის გამოკვლევით შეძლებს საბოლოოდ გასცეს პასუხიშეკითხვას: მართლაც ის იყო თუ არა და ვინჩის მოდელი. სპეციალისტები ექსგუმაციას წმინდა ურსულას მონასტრის ტერიტორიაზე ჩაატარებენ.

„მონალიზას“ ამოუცნობი ღიმილის საიდუმლო მეცნიერებს უკვე ხუთ ასწლეულზე მეტია ტანჯავს და აწვალებს. „ჩვენ შეგვიძლია ბოლო მოვუღოთ საუკუნოვან დავას და ლეონარდოს ურთიერთობას მისივე მოდელთან ნათელი მოვფინოთ“, — ამბობს ვინჩენტი. იტალიელი ხელოვანმცოდნე ჯერარდინის თავის ქალის დახმარებით მისი დნმის დადგენას და ამის საშუალებით სახის ნაკვთების აღდგენას სამეცნიერო ტექნოლოგიების დახმარებით გეგმავს.

ვინჩენტიმ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად არაერთი მსგავსი ექსპერიმენტი მოაწყო და რამდენიმე ცნობილი მხატვრის სახე მათი ძველი ქსოვილისმასალების დახმარებით აღადგინა. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ძვლების ანალიზი, რომელთა ასაკი, რამდენიმე ასეული წელია, დამაჯერებლად ვერ ჩაითვლება.



ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სილვინო ვინჩენტიმ პარიზში, ლუვრში დაცული „მონალიზა“ დეტალურად შეისწავლა. კვლევა რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. ხელოვნებათმცოდნე ამტკიცებს, რომ ტილოზე ფარულისიმბოლოები აღმოაჩინა. მეცნიერი ასევე ვარაუდობს, რომ ტილოზე შესაძლოა სულაც არ იყოს გამოსახული ერთი კონკრეტული ადამიანი და ის კოლექტიურ სახეს წარმოადგენდეს.

ლეონარდო და ვინჩი თავის ფერწერაში ადამიანის გარეგნობით მის შინაგან სამყაროს გამოხატავდა. მკვლევართა მოსაზრებით, აბრეშუმით მოვაჭრე მდიდარი იტალიელის ცოლი ჯერარ დინი, შესაძლოა, ადრეულ პერიოდში მხატვრის მოდელი ყოფილიყო.

# Volkswagen Mini-Golf-ი ლილიპუტებისთვის

ფოლცვაგენმა გამოუშვა მსოფლიოში პირველი ავტომობილი ლილიპუტებისთვის. ახალი ავტომობილი,რომელსაც Volkswagen Mini-Gol-ი უწოდეს, ზუსტი ასლია Brazil-VW Gol-ისა, უბრალოდ, მაზე 30%-ით პატარაა. Volkswagen Mini-Golf-ს მხოლოდ 5.5 ცხენისძალა გააჩნია და საათში 27კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

# ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ 161-Ე ᲡᲔᲖᲝᲜᲡ ᲮᲡᲜᲘᲡ

**27 ᲝᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ, 19 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ 161-Ე ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲔᲖᲝᲜᲡ ᲮᲡᲜᲘᲡ.**

მრავალწლიანი ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და ოპერის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი პირველად ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერზე“ მიიწვევს აუდიტორიას (მსმენელები ქართულ კლასიკურ ოპერას საკონცერტო შესრულებით მოისმენენ).

„აბესალომ და ეთერის“ მთავარ პარტიებს იმღერებენ ოპერის სოლისტები: **ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ** (აბესალომი), **ᲘᲠᲘᲜᲔ ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ** (ეთერი), **ᲔᲚᲓᲐᲠ ᲒᲔᲬᲐᲫᲔ** (მურმანი), **ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲛᲐᲭᲘᲢᲘᲫᲔ** (მარიხი), **ᲘᲠᲘᲜᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ** (ნათელა), **ᲒᲘᲐ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ** (აბიო მეფე), **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲒᲘᲜᲐᲫᲔ** (თანდარუხი), **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (სტუმარი), **ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (ნანა), **ᲑᲝᲜᲓᲝ ᲒᲝᲒᲘᲐ** (მსახურთუხუცესი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — **ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ**, ქორმაისტერი — **ᲨᲐᲚᲕᲐ ᲨᲐᲝᲠᲨᲐᲫᲔ**) და სიმფონიური ორკესტრი. „აბესალომ და ეთერს“ წარუძღვება დირიჟორი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲣᲥᲔᲠᲘᲐ.**




ოპერა შესრულდება კონსერვატორიის დიდ დარბაზში. დაესწარით ოპერისა და ბალეტის თეატრის 161-ე სეზონის გახსნას, მოისმინეთ „აბესალომ და ეთერი“ და ისიამოვნეთ.



# Newsweek-Ი ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲖᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ










**ცნობილი ამერიკული ყოველკვირეული ჟურნალი Newsweek-ი, რომელიც უკვე 80 წელია გამოდის და US News & World Report და Time-თან ერთად ყველაზე პოპულარული გაზეთების „დიდ სამეულშია“, ქაღალდზე აღარ დაიბეჭდება.** ამის შესახებ განცხადება ჟურნალის რედაქტორმა ტინა ბრაუნმა გააკეთა. ჟურნალი 2013 წლიდან ციფრულ ფორმატზე გადადის. ქაღალდზე დაბეჭდილი ბოლო ნომერი 2012 წლის 31 დეკემბერს გამოვა. ჟურნალის ახალ ინტერნეტ-ვერსიას კი Newsweek Global-ი ქვია. „ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმ გარდამტეხ მომენტს, როდესაც ციფრული ფორმატი ჩვენი მკითხველებისთვის ინფორმაციის მიწოდების გაცილებით ეფექტური და წარმატებული მეთოდი იქნება“, — განაცხადა ბრაუნმა. გარდა ამისა, მთავარი რედაქტორის თქმით, ციფრული ფორმატი ფინანსურად გაცილებით უფრო მომგებიანი იქნება. ჟურნალი Newsweek 1933 წელს, TIME-ის ყოფილმა რედაქტორმა რომას მარტინმა დააარსა. ჟურნალი მთელ მსოფლიოში 7 ენაზე გამოდის, მათ შორის არაბულად, ესპანურად და კორეულად.

# 12-ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ «ᲐᲚ ᲥᲐᲘᲓᲐᲡ» ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲕᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა „ალ ქაიდას“ ირანელი სპონსორების ადგილსამყოფელზე ინფორმაციის მიმწოდებელს 12 მილიონი დოლარის ოდენობის ჯილდო აღუთქვა.** ლაპარაკია მუხსინ ალ-ფადლისა და ადელ რადი საქრ ალვაჰაბი ალ-ჰარბიზე, რომლებიც, აშშ-ის სპეცსამსახურების მტკიცებით, „ალ ქაიდას“ ირანული ქსელის მთავარ ლიდერებსა და სპონსორებს წარმოადგენენ. სავარაუდოდ, მათ მიერ ხდება ექსტრემისტული დაჯგუფებების ფინანსებითა და ახალი რეკრუტებით მომარაგება. ამასთანავე, გავრცელდა ინფორმაცია ალ-ფადლის საბანკო ანგარიშების გაყინვის შესახებ. აშშ-ის ტერორიზმისა და ფინასური დაზვერვის დეპარტამენტის განცხადებით, მათი ეს ნაბიჯი „კრიტიკული მნიშვნელობისაა „ალ ქაიდას“ დაფინანსებისა და ხელშეწყობისათვის გამიზნული ირანული ქსელის მოსაშლელად“.



# ᲐᲨᲨ «ᲙᲘᲑᲔᲠᲡᲞᲔᲪᲠᲐᲖᲛᲘᲡ» ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ




**„კიბერ შეტევამ, შესაძლოა, იმავე სიმძიმის ზიანი მიაყენოს ამერიკას, როგორც 9/11 ტიპის ფიზიკურმა თავდასხმამ“, — განაცხადა აშშ-ის თავდაცვის სახელმწიფო მდივანმა ლეონ პანეტამ ამერიკის ბიზნესლიდერებთან შეხვედრისას.** პანეტას თქმით, აგრესიული ქვეყნის ან ექსტრემისტული დაჯგუფების მიერ მართულმა კიბერჯგუფმა შეიძლება ქვეყნის ინფრასტრუქტურა წყობიდან გამოიყვანოს, თუკი მოახერხებს მნიშვნელოვან სისტემურ ფაილებამდე მიღწევას. „თუკი მათ შეეძლებათ კრიტიკულ ბერკეტებამდე მიღწევა, მათ შეიძლება მოაწყონ სამგზავრო, ანდა ქიმიკატების გადამტანი მატარებლების ავარია, მოწამლონ წყალი ან გაწყვიტონ ელექტროენერგიის მიწოდება. ასეთი დამანგრეველი ძალის კიბერ-შეტევა გამოიწვევს ერის პარალიზებას და დაუცველობის გრძნობას“, — განაცხადა მან. ამიტომაც აშშ აქტიურად მუშაობს პრევენციულ მეთოდებზე. „ჩვენ შევიმუშავეთ სტრატეგია და გაგვაჩნია დამნაშავეთა აღმოჩენისათვის საჭირო ბერკეტები, — აცხადებს პანეტა, — იქმნება კიბერშეტევებზე რეაგირებისა და პრევენციების სპეცრაზმები, რომლებიც საკუთარ ოპერაციებს კომპიუტერული ქსელების მეშვეობით განახორციელებენ. პოტენციურმა აგრესორებმა უნდა იცოდნენ, რომ შეერთებულ შტატებს ძალა შესწევს, მიაგნოს მათ ადგილსამყოფელს და პასუხი აგებინოს მათ იმ ქმედებებისათვის, რომლებიც გამიზნულია ამერიკისა და მისი ინტერესების საზიანოდ“.




# 15 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲠᲝᲖᲒᲔᲡ

**მალის რესპუბლიკის ქალაქ ტომბუქტუს ცენტრში 15 წლის გოგონას ისლამისტმა ექსტრემისტებმა სახალხოდ 60 როზგი დაარტყეს.** გოგონა იმისთვის დასაჯეს, რომ ქუჩაში მამაკაცებს დაელაპარაკა. როგორც თვითმხილველი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, ისლამისტთა ჯგუფის წარმომადგენლებმა გოგონა რამდენიმეჯერ გააფრთხილეს, მამაკაცებთან სახალხოდ საუბარი შეეწყვიტა, მაგრამ გოგონა გაფრთხილებას არ დაემორჩილა. ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ტომბუქტუში ადამიანებს სახალხოდ როზგავენ. დასავლური პრესა აქტიურად აშუქებდა ივლისში მომხდარ ინციდენტს, როდესაც ბაზარში მამაკაცი ალკოჰოლის მიღებისთვის გაროზგეს. სხეულის დაზიანებები იმდენად მძიმე იყო, რომ მამაკაცი გარკვეული პერიოდი საავადმყოფოში მკურნალობდა. ივნისში ქალი და მამაკაცი კი იმისთვის გაროზგეს, რომ შვილი შეუღლების გარეშე შეეძინათ. რეგიონს ისლამისტთა ჯგუფი Ansar Dine („რწმენის მცველები“) აკონტროლებენ.




ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ
ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ
http://www.medianews.ge

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲘᲢᲡ
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲓᲣᲐ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009